სავლე წერეთლის ფილოსოფიის ინსტიტუტი

თეიმურაზ ფანჯიკიძე

ბაჰაი –
ახალი მსოფლიო რელიგია ?

თბილისი 2010

ავტორი, პირველწყაროებზე დაყრდნობით, საინტერესოდ მოგვითხრობს XIX საუკუნის შუა წლებში ირანში აღმოცენებულ ახალ რელიგიაზე – ბაჰაის სარწმუნოებაზე.

წიგნში მიმოხილულია ამ რელიგიის ჩასახვის, განვითარებისა და გავრცელების ისტორია, მისი დამაარსებლების – ბაბისა და ბაჰაულას ცხოვრება, დახასიათებულია ამ რწმენის სწავლება, ძირითადი კანონები და პრინციპები, ადათები და თანამედროვე მდგომარეობა.

წიგნში მკითხველი გაეცნობა საქართველოში ბაჰაის რწმენის შემოსვლისა და მისი გავრცელების ისტორიას, დღევანდელი მდგომარეობის სურათს და პერსპექტივებს. ნაშრომი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იგორ კვესელავა

რეცენზენტები: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რევაზ ბალანჩივაძე

ფილოსოფიის დოქტორი,
პროფესორი რევაზ გორდეზიანი

© თეიმურაზ ფანჯიკიძე, 2010

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არცერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას ავტორის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

რედაქტორისაგან

წინამდებარე წიგნი ერთგვარი ცდაა, ქართველ მკითხველს გააცნოს მისთვის შედარებით ნაკლებად ცნობილი რელიგია, რომელიც XIX საუკუნის შუა წლებში ჩამოაყალიბდა ირანში. მისი დამაარსებლები იყვნენ ბაბი და ბაჰაულა. ბაჰაის რელიგიამ საკმაოდ სწრაფად მოიპოვა პოპულარობა მთელ მსოფლიოში. ამჟამად იგი გავრცელებულია 232 ქვეყანაში, ხოლო მისი მიმდევრების რიცხვი 4 (ზოგი მონაცემით 6) მილიონ ადამიანს აღწევს.

წიგნის ავტორი არ არის ბაჰაის მიმდევარი. იგი მეცნიერია, რელიგიათმცოდნე და შესაბამისად, ამ კუთხიდან ცდილობს განიხილოს და შეაფასოს ახალი რელიგია, მისი როლი სამყაროს, როგორც მთლიანობის აღქმასა და საყოველთაო რელიგიური ცხოვრების კონტექსტში; განიხილოს იგი, როგორც მნიშვნელოვანი სიახლე და საფეხური კაცობრიობის სულიერ ცხოვრებაში.

თეიმურაზ ფანჯიკიძე მაქსიმალური ობიექტურობით და კეთილგანწყობით აღწერს ამ რელიგიის დამაარსებელთა ცხოვრებას, მათ მოწამებრივ ცხოვრებას, იმ დიდ ღვაწლს, რომელიც ბაბმა და ბაჰაულამ გასწიეს ახალი სარწმუნოების ჩამოსაყალიბებლად, დასანერგად და მსოფლიოში გასავრცელებლად.

ავტორი სამართლიანად მიუთითებს, რომ უაღრესად ძნელი იყო ახალი რელიგიის დაბადება და გავრცელება ისეთ რთულ და სპეციფიკურ ქვეყანაში, როგორიც ირანია, სადაც განუყოფლად ბატონობდა და დღესაც ბატონობს ისლამი, ეპოვნა იქ თავისი მიმდევრები, გამოყოფილიყო ისლამისაგან და ხალხისათვის შეეთავაზებინა ახალი, მუჰამედის მოძღვრებისაგან განსხვავებული მიზნები და იდეალები

(მამაკაცთა და ქალთა თანასწორობა, მშვიდობისათვის ბრძოლა და ა. შ.).

ბაჰაი რელიგია არ მოითხოვს სხვა რელიგიათა უარყოფას, იგი უარს არ ამბობს სხვა მესიებსა თუ წინასწარმეტყველებზე. ეს მოძღვრება ყველა მოციქულს აღიარებს, ყველა რელიგიურ წიგნს წმიდად ცნობს, მაგრამ, ცხადია, ახდენს მათ თავისებურ ინტერპრეტაციას.

ბაჰაის მიმდევართა მტკიცებით, სამყაროში ღმერთი ერთია. იგი დროდადრო ადამიანებს უგზავნის თავის მაცნეებს, რომლებმაც უნდა უხელმძღვანელონ ადამიანებს გარკვეულ დროში, კაცობრიობის ისტორიის მოცემულ ციკლში და წაიყვანოს ისინი ღვთის მიერ ნაკარნახევი გზით. ადრე ასეთი მაცნეები იყვნენ: აბრაამი, მოსე, ქრისტე, მუჰამედი. მათ დიდი როლი შეასრულეს კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ ეს დრო კარგა ხანია, რაც დასრულდა. ქება და დიდება მათ, მაგრამ ახლა, ახალ ციკლში, რომელიც ბაჰაის მიმდევართა მიხედვით XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება, ასეთ მაცნეებად ბაბი და ბაჰაულა გვეელინებიან, რომლებიც სათანადოდ წარმართავენ ადამიანთა სულიერ მოძრაობას.

როგორც თეიმურაზ ფანჯიკიძე სამართლიანად მიუთითებს, იმაზე დაყრდნობით, რომ ბაჰაის სარწმუნოება გაცილებით უფრო გვიან წარმოიქმნა, იგი თავისუფალია ბევრი იმ უხერხულობისაგან, რაც ჩვენ ადრე წარმოშობილ რელიგიებში გვხვდება, პასუხი არის გაცემული ბევრ საჩოთირო და საკამათო საკითხზე, უარი არის ნათქვამი რელიგიათა ურთიერთმტრობაზე.

ახალი რელიგიის სულიერი ლიდერები ადამიანებს დიდი რელიგიური შერიგებისაკენ მოუწოდებენ. მათი აზრით, დაუშვებელია, რომ უზენაესის

სახელით და მომიზეზებით სამყაროში ამდენი უბედურება ტრიალებდეს. ჭეშმარიტმა რელიგიამ თავისი წონადი სიტყვა უნდა თქვას ქვეყნად მშვიდობისა და კეთილდღეობის დამკვიდრების საქმეში.

თეიმურაზ ფანჯიკიძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ბაჰაის სარწმუნოება სექტა არ არის, იგი ყველა პარამეტრითა და მონაცემით რელიგიაა, რომელსაც თავისი წმიდა წიგნები და თავისი სპეციფიკური ღვთისმეტყველება აქვს. ასევე, აქვს განსხვავებული ადათი და ჯანსაღი ცხოვრების წესი.

წიგნის ავტორი, იმის გარდა, რომ იკვლევს და მკითხველს ამ რელიგიის ძირითად კანონებს და პრინციპებს აცნობს, ყურადღებას ამახვილებს ბაჰაის სარწმუნოების გავრცელებაზე საქართველოში, მის პირველ მიმდევრებზე. მათგან გამოყოფს მანუჩარ(მანუჩერ)-ხანს, ირანელ ქართველს, რომელსაც მნიშვნელოვანი ზნეობრივი წვლილი მიუძღვის ამ საქმის გავრცელებაში. მას ბაჰაები დღესაც დიდ პატივს მიაგებენ.

წიგნში მოთხრობილია იმ რელიგიურ თემზეც, რომელიც დღეს მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში. საუბარია მისი განვითარების გზებზე, პერსპექტივაზე, არსებულ პირობებთან შეგუებაზე, ურთიერთობებზე სხვა კონფესიებთან.

ბაჰაის სარწმუნოება, როგორც ავტორი წერს, არ არის აგრესიული რელიგია, იგი არც აქტიურ პროზელიტიზმს მიმართავს, მისი კულტი ზომიერია და იგი მაქსიმალურად ათავისუფლებს თავის მრევლს ზედმეტი შეზღუდვებისაგან. ბაჰაები ამქვეყნად ცხოვრობენ სრულფასოვანი ფიზიკური და ზნეობრივი ცხოვრებით.

წიგნზე მუშაობისას, ავტორს გამოუყენებია პირველწყაროები, თვით ბაბის, ბაჰაულას, აბდულ-ბაჰას და შოღი ეფენდის თხზულებები, რომლებიც მსოფ-

ლიოს მრავალ ენაზე არის თარგმნილი. მას გამოყენებული აქვს სხვა ავტორთა შრომებიც, მათ შორის, ევროპელი მეცნიერებისა, რომლებიც საკმაოდ დიდ ინტერესს იჩენენ შედარებით ახალი რელიგიისადმი და მის გამოჩენას დადებითად აფასებენ.

ბაჰაის რელიგიის შესახებ საქართველოშიც არის გამოქვეყნებული ორიოდე ორიგინალური სტატია, თარგმნილია ბაჰაი ლოცვების ტექსტი, თვით ბაჰაულას მნიშვნელოვანი წიგნები: „ქითაბ-ი-იყანი“ („წიგნი ურყევი რწმენისა“), „მარცვალ-მარცვალ აკრეფილი სიბრძნე“, „ნაბილის ნაამბობის“ შემოკლებული გამოცემა, ზოგიერთი სხვა წიგნი და პატარა ბროშურაც.

რელიგიათმცოდნეობითი კუთხით, მათი გამოჩენა არ შეიძლება დადებითად არ შევაფასოთ, მაგრამ ისინი ქართველ მკითხველს ვერ უქმნიან სრულ წარმოდგენას იმ უზარმაზარი ლიტერატურის შესახებ, რაც ამ მნიშვნელოვან სწავლებასთან დაკავშირებით არსებობს. ამ მხრივ, თეიმურაზ ფანჯიკიძის წიგნმა ერთგვარი გზისმკვლევის როლი უნდა შეასრულოს და ისიც უნდა აჩვენოს, თუ როგორ არსებობენ და როგორ არიან დაცული საქართველოში რელიგიური უმცირესობები.

ცხადია, ავტორს მიზნად არ დაუსახავს კრიტიკულად შეეფასებინა აღნიშნული რელიგიის დოგმატების ჭეშმარიტება თუ სიმცდარე. მისი აზრით, ეს რელიგიაც, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა რელიგია, უფლისკენ მიმავალი ერთ-ერთი საინტერესო გზაა...

თეიმურაზ ფანჯიკიძის მიზანი და ამოცანა შედარებით უფრო მარტივია: გააცნოს ქართველ მკითხველს კიდევ ერთი რელიგიური მსოფლმხედველობა, რომელიც საქართველოში შემოვიდა, უჩვენოს მკითხველს ამ რელიგიური რწმენით მცხოვრები ადამი-

ანების ცხოვრება: მათი მიზნები, იმედები, სულის-კვეთება და ცხოვრების წესი.

რაც შეეხება კონკრეტული რელიგიის გავრცელების პერსპექტივას, ავტორი სამართლიან დასკვნას აკეთებს, რომ მხოლოდ მომავალი გვიჩვენებს, თუ როგორ გამოეხმაურება კაცობრიობა ბაბისა და ბაჰაულას მხურვალე მოწოდებებს, რამდენად მოხვდება ადამიანთა გულებს მათი ტანჯული ცხოვრება და ზნეობრივი მაგალითი, მათი მოწოდება უკეთესი და მორალური ცხოვრებისაკენ.

იმედია, მკითხველი ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებს მოცულობით მცირე, მაგრამ შინაარსით მდიდარი წიგნიდან.

იგორ კვესელავა

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

შესავალი

რელიგიათა შორის ურთიერთგაგების ნებისმიერი ცდა მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუკი იგი დაიწყება ამ რელიგიის ან რელიგიების თვითშემეცნებით, ან, უკიდურეს შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნება ეს თვითშემეცნება.

ჯეკ მაკლინ გატინე

ჭეშმარიტების გულწრფელი ძიება ადამიანისგან გაცილებით მეტს მოითხოვს, ვიდრე ბრმა რწმენა.

ბაჰაის ძირითადი პრინციპებიდან

იმ რელიგიურ კონფესიებს, დენომინაციებს, სექტებს თუ რელიგიურ ჯგუფებს შორის, რომლებიც საკუთარი მოძღვრების საქადაგებლად და გასავრცელებლად XIX და XX საუკუნეებში შემოვიდნენ საქართველოში, ბაჰაის რწმენა აშკარად გამოირჩევა თავისი თავისებურებებითა და მრავალმხრივობით. მისმა მიმდევრებმა ბოლო წლებში მეტად აქტიური საქმიანობა გააჩაღეს და გარკვეული მრევლიც შეიძინეს. ამდენად, ბაჰაის რწმენის შესახებ, ჩვენს ხალხს, მეტ-ნაკლებად ზედაპირული წარმოდგენა უკვე აქვს, მაგრამ მისი საქმიანობის, სწავლებისა და ადათების შესახებ ნაკლებად არიან გათვითცნობიერებულნი.

რამდენიმე სიტყვა ამ წიგნის დაწერის შესახებ: სრულიად შემთხვევით გაცნობილი რელიგია /ისევე როგორც ბევრი სხვა, ადრე უცნობი კონფესია/, შემ-

დგომში ჩემთვის ხანგრძლივი ინტერესის საგანი შეიქმნა.

ამ რელიგიის გაცნობისა და შესწავლისაკენ პირველ რიგში მიბიძგა მისმა სავიზიტო ბარათმა, რომელიც მეტად მიმზიდველად გამოიყურებოდა. ჩემთვის მოსაწონი იყო მოწოდება, რომ უნდა გიყვარდეს კაცობრიობა და ეცადო ღირსეულად ემსახურო მას, იზრუნო მშვიდობისათვის და საყოველთაო ძმობისათვის. სრულიად მისაღები იყო თვით ბაჰაის მიმდევარის დახასიათებაც, რომელშიაც კონცენტრირებული უნდა ყოფილიყო ადამიანთა საუკეთესო და სრულყოფილი თვისებები.. ადამიანმა, ამ რელიგიის დამფუძნებლის – ბაჰაულას სიტყვებით: უნდა მოიტანოს ნაყოფი. იგი იმეორებდა იესო ქრისტეს სიტყვებს, რომ ურგები ადამიანი უნაყოფო ხის მსგავსია, ხოლო ყოველგვარ ხეს, რომელიც ნაყოფს არ ისხამს ჭრიან და ცეცხლში აგდებენ. /ბაჰაულა, „სამოთხის კარი“/.

ამ წიგნის დაწერის საქმეში დახმარებისათვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამიერკავკასიაში ბაჰაელთა იმდროინდელ ხელმძღვანელს, ბაჰაის საერთაშორისო თემის მრჩეველს (კანცლერს), ბატონ ეიმანს, მის მეუღლეს ალიონას, რომლებიც დამეხმარნენ შევსულიყავი ბაჰაის რელიგიის მეტად საინტერესო სამყაროში, ხოლო ის დღეები, რომლებიც გავატარე მათ ოჯახში ამ რელიგიის შესწავლიასას, /მიუხედავად ჩემი განსხვავებული რწმენისა და შეხედულებებისა/, სამუდამოდ დარჩება თბილ მოგონებად ჩემს რელიგიათმცოდნეულ პრაქტიკაში.

ბაჰაის რწმენა, როგორც თვით მისი ადეპტები განმარტავენ: ეს არის ღვთაებრივი, ყოვლისმომცველი თავისი მასშტაბით, დამოუკიდებელი მსოფლიო რელიგია. ეს არის რელიგია ფართო შეხედულებებით, მეცნიერული მეთოდებით, ჰუმანიტარული პრინ-

ციპებით, რომლებიც დინამიკურად მოქმედებს ადამიანების გულსა და გონებაზე. იგი გამოდის ღმერთის ერთობიდან, ცნობს წინასწარმეტყველთა და კაცობრიობის რასის ერთობას.

ბაჰაის რელიგიის მიმდევარნი ამტკიცებენ, რომ მათმა რწმენამ მსოფლიოში საკმაოდ მოიკიდა ფეხი. სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც გამოქვეყნებულია „ბრიტანიკის“ ენციკლოპედიის ყოველწელიწადეულში, ბაჰაის სარწმუნოება გავრცელებულია 232 ქვეყანაში. ქრისტიანობის (254) შემდეგ იგი მეორე ადგილზეა. შემდეგ მოდის ისლამი (172), იუდაიზმი (125), ინდუიზმი (88) და ბუდიზმი (88). ამავე მონაცემებით, ბაჰაის რწმენას აღიარებს 2100 ეროვნების ადამიანი. თუმცა, მიმდევართა რიცხვი, დიდ რელიგიებთან შედარებით, არცთუ დიდია – სულ 4 მილიონი ადამიანი, ზოგი მონახემით კი, 6 მილიონი ადამიანი.

აღსანიშნავია სტატისტიკური მონაცემები დსთ-ის მასშტაბითაც. 2002 წლისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 300 დასახელებულ პუნქტში დაახლოებით 9 ათასი მორწმუნე ცხოვრობდა. აქედან, თვით რუსეთის 120 ქალაქში 3000-მდე მორწმუნე დათვალეს, რაც შეეხება საქართველოს, აქ მორწმუნეთა რაოდენობა შედარებით უმნიშვნელოა, სამაგიეროდ – საკმაოდ აქტიური.

ბაჰაის რწმენის მიმდევართა მტკიცებით, მათი რელიგიის მთელი ძალისხმევა მიმართულია იმისაკენ, რომ წინ წასწიოს კაცობრიობის ცივილიზაცია, რომელიც ადამიანთა ერთობას, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობას, რასობრივ ჰარმონიას, ეკონომიკურ სამართლიანობას, საყოველთაო განათლებას, მეცნიერებასა და რელიგიას შორის თანხმობას დაეყრდნობა.

ბაჰაის რწმენით, ღმერთი ერთია, მსოფლიოს რელიგიები კი არის გამოსახულება მისი ურყევი რწმენისა, როგორც წარსულში, ისე მომავალშიც. კაცობრიობა კი არის ერთიანი რასა, რომელმაც მშვიდობასა და თანხმობაში უნდა იცხოვროს. სხვა გამოსავალი ადამიანებს, უბრალოდ, არ აქვთ.

თავის მოსაზრებებს ბაჰაის რელიგიის დამაარსებელი უგზავნიდა სხვადასხვა ქვეყნების მონარქებს, მთავრობათა მეთაურებს, რელიგიურ ლიდერებს, ყველას ამცნობდა თავისი მისიის შესახებ და მშვიდობისაკენ მოუწოდებდა. იგი სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა მსოფლიოსთვის გაეცნო ღვთის ეპისტოლე, რომლის დახმარებითაც, უზენაესის ნებითა და განგებით ყველას სნეულებისაგან განკურნებას პირდებოდა. იგი ასწავლიდა ხალხს, თუ როგორ გამხდარიყვნენ სრულყოფილნი და ბედნიერნი.

ბაჰაის სარწმუნოება თავიდანვე ასპარეზზე გამოვიდა, როგორც რელიგია და არა სექტა. იგი მკვეთრად გამოირჩევა იმ რელიგიური და ნახევრად რელიგიური ჯგუფებისაგან, რომლებიც XIX და XX საუკუნეებში მოგვევლინენ მთელი თავისი მრავალფეროვნებით, სხვადასხვა შეხედულებებით, რწმენით და რიტუალებით. თითოეული მათგანი გამოირჩეოდა იმით, რომ მიმართავდა სულიერ-ფსიქოლოგიური სპექტრის განსაკუთრებულ ასპექტს.

ვინაიდან ბაჰაის სარწმუნოება ირანში ჩაისახა, ისლამურ სამყაროში, ადრეულ ეტაპზე მას ისლამის, კერძოდ კი, შიიტურ სექტასაც უწოდებდნენ. ასევე იყო განმარტებული იგი ზოგიერთ ლექსიკონშიც. მაგრამ, ბევრი მეცნიერის აზრით, ეს დიდი შეცდომაა. ბაჰაი სრულიადაც არ წარმოადგენს ისლამის რეფორმაციულ მოძრაობას.

ზოგი ავტორი მას უწოდებს ტრადიციული რელიგიის ფორმების ალტერნატივას. მართლაცდა,

იგი აშკარად განსხვავდება იმ მოდური გატაცებებისაგან, რომლებიც უხვად იყო მსოფლიოში XX საუკუნეში, რომლებიც მომენტალურად წარმოიქმნებოდნენ და ასევე მყისიერად ქრებოდნენ.

ბაჰაის მოძღვრება ამტკიცებს, რომ მისი რწმენა ემყარება ღვთაებრივ შთაგონებას და მისი რელიგია ნაკარნახევია ღმერთის მიერ და გადმოცემულია ბაჰაულას ნაწერების სახით, რომ ბაჰაის რწმენის მიკუთვნება მსოფლიო რელიგიებისათვის სრულიად მართებულია, რადგან იგი განმტკიცებულია თეოლოგიური და რელიგიათმცოდნეობითი პარამეტრებით.

როგორც ბაჰაის სარწმუნოების მიმდევრები აღნიშნავენ: „...ბაჰაულამ ახალი რელიგია დააფუძნა არა იმისათვის, რომ დამდგარიყო არსებული სხვადასხვაგვარი სექტანტური ორგანიზაციების გვერდით. არა, მან გადაამუშავა რელიგიის მთელი კონცეფცია, როგორც ძირითადი ძალა, რომელიც სტიმულს აძლევს ცნობიერების განვითარებას. რამდენადაც ადამიანთა მოდგმა, მიუხედავად მისი განსხვავებულობისა, მაინც ერთი სახეობაა, ჩარევა, რომლის მიხედვითაც ღმერთი სრულყოფს ამ სახეობის გონებისა და გულის დაფარულ თვისებებს – ესეც ერთიანი პროცესია“... [1]

როგორც უკვე ვოქვით, ბაჰაის რელიგია XIX საუკუნის შუა წლებიდან მოდის. იგი თავის ჩასახვის ქვეყნიდან – ირანიდან გავრცელდა თითქმის ყველა ქვეყანაში და მტკიცედ დამკვიდრდა. თვით ირანში კი დღეისათვის ბაჰაის თემი წარმოადგენს ყველაზე უფრო მსხვილ რელიგიურ დაჯგუფებას რელიგიურ უმცირესობებს შორის. თუმცა, დღესაც, ძალზე ხშირია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ ირღვევა მათი უფლებები ირანში.

ახალი რელიგიის სათავეებთან

XIX საუკუნის შუა წლებში ქეეყნიერებას ორი მაცნე, ორი წინასწარმეტყველი – ბაბი და ბაჰაულა მოევლინენ. ისინი ორნი მოვიდნენ ისევე, როგორც თავის დროზე, ბიბლიური „ძველი აღთქმის“ მიხედვით, მოვიდნენ მოსე და აარონი, ხოლო „ახალი აღთქმის“ მიხედვით – იოანე და იესო.

ამ დროისათვის მსოფლიოში თითქოს ყველაფერი გადანაწილებული იყო. მსოფლიოს რელიგიური რუკა მთლიანად იყო დაფარული. მსოფლიოში ბატონობდა სამი უდიდესი რელიგია – ქრისტიანობა, ბუდიზმი და ისლამი. მათ გვერდით არსებობდა ინდუიზმი, კონფუციანელობა, იუდაიზმი, მრავალი სხვა რელიგია, მათი ათასი ჯურის განტოტებანი, მიმართულებები, დენომინაციები, სექტები, რელიგიური და ნახევრად რელიგიური სექტები, კულტები, რომლებმაც XIX და XX საუკუნეებში მძლავრად იბარტყეს.

კაცობრიობას თითქოსდა მონახული ჰქონდა ყველა ის ძირითად საშუალება და გზა, რომლის მეოხებითაც იგი ცდილობდა ღვთის საუფლომდე მიეღწია.

ამ რელიგიათა გავრცელების და ბატონობის არეალიც მტკიცედ იყო შემოსაზღვრული. ახალი, რაიმე მნიშვნელოვანი და არსებითი, თითქოსდა არ უნდა მომხდარიყო.

ამ პერიოდში, როგორც უკვე ვთქვით, დრო და დრო, მხოლოდ გარკვეული სექტები თუ კულტები ჩნდებოდნენ, იბადებოდნენ ერთგვარი მოდური რელიგიური დინებები, რომლებიც მოულოდნელად, დიდი ხმაურით იფეთქებდნენ ხოლმე და შემდეგ ასევე სწრაფად ქრებოდნენ.

რასაკვირველია, თითოეული მათგანისათვის მთავარი რელიგიური წიგნები – „საღმრთო წერილები“ და „საღმრთო გადმოცემები“ იგივე რჩებოდა. განსხვავებული იყო მხოლოდ ცალკეული დოგმები, დებულებები და, უმთავრესად კი, მაინც კულტი – ღვთისმსახურება.

მიუხედავად გარკვეული განსხვავებებისა, თითოეული რელიგიური მიმდინარეობა ოპერირებდა ერთნაირი, მარადიული ფასეულობებით: სამყაროს შემოქმედით, კეთილი და ბოროტი ძალებით, სიკვდილსიცოცხლით, უკვდავი სულით, საიქიოთი, იმქვეყნიური ბედნიერებით და ა. შ.

ამ დროისათვის, მსოფლიოში არავინ ელოდა ახალი რელიგიის გამოჩენას, ახალი რელიგიური ციკლის დაწყებას, თუმცა გარკვეული წინასწარმეტყველური მინიშნებები იყო რელიგიურ წიგნებში. ამ მხრივ მოულოდნელი იყო ისიც, რომ ასეთი ახალი ციკლის დაწყება სპარსეთში მოხდა, იმ ქვეყანაში, სადაც ესოდენ ძლიერი პოზიციები ეკავა და უკავია ისლამს, რომელიც კატეგორიულად არ ცნობს ალაჰისაკენ მიმავალ განსხვავებულ, სხვა გზას, გარდა მუჰამედის გზისა, ხოლო ყურანი მიაჩნია ღვთის უკანასკნელ გამოცხადებად.

როგორც უკვე ვთქვით, ბაჰაის სარწმუნოების მიხედვით, ბაბისა და ბაჰაულას მოსვლა სულაც არ ყოფილა შემთხვევითი გარემოებებით განპირობებული, არამედ დიდი ხნის წინ იყო ნაწინასწარმეტყველები სხვა რელიგიათა წიგნებითაც. ამ მხრივ, ბაჰაები ეყრდნობიან ბიბლიური წინასწარმეტყველების: დანიელის და ესაიას წიგნებს, ახალი აღთქმიდან კი იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადებას, მიუთითებენ ასევე სხვა რელიგიურ წიგნებზეც.

ბაჰაის რელიგია თავიდანვე იმ ძირითადი პრინციპის ქადაგებით გამოვიდა, რომ ჭეშმარიტება აბსო-

ლუტური არ არის, რომ ის შეფარდებითია, ხოლო ღვთაებრივი გამოცხადება არის განუწყვეტელი და განვითარებადი პროცესი, რომ ყველა დიდი რელიგია თავისი წარმოშობით ღვთაებრივია, მათი მოძღვრებები კი წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების სულიერი განვითარების თანმიმდევრულ სტადიებს.

ბაჰაების თქმით, მსოფლიოს რელიგიურ ისტორიაში შეიმჩნევა მრავალი ასეთი ციკლის არსებობა. ისევე, როგორც თითოეულ ცის მნათობს აქვს თავისი მოძრაობის ციკლი, რომლის დროსაც ის ტრიალებს თავის ორბიტაზე, ხოლო დამთავრების შემდეგ იწყებს ახალ ციკლს; ამის მსგავსად, ადამიანთა ცხოვრებაშიც ადგილი აქვს დიდ მოვლენათა ციკლებს, რასაც მსოფლიოში მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოსდევს.

ყოველ ციკლს, ცხადია, თავისი სპეციფიკა და ხანგრძლივობა აქვს, რომლის დამთავრების შემდეგ, ტრადიციულად, ძველს ივიწყებენ და ახალ ფასეულობებს სცემენ პატივს.

ბაჰაების თქმით, ასეთი ციკლების ცვალებადობის დროს, კაცობრიობას აუცილებლად სჭირდება მოძღვარი, დამრიგებელი, რომელიც ადამიანთა განმანათლებელი იქნება – როგორც მატერიალურ და ჰუმანიტარულ, ისე სულიერ სფეროში. ამქვეყნად მოვლენილი განმანათლებლის ავტორიტეტი შეუვალი უნდა იყოს ყველასათვის. იგი უნდა ეყრდნობოდეს ღვთის ძალას, მის ყოვლიშემძლეობას. სხვაგვარად იგი ვერ შეძლებს თავისი ღვთაებრივი მისიის შესრულებას.

ღვთის მიერ მოვლენილმა მასწავლებელმა ადამიანებს უნდა უჩვენოს გზა უზენაესისაკენ, ასწავლოს ამ მიზნის მიღწევის საშუალებები, საქმის ორგანიზაცია და წესრიგი, რაც დაკავშირებულია მის ფიზიკურ მოთხოვნილებებთან. ამასთანავე, საჭიროა

საზოგადოების წევრებს შორის დანერგოს თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების სულისკვეთება. ბაჰაელთა თქმით, ყველაფერი ეს ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ არცერთ შემთხვევაში ქმედება არ გამოვიდეს კონტროლის არედან.

ჰუმანიტარულ სფეროში ეს პროცესი ღვთიურმა მასწავლებელმა ისე უნდა წარმართოს, რომ ადამიანთა აზრმა და გონებამ სრულ განვითარებას მიაღწიოს. საზოგადოება აუცილებლად უნდა წავიდეს პროგრესის გზით, ხოლო მეცნიერება ისე უნდა განვითარდეს, რომ ადამიანები ჩასწვდნენ საგანთა ჭეშმარიტ არსს, საიდუმლოებებს, რომლებიც დავანებულია ამ არსებებში და, საბოლოოდ, შეიცნონ ისინი.

კაცობრიობის უდიდესმა მასწავლებელმა საზოგადოება სულიერად უნდა გაანათლოს ისე, რომ მისმა გონებამ შეძლოს მეტაფიზიკურ სამყაროში შეჭრა და მიიღოს იქ სული წმიდის გამოსხივებული მადლი, ხოლო შემდეგ შეძლოს შეუერთდეს უფლის რჩეულთა დასს. მან ისეთი ზეგავლენა უნდა მოახდინოს ადამიანთა არსებობაზე, რომ იგი მოხვდეს ღვთაებრივი გამოვლინებების შუაგულში, რათა ღმერთის სახელი და თვისებები, მისი ნება, ნათლად აისახოს ადამიანის არსების სარკეში, რომ ჭეშმარიტად განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი დებულება: „ღმერთმა შექმნა ადამიანი თავისი სახისა და ხატის მსგავსად“.

როგორც ერთ-ერთი თვალსაჩინო ბაჰაი – აბდულ-ბაჰა წერდა: „...ცხადია, რომ ასეთი რამის გაკეთება ჩვეულებრივ ადამიანს არ ძალუძს, რომ მხოლოდ გონებას არ შეუძლია თავის თავზე აიღოს ესოდენ დიდი მისიის შესრულება. ამიტომ იგი უნდა დაეყრდნოს სულიერ და ღვთაებრივ ძალას. მხოლოდ წმიდა სულს შეუძლია შთაჰბეროს კაცობრიობას სიცოცხლე, შეცვალოს პლანეტის სახე, ბიძგი მის-

ცეს შემეცნებას, გააცოცხლოს სულები, საძირკველი ჩაუყაროს ახალ ცხოვრებას... მხოლოდ მას შეუძლია მოაწესრიგოს სამყარო, დააყენოს ერები და რელიგიები ერთი დროშის ქვეშ, გაათავისუფლოს ადამიანი არასრულყოფილებისა და მანკიერებებისაგან, შთაჰბეროს მასში ჩაუქრობელი ლტოლვა სრულყოფილებისაკენ“...[2]

ღვთის მიერ გამოგზავნილ ასეთ მაცნეებს ბაჰაები ადარებენ მზეს, რომლის ირგვლივაც ტრიალებენ პლანეტები და ღებულობენ მისგან სინათლეს და სითბოს. მზის ასეთი წყალობის გარეშე საერთოდ არ იარსებებდა დედამიწაზე სიცოცხლე.

ვინ არიან ღვთის ეს მაცნეები, რა როლი შეასრულეს მათ კაცობრიობის ისტორიაში?

ბაჰაის სარწმუნოების თანახმად, არსებობენ ორგვარი წინასწარმეტყველები: დამოუკიდებელნი და დამოკიდებულნი, სხვაგვარად – მიმდევრები. ჩვენ მიერ უკვე ნახსენები აბდულ-ბაჰას მიხედვით, დამოუკიდებელი წინასწარმეტყველები წარმოადგენენ მსოფლიოს განვითარების ახალი ციკლების კანონმდებლებს და საფუძველჩამყრელებს.

თითოეული დამოუკიდებელი მაცნის მოვლენის შემდეგ მსოფლიოში შეიმჩნევა არაჩვეულებრივი პროგრესი, სულიერი გაზაფხული და ახალი ცხოვრება; ხდება გონების, სულთა და აზრების არაჩვეულებრივი განახლება.

მათ გამოჩენასთან ერთად, მსოფლიო ახალი ტანსაცმლით იმოსება, იქმნება ახალი რელიგიის საფუძვლები, იწერება „საღმრთო წერილები“. ისინი (მაცნეები) შუამავლის გარეშე ღებულობენ მადლს ღვთიური არსებისაგან. მათი გასხივოსნება სწორედ მისი ბუნებისაგან მომდინარეობს. ბაჰაელთა თქმით, ისინი ჰგვანან მზეს, მისთვის დამახასიათებელი თვისებებით: მზე ხომ არ სარგებლობს და არ იყენებს

რომელიმე სხვა ვარსკვლავის სინათლეს, არამედ თვითონ აფრქვევს ირგვლივ საკუთარ შუქს.

ბაჰაელთა მიხედვით, ასეთ დამოუკიდებელ წინასწარმეტყველებს მიეკუთვნებიან: **აბრაამი, მოსე, ზოროასტრი, ბუდა, კრიშნა, ქრისტე, მუჰამედი,** ხოლო ახალ დროში: **ბაბი** და **ბაჰაულა**. ისინი არიან ჭეშმარიტად დამოუკიდებელი წინასწარმეტყველნი სწორედ იმიტომ, რომ მათ შექმნეს ახალი რელიგიები და შეეცადნენ გარდაექმნათ ადამიანები, საგრძნობლად შეცვალეს მორალი, შემოიტანეს ახალი წეს-ჩვეულებები, რიტუალები, მთლიანობაში კი, განაახლეს ციკლი და დანერგეს სხვაგვარი კანონი.

აბდულ-ბაჰა მათ გამოჩენას ადარებს გაზაფხულს, რომლის დროსაც ხდება ბუნების ძალების გამოღვიძება, სრული განახლება, ახალ სამოსში გამოწყობა, ახალი სიცოცხლის დაბადება...

მეორე სახის წინასწარმეტყველებში ბაჰაელნი გულისხმობენ დამოუკიდებელი წინასწარმეტყველების მიმდევრებს, მათი საქმის გამგრძელებლებს. ისინი მათ ადარებენ მთვარეს, რომელიც სინათლეს მხოლოდ მზისაგან ღებულობს.

მეორე სახის წინასწარმეტყველებად ბაჰაები თვლიან ისეთ ბიბლიურ პერსონაჟებს, როგორებიც იყვნენ მეფეები: **დავითი** და **სოლომონი**, **წინასწარმეტყველები: ესაია, დანიელი, ერემია, ეზეკიელი** და ა. შ. ისინი გვევლინებიან მთავარი წინასწარმეტყველებების ნაქადაგები იდეების გამგრძელებლებად. მართალია, ისინი ავრცელებდნენ ღვთის სიტყვას, ასწავლიან ადამიანებს მის სამსახურს, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი ავრცელებდნენ მხოლოდ იმას, რაც მათზე ადრე სხვებმა იქადაგეს. მთელი მათი ძალა და ენერგია მხოლოდ მთავარი წინასწარმეტყველიდან მოდის. შესაბამისად, ისინი

მეორეხარისხოვანი, დაქვემდებარებული წინასწარმეტყველები არიან*.

როდესაც ბაჰაის მიმდევარნი მსჯელობენ ადამიანთა მოდგმის მთავარ წინასწარმეტყველებსა და დამრიგებლებზე. როგორც უკვე ვთქვით, ისინი, პირველ რიგში, ასახელებენ უმნიშვნელოვანეს ბიბლიურ დამფუძნებელს – აბრაამს და მოსეს, ქრისტიანული რელიგიის შემქმნელებს – იესო ქრისტეს და ისლამის ფუძემდებლებს მუჰამედს. მათი აზრით, თითოეული მათგანი, კაცობრიობის სულიერი განვითარების ხანგრძლივ და რთულ გზაზე ამკვიდრებდა უმთავრესს – ერთადეროი და ერთიანი ღმერთის ჭეშმარიტ რწმენას. ხოლო დამოკიდებული

---

* ბაჰაის მიმდევრებს, წინასწარმეტყველთა ასეთი კვალიფიკაციისას, მოუხდათ პასუხი გაეცათ შეკითხვაზე – თუ როგორ უყურებს მათი მოძღვრება აღმოსავლურ რელიგიებს, კერძოდ, მათ დამაარსებლებს: ბუდას და კონფუციის პიროვნებებს. ისინი ხომ ნაკლებად ჯდებიან ბაჰაელთა ძირითად კონცეფციაში.

ამ კითხვაზე აბდულ-ბაჰა ასე პასუხობს: მართალია, ბუდამ შექმნა ახალი რელიგია, ხოლო კონფუციმ განაახლა ზნეობა და ძველი სათნოებანი, მაგრამ მათი საქმე შემდგომში დამახინჯდა. ბუდისტთა და კონფუციის მიმდევართა რწმენები და წეს-ჩვეულებანი უკვე აღარ შეესატყვისებიან თავის თავდაპირველ სწაელებას.

ბუდა დაჯილდოებული იყო საოცარი სულიერებით. მან ხომ გამოაცხადა ღმერთის ერთადერთობა, მაგრამ, უფრო გვიან, მისი მოძღვრების პრინციპები მთლიანად დამახინჯდა ან სულ დაიკარგა და მის ნაცვლად დაინერგა ქანდაკებებისა და ხატების თაყვანისცემა.

აბდულ-ბაჰას მიხედვით, ბუდისტები და კონფუციანელები ახლა ეთაყვანებიან სწორედ ამ გამოსახულებებს. მათ დაივიწყეს ღმერთის ერთობა და ერთადერთობა და ძველი ბერძნების მსგავსად ეთაყვანებიან სხვადასხვა ღმერთებს.

(ანუ მიმდევარი) წინასწარმეტყველები ეხმარებოდნენ მათ ამ დიდ საქმეში.

გამოჩენილი ბაჰაი, ბაჰაულას შვილი — აბდულ-ბაჰა, ცალ-ცალკე, პერსონალურად განიხილავდა თითოეულ ამ დამოუკიდებელ წინასწარმეტყველსა და დამრიგებელს. იგი ლაპარაკობდა მათზე, როგორც კაცობრიობის განვითარების გარკვეული ციკლის ლიდერებზე, რომლებმაც უდიდესი როლი შეასრულეს, როგორც ადამიანთა მოდგმის რელიგიურ ცნობიერებაში, ისე კაცობრიობის რეალურ ისტორიაშიც[3].

ჩვენც, მათთან ერთად, შეეცადოთ გავერკვეთ იმ ფაქტებსა და არგუმენტებში, რომელიც თავისი მოსაზრებების დასამტკიცებლად მოაქვთ ბაჰაის მიმდევრებს.

აბრაამი

წინასწარმეტყველებსა და დამრიგებლებს შორის, ბაჰაები პირველს აბრაამს ასახელებენ. აბრაამს, ებრაელთა მამამთავარს, რომელსაც ყურანში იბრაჰიმი ჰქვია. როგორც ბიბლიიდანაა ცნობილი, მისი შვილი ისააკიდან სათავეს იღებენ ებრაელები, ხოლო ასევე მისი შვილის ისმაილისაგან, რომელიც მას მონა-ქალის აგარისაგან ჰყავდა – არაბები.

რით იპყრობს აბრაამი ბაჰაების ყურადღებას და რა იწვევს მათში მის ესოდენ დიდ პატივისცემას? პირველ რიგში ის, რომ მას შემოაქვს ერთიანი ღმერთის თაყვანისცემა. ეს მით უფრო დასაფასებელია, აღნიშნავენ ბაჰაები, რომ იგი დაიბადა მესოპოტამიაში, სადაც არც მისი ხალხი და არც მისი ოჯახი თაყვანს არ სცემდა ერთიან ღმერთს.

ამის გაკეთება, წერდა აბდულ-ბაჰა ბიბლიაზე დაყრდნობით, ძალზე ძნელი იყო. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქრისტიანებს, რომლებიც თაყვანს სცემენ ბიბლიას და ქრისტეს, უარი ეთქვათ მის პიროვნებაზე, ან კიდევ ის, რომ პაპის კარზე დაეწყოთ ქრისტეს გინება და განქიქება, წინააღმდეგობა გაეწიათ თვით პაპისათვის.

აბრაამის გმირობა, ბაჰაების მიხედვით, იმაში მდგომარეობდა, რომ იგი არ მოერიდა არც თავის ოჯახს, არც ხალხს და უარი თქვა მრავალი ცრუ ღმერთის თაყვანისცემაზე, მის ირგვლივ ხომ ყველას სჯეროდა, სწამდა და თაყვანს სცემდნენ სხვადასხვა ღმერთებს, რომელთაც მსხვერპლსაც უხვად სწირავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ აბრაამისათვის, თავის ბიძაშვილ ლოთის და ასევე, რამდენიმე უმნიშვნელო გავლენის ადამიანის გარდა მხარი არავის დაუჭერია, აბრაამი მაინც არ შედრკა, არ შეიცვალა თა-

ვისი რწმენა, თუმცა, მტრებისაგან დევნილი, იძულებული გახდა სამშობლო მიეტოვებინა.

აბრაამი განდევნეს თავისი მიწიდან იმ იმედით, რომ იგი ისე გაღარიბდებოდა და განადგურდებოდა, რომ მისგან კვალიც კი აღარ დარჩებოდა. მაგრამ, მტრების იმედი არ გამართლდა. როდესაც იგი წმინდა მიწაზე მივიდა, ღმერთმა მიაპყრო მას თავისი მოწყალე თვალი და მისი შემწეობით აბრაამი ისევ მალე დადგა ფეხზე.

როგორც ბიბლიიდან ჩანს, აბრაამის ამ განდევნამ საფუძველი ჩაუყარა მისი მრავალრიცხოვანი შთამომავლობის გამრავლებას. უფლის ნებით მათ გადაეცათ წმინდა მიწა. ამასთანავე შეინარჩუნეს ერთი ღმერთის თაყვანისცემა და ფართოდ გაავრცელეს იგი.

სწორედ, აბრაამის შთამომავლობიდან წარმოსდგა იაკობი, ხოლო მისგან იოსები, რომელიც ეგვიპტის მმართველი გახდა. აქედან იყვნენ მოსე და თვით ქრისტეც, ხოლო მონა აგარისაგან დაბადებული ისმაილის გვარიდან უფრო გვიან წარმოსდგა მუჰამედი.

აბრაამის განდევნის წყალობით, მის შთამომავლებს შორის, ბაჰაების მტკიცებით, დაიბადა როგორც ბაბი, ასევე დიდი უმრავლესობა ისრაელის წინასწარმეტყველებისა, რომლებიც სწორედ ამ მოდგმიდან წამოვიდნენ და ეს, ასე გაგრძელდა მანამ, სანამ ამ განდევნის შედეგად მთელი ევროპა და აზიის დიდი ნაწილი არ აღმოჩნდა ისრაელის დიდი ღმერთის გავლენის ქვეშ.

თვითონ განსაჯეთ, მსჯელობენ ბაჰაები, როგორია ეს დიდი ძალა, რომელიც დაეხმარა ადამიანს, რომელიც თავისი ქვეყნიდან იყო გამოძევებული, შეექმნა ასეთი მძლავრი ოჯახი, დაენერგა ასეთი დიდი რწმენა და გაევრცელებინა თავისი მოძღვრება.

ვინმე გაბედავს და იტყვის, რომ ეს შემოხვევით მოხდაო? ვუპასუხოთ სამართლიანად კითხვაზე, — ამბობს აბდულ-ბაჰა, — იყო თუ არა ეს კაცი ნამდვილი წინასწარმეტყველი და დამრიგებელი.

ზემოთთქმულიდან გამომდინარე, აბდულ-ბაჰა ასეთ დასკვნას აკეთებს: რამდენადაც აბრაამის განდევნამ ურიდან ალეპოში — სირიაში, გამოიწვია ასეთი დიდი შედეგები, უნდა ვიფიქროთ, რომ თუ როგორი დიდი იქნებოდა შედეგები ბაჰაულას გადასახლებისა, რომლის დროსაც მას მოუხდა დიდი მოძრაობა: გადასვლა თეირანიდან ბაღდადში, აქედან კი კონსტანტინოპოლში, შემდეგ რუმელიაში და ბოლოს კი წმიდა მიწაზე. ასეთი სრულყოფილი, უდიდესი მასწავლებელი და წინასწარმეტყველი იყო აბრაამი, ასკვნის აბდულ-ბაჰა.

მოსე

აბრაამის შემდეგ, მომდევნო დიდ წინასწარმეტყველად და დამრიგებლად აბდულ-ბაჰა ასახელებს მოსეს, ადამიანს, რომელმაც მრავალი წელი გაატარა უდაბნოში, გაიზარდა ტირანიის პირობებში და ხალხში ცნობილი იყო როგორც მკვლელი, ხოლო ბოლოს მწყემსი გახდა. მთავრობას და ფარაონის ხალხს სძულდათ იგი და ამიტომაც უარყოფდნენ მას.

აი, ასეთი ბიოგრაფიის კაცმა, მსჯელობს აბდულ-ბაჰა, გაათავისუფლა დიდი ხალხი მონობისაგან, გამოიყვანა ეგვიპტის ტყვეობისაგან, დაამყარა მათ შორის თანხმობა და მიიყვანა წმინდა მიწამდე.

მოსემ ჩაგრული და დამცირებული ებრაელი ხალხი ჭაობიდან მაღალ მწვერვალებამდე აიყვანა, ადრე მონობაში მყოფნი თავისუფალი გახადა. გა-

უნათლებელი ხალხი ბრძენ ხალხად აქცია. იმ კანონების შედეგად, რაც მან ებრაელ ხალხს დაუდგინა, მათ მიაღწიეს ისეთ გამორჩეულ მდგომარეობას და დაიკავეს ისეთი საპატივცემულო ადგილი სხვადასხვა ხალხებს შორის, რომ მათი დიდება ქვეყნით-ქვეყნობამდე გავრცელდა. მის შემდეგ ებრაელად ყოფნა უკვე მეტად საპატიოდ ითვლებოდა. სწორედ მოსეს კანონებში, მისმა სიბრძნემ შთაჰბერა სული ისრაელის მოსახლეობას და ისინი უმაღლესი რანგის ცივილიზაციამდე მიიყვანა.

აბდულ-ბაჰას თქმით, მათ განვითარების ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ ყველა მხრიდან მოდიოდნენ, რათა ეს სიბრძნე შეესწავლათ და გაეზიარებინათ.

ჩამომსვლელთა შორის ასახელებენ თვით სოკრატეს, დიდ ბერძენ ფილოსოფოსს, რომელიც სირიაში ჩამოდიოდა ხოლმე. აქ მან სწორად აღიქვა და სამართლიანად სცნო ისრაელელთა მოძღვრება ერთიანი ღმერთის და სულის უკვდავების შესახებ, რაც შემდგომში საბერძნეთშიც გაავრცელა. ამის გულისათვის მას, როგორც ბიწიერ და ცოდვილ ადამიანს არეოპაგმა საწამლავით სიკვდილი მიუსაჯა.

მაგრამ, ისევ მოსეს დავუბრუნდეთ. გასაოცარი იყო ის, – აგრძელებს მსჯელობას აბდულ-ბაჰა,– თუ ვინ მოეელინა ებრაელ ხალხს მფარველად და წინამძღოლად? როგორც უკვე ვთქვით: ბლუ ადამიანი, რომელიც იზრდებოდა ფარაონების სახლში, რომელიც ხალხში ცნობილი იყო, როგორც მკვლელი, რის გამოც დიდხანს იმალებოდა და ერთხანს მწყემსიც გახდა...

ასეთი ბიოგრაფიის კაცმა როგორ დაიწყო და დააფუძნა ასეთი დიდი საქმე. გასაკვირი ის იყო, რომ იმ დროს, როდესაც თვით უბრძნესმა ფილოსოფოსებმა დედამიწაზე ვერ მოახერხეს მოეპოვებინათ ასეთი გავლენის მეათასედი ნაწილიც კი,

რაც მოსემ მოიპოვა და განახორციელა ადამიანთა ისტორიაში?

ჭეშმარიტად, აი ეს არის სასწაული, – ასკვნის აბდულ-ბაჰა და ამასთანავე ამატებს: მისთვის, რომ ღვთაებრივ ძალას არ აღმოეჩინა შემწეობა, ასეთ დიდ საქმეს იგი ვერასოდეს ვერ ჩაიდენდაო. ეს ფაქტები კი კამათს არ იწვევსო.

შემდეგ აბდულ-ბაჰა აგრძელებს მსჯელობას ამავე საკითხზე და ამბობს: „მატერიალისტმა ფილოსოფოსებმა, ბერძენმა ფილოსოფოსებმა თუ რომის უდიდესმა ადამიანებმა, სახელი გაითქვეს მთელ მსოფლიოში იმით, რომ თითოეული მათგანი იყო მხოლოდ ერთი საგნის მცოდნე. ასე მაგალითად: გალენმა და ჰიპოკრატემ სახელი გაითქვეს მედიცინაში, არისტოტელემ უმაღლეს მწვერვალებს მიაღწია ლოგიკასა და არგუმენტაციაში, პლატონმა ეთიკასა და თეოლოგიაში, და ასეთ ფონზე, უბრალო მწყემსს, როგორიც მოსე იყო, როგორ უნდა ჩაეტია თავის გონებაში ასეთი დიდი ცოდნა? ეჭვი არ არის, რომ მას მხარს უჭერდა ყოვლისშემძლე ძალა. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მას ცუდი რეპუტაცია ჰქონდა, ზებუნებრივი ძალის დახმარებით მაინც მოახერხა ექადაგა და დაენერგა ღვთის დიდი მცნებები და კანონებიო."

ქრისტე

შემდეგ მოვიდა ქრისტე, რომელმაც თქვა: „მე დავიბადე სული წმიდისაგან". ახლა, ამბობდა აბდულ-ბაჰა, ქრისტიანისათვის ძნელი არ არის დაიჯეროს ეს მსჯელობა, მაგრამ იმ დროს ამის დაჯერება ძალზე ძნელი იყო, რადგან თვით სახარებებშიც არის გამოთქმული ეჭვი ამის შესახებ: „...განა ეს არ არის იესო, – ნათქვამია იოანეს სახარებაში,

– იოსების-ძე, ვის დედ-მამასაც ვიცნობთ? როგორღა ამბობს, ზეცით ჩამოვედიო?“ (იოანე 6,42).

მოკლედ რომ ვოქვათ, ამბობს აბდულ-ბაჰა, ადამიანი რომელიც ყველას თვალში ეკავა ძალზე დაბალი მდგომარეობა, ისეთი ძალით აჯანყდა, რომ გააუქმა რელიგია, რომელიც უკვე 15 საუკუნე არსებობდა. და ეს მოხდა იმ დროს, როდესაც თვით უმცირესი გადახრაც კი ამ რელიგიის მიმდევრებისაგან სასტიკად ისჯებოდა, დამრღვევს კი აუცილებლად სიკვდილი ელოდა.

უფრო მეტიც შეიძლება ითქვას, ქრისტეს დროს მთელ მსოფლიოში, მათ შორის ებრაელებს შორის, შეიმჩნეოდა დიდი შეშფოთება და ზნეობის მკვეთრი დაცემა.

ხოლო თვით ისრაელი ამ დროისთვის საოცრად დაეცა, განადგურდა და დამოუკიდებლობა დაკარგა. ისტორიიდან ცნობილია, რომ ებრაელები ჯერ ქალდეველებმა და სპარსელებმა დაიპყრეს, შემდგომ ისინი მონებად აქციეს ასირიელებმა, შემდგომ ისინი გახდნენ ქვეშევრდომები და ვასალები საბერძნეთის, და ბოლოს, ისინი აღმოჩნდნენ რომაელთა ბატონობის ქვეშ, რომელთაც საოცრად სძულდათ ისინი.

აბდულ-ბაჰას თქმით, ამ ახალგაზრდა კაცმა – იესო ქრისტემ, ზებუნებრივი ძალის მეოხებით, მოახერხა უარეყო მოსეს ძველი კანონები, გარდაექმნა საზოგადოებრივი მორალი და გაევრცელებინა თავისი მოძღვრება, რომელიც მიმართული იყო არა მარტო ისრაელისადმი, არამედ მთელი კაცობრიობისადმი.

მის წინააღმდეგ აღსდგა საკუთარი ხალხი. გარეგნულად საქმე ისე გამოიყურებოდა, რომ იუდეველები უფრო ძლიერები აღმოჩნდნენ, რამდენადაც მათ შესძლეს შეეპყროთ იესო ქრისტე, თავზე ეკლის გვირგვინი დაახურეს და გოლგოთაზე ჯვარს აცვეს.

მაგრამ, საქმე პირიქით შეტრიალდა. ქრისტემ ეს უდიდესი ტანჯვა-წვალება მართლაც თავის თავზე იწვნია, მაგრამ მაინც ასეთი სიტყვები წარმოთქვა: „მზე ისევ იბრწყინებს, ეს სინათლე ისევ გაანათებს, ჩემი მადლი გაანათებს სამყაროს და ყველა ჩემი მტერი შერცხვენილი იქნება“-ო.

და ეს ამბავი ისე აღსრულდა, როგორც თვითონვე თქვა, რადგან ვერცერთი მიწიერი მეფე ვერ დაუპირისპირდა მას. მათი დროშები ძირს გათელილი იპოვეს იმ დროს, როდესაც ტანჯული ქრისტეს ბაირაღი ზემოთ აღმართული ამაყად ფრიალებდა.

და თუკი, – მსჯელობს აბდულ-ბაჰა,– ეს ამბავი ეწინააღმდეგება რეალურ ადამიანურ ლოგიკას, მაშინ ნათელი ხდება, რომ ეს დიდებული მოღვაწე იყო ჭეშმარიტი დამრიგებელი და განმანათლებელი ადამიანთა შორის, რომელსაც აუცილებლად წარმართავდა ღვთაებრივი ძალა.

მუჰამედი

მუჰამედზე აბდულ-ბაჰა ყველაზე ვრცლად წერს. იგი თავის საუბარს მუჰამედზე იმ დროის დახასიათებით იწყებს, რომლის დროსაც მოვიდა ისლამის დამაარსებელი და განმარტავს თუ რა პირობებში მოუხდა მას მოღვაწეობა...

იმ დროს, როდესაც მუჰამედი მოვიდა, წერს აბდულ-ბაჰა, არაბული ტომები განვითარების ძალიან დაბალ საფეხურზე იდგნენ, თითქმის ველურობის დონეზე. მათთან შედარებით თვით აფრიკის ველური ხალხები და ინდიელთა ტომებიც ამერიკაში, პლატონივით სიბრძნეს ფლობდნენ. ყოველ შემთხვევაში, ამერიკელი ველურები როგორ დამმარხავდნენ ქალიშვილებს ცოცხლად, როგორც ამას

არაბები აკეთებდნენ და ამას, კეთილშობილურ საქმედ თვლიდნენო.

უფრო გვიანაც, ბევრი არაბი ქმარი აშინებდა ცოლს, ემუქრებოდა, რომ მოკლავდა მას, თუკი ქალიშვილი გაუჩნდებოდა. დღესაც კი, ამბობს აბდულბაჰა, არაბს ნამდვილად არ უხარია ქალიშვილის დაბადება. მამაკაცს კი შეუძლია ჰყავდეს ათ ცოლზე მეტი. როდესაც არაბული ტომები ეომებოდნენ ერთმანეთს, გამარჯვებულები ხელთ იგდებდნენ დამმარცხებულთა ქალებს და ბავშვებს, შემდეგ კი მონებად ჰყიდდნენ.

ისეც ხდებოდა ხოლმე, რომ კვდებოდა ადამიანი, რომელსაც ათი ცოლი ჰყავდა, სწორედ ამის შემდეგ იწყებოდა ქაოსი. მისი შვილები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ერთმანეთის დედები საკუთრებაში.

პროცედურა ასეთი იყო: ერთ-ერთი შვილი თავზე გადააფარებდა შალს (საბანს) გარდაცვლილი მამის ნებისმიერ ცოლს სიტყვებით: „ეს ქალი ჩემი კანონიერი საკუთრებაა“.

და ეს უბედური იმწუთშივე იქცეოდა ამ კაცის ტყვედ და მონად. მას შეეძლო რაც უნდოდა ექნა მისთვის. ეცემა, ორმოში ჩაეგდო ან სულაც მოეკლა; ეტანჯა და ეწვალებინა მანამდე, სანამ ამ უბედურს სული არ ამოხდებოდა. ეს ხდებოდა იმიტომ, რომ მამაკაცი, არაბთა წეს-ჩვეულების მიხედვით, მის ახალ პატრონად ითვლებოდა.

სრულიად გასაგებია, თუ როგორი მძიმე სულისკვეთება და დამოკიდებულება სუფევდა ასეთ ოჯახებში. აქ უხვად იყო ეჭვიანობა, სიძულვილი, არაკეთილგანწყობა, განსაკუთრებით მძიმე იყო ქალების ხვედრი.

ცნობილია, რომ არაბები უმეტესად ყაჩაღობით და ძარცვით მოიპოვებდნენ თავისი არსებობის საშუ-

ალებებს. ამიტომ, გამუდმებით მტრობდნენ და ებრძოდნენ ერთმანეთს, ძარცვავდნენ და ქურდობდნენ. ტყვედ მიჰყავდათ ქალები და ბავშვები, რომლებსაც შემდგომ მონებად ჰყიდდნენ.

ძალზე ხშირად ხდებოდა, რომ კეთილშობილი და მდიდარი ოჯახის ვაჟები თუ ქალიშვილები, რომლებიც აღზრდილნი იყვნენ ფუფუნებაში, ერთ ღამეში კარგავდნენ ყველაფერს და ვარდებოდნენ სიღატაკესა და მონობაში, არნახულ დამცირებაში. ისინი ჯერ კიდევ გუშინ იყვნენ პრინცები, თავმომწონე ადამიანები, დღეს კი გასაყიდ ტყვეებად იქცეოდნენ...

აბდულ-ბაჰა მიუთითებს იმაზეც, რომ მუჰამედს არ უყვარდა სისხლისღვრა და რომ მისი ომები მხოლოდ თავდაცვის მიზნით ხდებოდა, შესაბამისად, მისი ბრძოლები ყოველთვის იძულებითი ხასიათისა იყო.

ცნობილია, რომ მუჰამედმა მიიღო ღვთაებრივი გამოცხადება მაშინ, როცა ცხოვრობდა. მებრძოლი და ველური ტომების გარემოცვაში, ცამეტი წლის მანძილზე, თავის მოწაფეებთან ერთად იტანდა მუჰამედი ყოველგვარ განსაცდელს და ბოლოს, მაინც იძულებული გახდა გაქცეულიყო მშობლიური მიწიდან, ხოლო ეს ველური, მებრძოლი ტომები, რომელთათვისაც უცხოა რაიმე კანონები, მაინც სდევდნენ მას, აგრძელებდნენ მამაკაცთა დახოცვას, ქალებისა და ბავშვების მონებად გაყიდვას, ქონების ძარცვას.

აი ასეთ გარემოებებში მოუხდა მუჰამედს ხელში იარაღის აღება. აბდულ-ბაჰა თელის, რომ მას სხვა გამოსავალი უბრალოდ არ ჰქონდა. მე არ მინდა მისი გამართლება, რომ გავამართლოთ მისი საქციელი, მაგრამ ეს სინამდვილეა და, შესაბამისად, ჩვენ ვამბობთ იმას, თუ რა მოხდა სინამდვილეში, — ამბობს აბდულ-ბაჰა. ყოველივე ამას რომ შესწრებოდა, მაშინ რას იზამდა ქრისტე იმ დროსო?

– კითხულობს აბდულ-ბაჰა და იქვე პასუხობს: თუკი ასეთი თავდასხმა მხოლოდ პირადად მასზე მოხდებოდა, იგი მათ აპატიებდა და ასეთი პატიება იქნებოდა ყოვლად საქებარი, მაგრამ თუკი იგი დაინახავდა, რომ სისხლისმსმელ მკვლელებს უნდათ დახოცონ და გაძარცვონ ყველა ჩაგრული, მონებად აქციონ ქალები და ბავშვები, მაშინ იესო დაიცავდა ჩაგრულებს და წინააღმდეგობას გაუწევდა მოძალადეებს.

ასეთ შემთხვევაში რა შეიძლება ითქვას მუჰამედის ქმედების წინააღმდეგ? ბრალი დავდოთ იმაში, რომ მან და მისმა მიმდევრებმა, მათი ცოლები და ბავშვები არ დაუმორჩილეს ველურ ტომებს?..

გაეთავისუფლებინა ეს ტომები სისხლისმსმელობისაგან და სისასტიკისაგან, ეს ძალზე დიდი სიკეთე იყო, ალაგმვა და დამორჩილება მათი კი დიდი გულმოწყალება.

როდესაც ადამიანს ტუჩებთან მიაქვს შხამი და მას ვიღაც ხელით გააგდებინებს ფიალას, ამით იგი მას სიცოცხლეს უნარჩუნებს. თუკი ქრისტე აღმოჩნდებოდა ასეთ გარემოებებში, ის აუცილებლად თავისი ყოვლისდამძლევი ძალით აუცილებლად იხსნიდა მამაკაცებს, დედაკაცებს და ბავშვებს სისხლისმსმელთა კლანჭებიდანო.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დებულება, რასაც აბდულ-ბაჰა აყენებს: მუჰამედს არასოდეს არ უბრძოლია ქრისტიანებთან. პირიქით, იგი მათ კარგად ექცეოდა და სრულ თავისუფლებას აძლევდა. ქრისტიანთა თემი, რომელიც ნაირანში იყო, სარგებლობდა მისი დახმარებით, დაცვით და მფარველობით. მუჰამედმა გამოაცხადა: „თუკი ვინმე დაიწყებს მათი უფლებების გათელვას და შევიწროებას, მე თვითონ შევეწინააღმდეგები ამას და ღვთის სახის წინ მე თვითონ ბრალს დავდებ მათო“.

იმ ედიქტებში, რომელსაც მუჰამედი პირადად აქვეყნებდა, ნათლად ჩანს, რომ როგორც ქრისტიანების ისე იუდეველების, სიცოცხლე, ქონება და პატივი, ღმერთისა და მისი კანონებით დაცულად ცხადდებოდა.

აბდულ-ბაჰა განიხილავდა იმ რეალურ შემთხვევებსაც (რაც ხშირად ხდებოდა პრაქტიკაში), როდესაც მუსულმანი კაცი ქორწინდებოდა ქრისტიან ქალზე. მაშინ, მუჰამედის კანონმდებლობით, ქმარს ცოლისათვის ხელი არ უნდა შეეშალა ეკლესიაში სიარულში და არ აიძულებინა დაეფარა სახე, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემთხვევაში კი – ქრისტიანული წესით უნდა დაემარხა.

ამის გარდა, თუკი ქრისტიანები მოინდომებდნენ ეკლესიის აშენებას, მუსლიმები უნდა დახმარებოდნენ მათ. ომის შემთხვევაში ისლამის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის, ქრისტიანები არ უნდა ჩარეულიყვნენ ბრძოლაში. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, ისინი მადლიერების გამო, ჩათვლიდნენ თავის თავს მოვალედ მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში ისლამის დასაცავად.

თავისი უსაფრთხოებისა და ფიზიკური დაცვისათვის მათ ხელისუფლებისათვის უნდა გადაეხადათ ყოველწლიური კომპენსაცია, მცირე თანხის ოდენობით.

საერთოდ ცნობილია, შვიდი ედიქტი, რომელიც იმ საკითხებს ეხება, რომელშიაც დეტალურად არის გამორჩეული თითოეული შემთხვევა. ამ ედიქტების რამდენიმე ასლი შემონახულია იერუსალიმში. ეს დადგენილი ფაქტია და იგი არ თხოულობს ჩემს დამტკიცებას. მეორე ხალიფის ედიქტი აქამდე ინახება მართლმადიდებელ პატრიარქთან იერუსალიმში, და იგი ეჭვს არ იწვევსო, – ასკვნის აბდულ-ბაჰა.

მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში, მტრული გამოხდომების გამო, როგორც ქრისტიანთა ისე მუსლიმთა მხრიდან, მათ შორის მაინც წარმოიქმნა სიძულვილი და ქიშპი. ეს არისო ფაქტი, ასკვნის აბდულ-ბაჰა, ხოლო ყოველგვარი სხვა თხრობა მუსლიმების თუ ქრისტიანების დაპირისპირების შესახებ არის ტყუილი გამონაგონი და მონაჭორი, რომელიც გამოწვეულია ფანატიზმით, უცოდინარობით და არაკეთილმოსურნეობით.

ამრიგად, ამთავრებს აბდულ-ბაჰა მუჰამედის დახასიათებას, მუჰამედი მოევლინა ქვეყანას ჰიჯაზის უდაბნოში, არაბეთის ნახევარკუნძულზე, რომელიც წარმოადგენს უსიცოცხლო და უნაყოფო ქვიშას, პრაქტიკულად უკაცრიელ ადგილს.

ზოგიერთ ადგილას, მაგალითად, მექასა და მედინაში კლიმატი ძალზე ცხელია. იქაური ადამიანები იყვნენ მომთაბარეები, ზნეობით და წესჩვეულებებით ისეთი, როგორიც შეჰფერის უდაბნოს მცხოვრებთ. ისინი ძალზე შორს იდგნენ ცოდნისა და განათლებისაგან.

მუჰამედი თვით იყო გაუნათლებელი და, საერთოდ, თავდაპირველად ყურანს წერდნენ ცხერის ბეჭის ძვალზე ან პალმის ფოთლებზე. ეს დეტალები კარგად გვიჩვენებენ იმ ადამიანთა განვითარების დონეს, ვისთანაც იქნა სამოციქულოდ გაგზავნილი მუჰამედი.

მისი პირველი კითხვა ხალხისადმი ასეთი იყო: „რატომ არ ღებულობთ ხუთწიგნეულს და სახარებების ჭეშმარიტებას, და რატომ არ გწამთ ქრისტე და მოსე?

საგონებელში ჩავარდნილი ადამიანები შეეპასუხნენ: „თუკი ჩვენს წინაპრებს არ სწამდათ ხუთწიგნეული და სახარებები, ჩვენ რატომღა უნდა ვიწამოთო“? იგი ამაზე პასუხობდა: „ისინი ცდებოდნენ,

თქვენ უნდა უარყოთ ისინი, ვისაც არ სწამს ხუთწიგნეული და სახარებები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თქვენი მამები და წინაპრები იყვნენო“.

აი, ასეთ ქვეყანაში, – ასკვნის აბდულ-ბაჰა, – ამ ველური ტომის ხალხებს შორის, წერა-კითხვის უცოდინარმა კაცმა შექმნა წიგნი, რომელშიაც სრულად და გამოკვეთილად განმარტა ღმერთის თვისებები და სრულყოფილებანი. ღმერთის მიერ გამოგზავნილი წინასწარმეტყველების და დამრიგებლების მისიები, ღვთის კანონები და ზოგიერთი მეცნიერული ფაქტიც.

ერთი სიტყვით, აჯამებს აბდულ-ბაჰა თავის ნათქვამს: აღმოსავლეთის ბევრი ხალხი ცამეტი საუკუნის განმავლობაში იყო მუჰამედის რელიგიის გავლენის ქვეშ. შუა საუკუნეებში, როდესაც ევროპა აღმოჩნდა ჩაძირული ბარბაროსობის მორევში, მაშინ არაბი ხალხები სჯობნიდნენ სხვა ეროვნების ხალხებს მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ცივილიზაციაში, მართვაში, მათემატიკაში და სხვა მეცნიერებებში.

განმანათლებელი, დამრიგებელი და წინასწარმეტყველი ამ არაბული ტომებისა, ცივილიზაციის დამფუძნებელი და ჰუმანიზმის გამავრცელებელი დასხვა განსხვავებულ ხალხებს შორის იყო გაუნათლებელი ადამიანი – მუჰამედი. იყო თუ არა ის გამოჩენილი ადამიანი, სრულყოფილი წინასწარმეტყველი და დამრიგებელი? – კითხულობს აბდულ-ბაჰა და პასუხს მკითხველისაგან მოელის.[4]

ბაჰაის რწმენა – სექტა თუ რელიგია

კითხვაზე – ბაჰაის რწმენა სექტაა თუ რელიგია, სულ უფრო მეტი მკვლევარი იხრება იმისკენ, რომ ეს მოძღვრება რელიგიაა. უფრო მეტიც, ზოგი თვლის, რომ იგი არა მარტო ჩვეულებრივი რელიგიაა, არამედ მსოფლიო რელიგიაცაა.

გერმანელმა მკვლევარმა უდო შეფერმა სპეციალური წიგნიც უძღვნა ამ საკითხს. იგი, პირველ რიგში, შეეცადა დაეზუსტებინა ისეთი ცნებები, როგორიცაა: ეკლესია, დენომინაცია, სექტა, კულტი და ამის შემდეგ მოექცია ბაჰაის მოძღვრება რომელიმე შესატყვის ჩარჩოში.

უდო შეფერი თავის ნაშრომში ეყრდნობა მრავალრიცხოვან გამოკვლევებს, სხვადასხვა მეცნიერთა განსაზღვრებებს ამ საკითხებზე, მათ შორის, ახსენებს რელიგიათმცოდნე რუდოლფის მიერ მოტანილ სექტის განმარტებას, ეთანხმება და იმეორებს მას:

„სექტა, ესაა „რელიგიური ჯგუფი ან თემი, რომელიც დაარსებულია სხვა რელიგიის ჩარჩო'ში (რომელსაც, თავის მხრივ, ჰყავს დამაარსებელი, რელიგიური წიგნები). რაოდენობრივად და გავრცელების არეალის მიხედვით, იგი ჩამორჩება ოფიციალურ, მთავარ თემს (ეკლესიას), მაგრამ ნაწილობრივ მისდევს მისი მოძღვრების დოგმატებს. თეოლოგიური კუთხით, იგი წარმოადგენს „ქვეთემს" გაბატონებულ „მთავარ თემთან" მიმართებაში"[5].

უდო შეფერს მოაქვს გრძელი სია იმ ცალკეული ავტორებისა და მათ მიერ გამოცემული წიგნებისა, რომლებიც ბაჰაის რწმენას რელიგიად აცხადებენ. მათ შორის დასახელებულია ვატიკანში გამოცემული ენციკლოპედია.

ამ საკითხზე ასეთივე დასკვნებამდე მივიდნენ ალექსანდრო ბაუსანი, რუდოლფ იოკელი და იოაჰიმ

ბახი. ამ მოძღვრებას რელიგიას უწოდებს შტუტგარტის პროტესტანტული ცენტრის ყოფილი მეთაური იდეოლოგიურ საკითხებში კურტ ხიუტენი, რომელიც თავის წიგნში, მართალია კრიტიკულადაა განწყობილი ბაჰაის მოძღვრების მიმართ, მაგრამ მას მაინც რელიგიას უწოდებს. ასეთივე შეხედულება აქვს გამოთქმული ფონ გლაზენაპს, რომელიც ჯერ კიდევ 1957 წელს უწოდებდა ბაჰაის „რწმენის რელიგიას".

უდო 'მეფერს მოაქვს ფრაგმენტი მისი საექსპერტო დასკვნიდან:

„...მართალია, ბაჰაის რელიგიას აქვს თავისი ფესვები ისლამში, მაგრამ იგი წარმოადგენს ღვთის თაყვანისცემის დამოუკიდებელ ფორმას და არა ისლამურ სექტას, სხვაგვარად, ჩვენ მოგვიწევდა, ქრისტიანობა ჩაგვეთვალა იუდაურ სექტად იმ საფუძველზე, რამდენადაც იგი ამოიზარდა იუდაიზმიდან"[6].

1961 წელს ამავე საკითხზე თავისი პოზიცია განმარტა ერჰარდ როზენკრანცმა, რომელიც წერდა:

„ბაჰაულას ყველაზე უფრო დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან მოახერხა მოენიშნა დამოუკიდებელი რელიგიის საზღვრები, რასაც იგი ჯერ კიდევ ბაბის დროს წარმოადგენდა. მან შეძლო გამოეყო თავისი რელიგია შიიტური რწმენისაგან იმის პრეტენზიით, რომ იგი უფრო მეტია მასზე. ასეთი პრეტენზიის მეოხებით, მას საშუალება მიეცა მოეცვა და არ უარეყო სხვა რელიგიები. ბაჰაიზმი უნდა ჩავთვალოთ სხვა არაფრად, თუ არა თვითკმარ რელიგიად"[7].

სხვათა აზრით, კერძოდ, პროტესტანტი თეოლოგის ფრიდრიხ გეილერის აზრითაც, ბაჰაის რწმენა ნამდვილად რელიგიაა:

...„ბაჰაულა ახალი რელიგიის შემოქმედია. ერთი მხრივ, ურთიერთდამოკიდებულება ბაჰაის რწმენასა და ისლამს შორის ისეთივეა, როგორც ისლამს, იუდაიზმს და ქრისტიანობას შორის. ამიტომ, ბაჰაის

რელიგიის მიკუთვნება ისლამური სექტებისათვის ან მიმდინარეობისათვის ისევე უადგილოა, როგორც ისლამის, იუდაიზმის ან ქრისტიანობის სექტად გამოცხადება. მარტო ის ფაქტი, რომ ბაჰაულა, როგორც დროის მიხედვით უკანასკნელი უმაღლესი გამოცხადების გამხმოვანებელია და იკავებს იმ ადგილს, რომელიც ისლამში მუჰამედს უკავია, ნათლად გვიჩვენებს, რომ ბაჰაის რელიგიას აქვს ისეთივე სტატუსი, როგორც სხვა მსოფლიო რელიგიებს: ინდუიზმს, ბუდიზმს, ისლამს, სიკხიზმს და ქრისტიანობას"...[8]

იმათ შორის, ვინც ბაჰაის საწმუნოებას რელიგიად აღიარებს, იყვნენ რელიგიათმცოდნეები: რაინერ ფლაშე და ერნესტ დამანი. ისინი თვლიდნენ, რომ ბაჰაის რწმენა აკმაყოფილებს ყველა იმ მოთხოვნას, რაც რელიგიას უნდა ჰქონდეს, მას აქვს თავისი „საღმრთო წერილი" ბაჰაულას თხზულებათა სახით, რაც წარმოადგენს ახალ გზავნილს, ღვთის ახალ ეპისტოლეს...

ბაჰაის სარწმუნოებას რელიგიად თვლიან კარსტენ კოლპე, პეტერ მაინხოლდი, ფერეიდუნ ვახმანი (პროტესტანტულ თეოლოგიურ ენციკლოპედიაში).

წარმოდგენა ბაჰაის სარწმუნოებაზე, როგორც მსოფლიო რელიგიაზე და არა სექტაზე, კიდევ უფრო განმტკიცდა XX საუკუნის მიწურულსა და XXI საუკუნის დასაწყისში.

რელიგიათმცოდნეთა ყველა ეს მოსაზრება სრულიად ჯდება ბაჰაის მიმდევართა კონცეფციაში კაცობრიობის ისტორიაში ორი რიგის წინასწარმეტყველებების შესახებ, სადაც ბაბი და ბაჰაულა გამოცხადებულნი არიან ახალი დროის და ახალი ციკლის უმაღლეს დამოუკიდებელ წინასწარმეტყველებად.

მსოფლიოს რელიგიათა გაერთიანების მცდელობა

როგორც უკვე ვთქვით, ბევრი მკვლევარი თვლის, რომ ბაჰაის რწმენა სექტა არ არის. იგი რელიგიაა, რომელიც მსოფლიოს ყველა ხალხისადმია მიმართული და, ამასთან, ცდილობს თავი მოუყაროს ყველა რელიგიურ რწმენას, მიუჩინოს მათ თავიანთი ადგილი მსოფლიო რელიგიათა განვითარების ისტორიულ სქემაში, დასძლიოს ის წინააღმდეგობანი და ხელისშემშლელი ფაქტორები, რაც სხვადასხვა რელიგიურ მიმდინარეობებს შორის არსებობს, ხელი შეუწყოს მსოფლიოს ხალხთა სულიერ დაახლოებას.

მსოფლიო რელიგიათა გაერთიანების პროცესი, რასაც ბაჰაის რელიგიის მიმდევრები ცდილობენ, მრავალ სირთულესთან არის დაკავშირებული. ეს სიძნელე მშვენივრად ესმით ბაჰაებს. მათ შესანიშნავად იციან, რომ რელიგიურ სწავლებათა ღვთისმსახურების სხვადასხვა ფორმები, ტრადიციები და წეს-ჩვეულებანი ძალიან უშლიან ხელს რელიგიათა ერთობას. ეს განსხვავებანი აიხსნება იმით, რომ სხვადასხვა სულიერი, კულტურული და საზოგადოებრივი პირობები, რომელშიც ჩამოყალიბდა ესა თუ ის რელიგია და ემსახურება სეპარატისტულ ტენდენციებს, მჟღავნდება კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე, რომლის გამოსწორება, სამწუხაროდ, ევროპაში განხორციელებული რეფორმაციის შედეგადაც არ მოხერხდა.

ბაჰაის სარწმუნოება სხვა რელიგიათა მიმართ უკიდურესი შემწყნარებლობით გამოირჩევა. იგი ცდილობს, რომ რელიგიათა შორის დიალოგი შედგეს ისე, რომ ჩრდილი არ მიადგეს არც ადრინდელ

წინასწარმეტყველებს და არც მათ „საღმრთო წიგ-ნებს“.

მათთვის აბრაამი, მოსე, კრიშნა, ბუდა, ზოროასტრი, ქრისტე და მუჰამედი არიან ღვთის მიერ წარმოგზავნილი მაცნეები, სულის მხსნელნი, დამოუკიდებელი წინასწარმეტყველები, რომლებმაც გაანათეს მსოფლიო თავისი შუქით. თითოეულმა ამ წინასწარმეტყველმა და მისმა შექმნილმა რელიგიამ თავისი მნიშვნელოვანი აგური დადო მსოფლიოს სულიერ განვითარებაში.

ბაჰაების აზრით, რელიგიის ისტორია არის ადამიანთა ხსნის ისტორია, თითოეულმა რელიგიამ თავისი მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადამიანთა მოდგმის ხსნის საქმეში. მათი თქმით, მართალია, რელიგიათა შორის არის წინააღმდეგობანი, დაპირისპირებანი, რომელიც, დრო და დრო დაუძლეველიც გვგონია, მაგრამ ეს წინაღობები თანდათან უნდა დაიძლიოს. ამისათვის, ცხადია, მარტო კეთილი ნება საკმარისი არ არის.

რა უნდა გაკეთდეს ამისათვის: პირველ რიგში, მსოფლიოში უნდა დაიძლიოს კონკურენციის ატმოსფერო, დაიგმოს ამა თუ იმ რელიგიის განსაკუთრებულობის და რჩეულობის პრეტენზია, იმის მტკიცება, რომ მისი წინასწარმეტყველის გამოცხადება არის ღვთის უკანასკნელი სიტყვა. ასეთი პრეტენზიები ხელს როდი უწყობს დიალოგს და ურთიერთობას სხვადასხვა რელიგიებს შორის.

ასეთი მნიშვნელოვანი დიალოგისათვის აუცილებელია რელიგიურ კონფესიათა თანასწორუფლებიანობის და ერთნაირი სტატუსის აღიარება, სხვაგვარად – დიალოგი მათ შორის თანაბარ დონეზე.

როგორც რელიგიათმცოდნეები სამართლიანად შენიშნავენ: ბაჰაის სარწმუნოების მიერ მსოფლიო რელიგიების ჩამოყალიბების ახსნა, მათი განვითარე-

ბის და თანმიმდევრულობის სქემის მოხაზვა, საშუალებას იძლევა შევარიგოთ სხვადასხვა რელიგიები და შევათანხმოთ მათი განსხვავებული დოგმები, დავძლიოთ ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ესოდენ ხშირად აშორებდა და ყოფდა კაცობრიობას, აღვივებდა სიძულვილს, კონფლიქტებს, ომებს, მოჰქონდა აურაცხელი უბედურება და ტანჯვა. ბაჰაულამ სცადა ამ ურთულესი ავადმყოფობის დაძლევა ისე, რომ სხვათა რწმენისათვის ზიანი არ მიეყენებინა. ამიტომ, მოუწოდა თავის მომხრეებს: ყველა რელიგიის წარმომადგენლებთან ყოფილიყვნენ მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

როგორც ზემოთაც ვწერდი, ბაჰაულას სამშვიდობო გზავნილი გაეგზავნა მთელ კაცობრიობას, შესაბამისად, მისი მისია მთელ მსოფლიოს მოიცავს. იგი ემსახურება მსოფლიოს ხალხების გადარჩენას რელიგიური შუღლისა და დაპირისპირებულობისაგან.

ბაბი და ბაჰაულა

მსოფლიოს ყველა რელიგიაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მის დამაარსებელთა ბიოგრაფიას, რადგან ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული სწავლებასთან და საბოლოო ჯამში, მათი გაგებით, ღვთის განგებას ემორჩილებიან. მათი მოვლენა, ცხადია, შემთხვევით არ მომხდარა. ისინი ღვთის მაცნეები, ღვთის ნების განმცხადებლები იყვნენ და დროდადრო აუწყებდნენ კაცობრიობას ღვთის სურვილებს. ჩვენს შემთხვევაში ყურადღება მახვილდება ახალი დროის წინასწარმეტყველებზე – ბაბზე და ბაჰაულაზე.

როგორც ბაჰაის მოძღვრების მიმდევრები ამტკიცებენ, ჩვენ ვართ იმ ციკლში, რომელიც ადამიდან იწყება და ამ პერიოდში ღვთის უდიდეს მაცნეს წარმოადგენს ბაჰაულა, რომლის მოვლენაც ბაბმა იწინასწარმეტყველა.

ბაბი

ყველაფერი ეს, მხოლოდ 1844 წლის 23 მაისს დაიწყო, როდესაც ირანელმა ვაჭარმა სეიდ ალიმუჰამედმა (1819-1850 წ.წ.), რომელსაც უფრო გვიან ბაბი (არაბულად – კარიბჭე) ეწოდა, გამოაცხადა, რომ მალე მოხდება აღთქმულის ასრულება, ქვეყანას წინასწარმეტყველი მოევლინება, და რომ მისი (ბაბის) ვალია, მოამზადოს კაცობრიობა მისი მოსვლისათვის.

ისევე როგორც ქრისტიანობაში იოანემ იწინასწარმეტყველა იესო ქრისტეს მოვლინება ამქვეყნად, ასევე ბაბმა იწინასწარმეტყველა ბაჰაულას გამოგზავნა ღვთისაგან, რომელსაც ისეთივე თვისებების მიაწერდა, როგორც სხვადასხვა რელიგიის ადრინდელ დამფუძნებელ-წინასწარმეტყველებს.

ბაბის ერა 1844 წელს დაიწყო და მხოლოდ 9 წელი გაგრძელდა. მისი მთავარი მიზანი ბაჰაულას მოსვლისათვის ნიადაგის მომზადება იყო. როგორც მისი ბიოგრაფოსები აღნიშნავენ, მიუხედავად ხანმოკლეობისა, ბაბის ერა იმდენად გაჯერებული და გაჟღენთილი იყო სულიერებით, რომ მის ზემოქმედებას ასობით მომავალი თაობა შეიგრძნობს.

ჯერ ბაბის, შემდეგ კი ბაჰაულას გამოჩენა ასპარეზზე დაემთხვა დროის იმ პერიოდს მსოფლიოში, როდესაც მრავალი მორწმუნე სხვადასხვა ქვეყნებში, რელიგიურ წიგნებზე დაყრდნობით, ელოდა ზეციურ მოვლინებას, ქრისტიანები იესო ქრისტეს მეორედ მოვლინებას*. მუსლიმები მუჰამედის მიერ აღთქმული დაპირების შესრულებას. ირანშიც სჯეროდათ ამ წინასწარმეტყველებებისა და გულმოდგინედ ეძებდნენ ასეთ ადამიანს მთელ ქვეყანაში. ირანის მცხოვრებთა უმეტესობა სხვადასხვა ისლამურ სექტებს განეკუთვნება, რომლებიც ღვთისაგან აღთქმულის ანუ ყაემის მოსვლას მოელიან. სიტყვა „ყაემი“ ქართულად ნიშნავს „ის ვინც აღსდგა“.

ბაბი 1819 წლის 20 ოქტომბერს დაიბადა სპარსეთის ქალაქ შირაზში. იგი წარმოშობით ცნობილი და დიდგვაროვანი ოჯახიდან იყო, რომლის გენი-

---

* გავიხსენოთ მეშვიდე დღის ადვენტისტები: 1833 წელს ვინმე მილერმა ამერიკაში „საშინელი სამსჯავრო“ იწინასწარმეტყველა. მან გამოსცა წიგნი სათაურით: „წმინდა წიგნისა და ისტორიის დამოწმება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და მისი 1000 წლის განმავლობაში მეფობის დასამტკიცებლად“. მისი მტკიცებით (ამას იგი ბიბლიური ტექსტებით ასაბუთებდა) ქრისტეს მეორედ მოსვლა და სამყაროს დასასრული 1843 წლის 21 მარტს ან 1844 წლის 21 მარტს უნდა მომხდარიყო, რასაც თან მოპყვებოდა მკვდრეთით აღდგომა. თუმცა ეს წინასწარმეტყველება არ აღსრულდა.

ალოგია წინასწარმეტყველ მუჰამედისგან იღებდა სათავეს. ბავშვს მამა ადრე გარდაეცვალა და მას ბიძა ზრდიდა (დედის ძმა), რომელმაც იგი ჯერ კიდევ ძალიან პატარა სკოლაში მიაბარა. იგი ადრეული ასაკიდანვე გამოირჩეოდა თანდაყოლილი ცოდნით, იდუმალი ძალით და უზარმაზარი შესაძლებლობებით. ეს რომ შეამჩნიეს, მას ნება დართეს სკოლაში არ ევლო და ბიძასთან ერთად დაიწყო ვაჭრობა ქალაქ ბუშირში, რომელიც შირაზის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს. როგორც მისი ბიოგრაფოსები აღნიშნავენ, ამ პერიოდში ბაბი დაქორწინდა და შვილიც გაუჩნდათ, რომელიც, სამწუხაროდ, სულ მალე გარდაიცვალა. ეს მოხდა ერთი წლით ადრე, ვიდრე ბაბი თავის თავს აღთქმულ ყაემად გამოაცხადებდა.

სიყმაწვილის წლებშივე, ბაბიმ გამოამჟღავნა სიდიადის და ძალის არაჩვეულებრივი თვისებები. მისი მეურვე ახასიათებდა ბაბს: როგორც „კეთილშობილ, ენერგიულ, მომხიბვლელ პიროვნებას, სწორუპოვარს თავმდაბლობაში, მშვიდს, აღუშფოთველს, მიმზიდველს, დამატყვევებელს თავისი მეტყველებით“[9].

ბაჰაის მიმდევრები აღნიშნავენ, რომ ვიდრე ბაბი თავისი მისიის შესახებ გამოაცხადებდა, მსოფლიოში მხოლოდ რამოდენიმე ადამიანმა იცოდა, რომ აღთქმული პიროვნება მალე გამოჩნდებოდა. ერთ-ერთი ასეთი გამოჩენილი პიროვნება იყო სეიედ ქაზიმი, რომელიც ერაყში, ქერბელაში ცხოვრობდა. მას ბევრი მოწაფე ჰყავდა, რომლებთანაც ერთად ნანატრი ყაემის მოსვლას ელოდებოდა. იგი გამუდმებით უმეორებდა თავის მოწაფეებს, რომ მისი სიკვდილის შემდეგ დაეტოვებინათ სახლები, განთავისუფლებულიყვნენ მიწიერი სურვილებისაგან და წასულიყვნენ აღთქმული პიროვნების საძებნელად.

სეიედ ქაზიმის გარდაცვალების შემდეგ მისი ყველაზე უფრო ცნობილი მოწაფე მოლა ჰუსეინი მეჩეთისაკენ გაეშურა და ორმოცი დღე გაატარა ლოცვასა და მედიტაციაში. ამის შემდეგ, მან დატოვა ერაყი და ორ თანამგზავრთან ერთად აღთქმული პიროვნების საძებნელად წავიდა. იგი ჯერ ბუშირში ჩავიდა, შემდეგ კი ჩრდილოეთისაკენ, შირაზისაკენ აიღო გეზი. როდესაც ქალაქის კარიბჭეს მიუახლოვდა, თავის თანამგზავრებს მეჩეთში წასვლა და მის მოსვლამდე იქ დალოდება უბრძანა.

იმავე დღეს, მზის ჩასვლამდე ცოტა ხნით ადრე, კარიბჭის მიღმა სეირნობისას, მან იპოვა ის, ვისაც ეძებდა. იგი ყველა იმ ნიშანს აკმაყოფილებდა, რაც მას მოძღვარმა დაუსახელა:

ბაბი მართლაც საშუალო სიმაღლის, კარგი აღნაგობის... ფატიმას სახელგანთქმული მოდგმიდან წარმოსდგებოდა, ოც წელს უკვე გადაცილებული იყო, მაგრამ ოცდაათი ჯერ არ შესრულებოდა. გამოირჩეოდა თანდაყოლილი ცოდნით. თამბაქოს არ ეწეოდა. ყველა ნიშანი ზუსტად ემთხვეოდა.

„შემომხედე, – უთხრა ბაბმა მოლა ჰუსეინს, – თქვენი მოძღვარი ჩემზე გეუბნებოდათ“[10].

ბიოგრაფოსების თქმით: იმ ღამის განმავლობაში ბაბმა ნათელი და შეუცდომელი მტკიცებების საფუძველზე დაარწმუნა მოლა ჰუსეინი, რომ სწორედ ის იყო აღთქმული ყაემი. მან სწრაფად გააკეთა კომენტარი ყურანის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილზე – იოსების სურაზე და შემდეგ ასეთი სიტყვებით მიმართა:

„მე ბაბი ვარ, უფლის კარიბჭე, შენ კი – ბაბულ ბაბი, – კარიბჭე ამ კარიბჭისა. პირველმა თვრამეტმა ადამიანმა თავისი ნებით და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა მიმიღოს და აღიაროს ჭეშმარიტება ჩემი გამოცხადებისა. თითოეული მათგანი ყო-

ველგვარი გაფრთხილების გარეშე შეგროვდებიან, უნდა აირჩეს ერთი, რომელიც თან გამომყვება მექასა და მედინაში სალოცავად. იქ მე უფლის წაგრზავნას (წმინდა წერილს) განვუცხადებ მექის სასულიერო თემის წინამძღვარს. შემდეგ დავბრუნდები ქუფაში და ამ წმინდა ქალაქის მეჩეთში კელავ გავამჟღავნებ მის საქმეს“...[11]

შემდეგ ბაბმა გააფრთხილა მოლა ჰუსეინი არავისთვის გაემხილა ეს ამბავი. თავი ისე დაიჭირა თითქოს არ იცნობდა მას. თავდავიწყებით ელოცა ილჰანის მეჩეთში მანამდე, ვიდრე განისაზღვრებოდა ის თვრამეტი ადამიანი, ვისაც დაეკისრებოდა ღვთის სიტყვის განდიდება და კაცთა სულების გამოფხიზლება.

ამ გამოცხადებას მოლა ჰუსეინი დიდი სიხარულით შეხვდა. მისი სული მოწიწებით და თრთოლვით აივსო. მან თავისი თავი შეადარა ხორცშესხმულ ჯებრაელს, რომელიც მოუწოდებდა კაცობრიობას: „გამოფხიზლდით, დადგა განთიადი, აღსდექით, რამეთუ საქმე მისი გამოცხადებულია, მისი დიდების ბჭენი კი ფართოდ განიხვნა. მაშ, შეაბიჯეთ, ჰოი, მსოფლიოს ხალხებო, რამეთუ მოსულ არს აღთქმული თქვენი“[12].

ბაბის გამოცხადება, როგორც უკვე ვოქვით, 1844 წლის 23 მაისის ღამეს მოხდა. მაშინ ბაბი ოცდახუთი წლის იყო. მის გამოჩენას უფრო გვიან კურთხეულ დღედ აცხადებს ბაჰაულა:

„... ეს ღვთიური გამოცხადების განთიადია, რამეთუ ბაბის გამოჩენა იყო ჭეშმარიტების დილის ადრეული ნათელი. ეს კურთხეული დღე, ციური წყალობის დასაწყისია, განთიადია ღვთიური ნათებისა“...[13]

ბაჰაი რწმენის ისტორიკოსთა ცნობით, მოლა ჰუსეინის კვალდაკვალ კიდევ ჩვიდმეტ ადამიანს

ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად უნდა მოენახათ ღვთის რჩეული. ყველა ისინი, ერთის გამოკლებით, ერთნი ხილვების ან სიზმრების დახმარებით, მეორენი ლოცვების, მესამენი ფიქრისა და განსჯის წყალობით, შეიკრიბნენ ერთად და წარსდგნენ ბაბის წინაშე შირაზში.

ხოლო ის ადამიანი, ვინც ბაბს არ შეხვედრია, ეს იყო გამორჩეული და ნიჭიერი ქალი თაჰირა, რომელიც მისი სარწუნოების უდიდესი გამავრცელებელი გახდა. ხოლო მეთვრამეტე წევრად 22 წლის ყუდუსი შეიქმნა; ახალგაზრდა, მამაცი, მტკიცე ხასიათის ახალგაზრდა. ყველა ისინი ბაბმა „ცხოველმყოფელ ასოებად“ გამოაცხადა. ისინი იყვნენ მისი რჩეული მოციქულნი. მათ დაევალათ ბაბის საქმის გაგრძელება. ბაბიმ მათ აღუთქვა, რომ ღმერთი აუცილებლად დაეხმარებოდა. მოციქულებს ურჩია გამგზავრებულიყვნენ ჩრდილოეთისაკენ და გზად გაევლოთ ისპაჰანში, ქაშანში, ყუმსა და თეირანში. „ეცადეთ ყოვლისშემძლე განგებას, მოწყალედ გიბოძოთ შესაძლებლობა ამ სატახტო დედაქალაქში ჭეშმარიტი მეუფების მიღწევისა და უსაყვარლესის სასახლეში შესვლისა. ამ ქალაქშია საიდუმლო დაფარული. როცა იგი გამჟღავნდება, დედამიწას სამოთხედ გადააქცევს. ვიმედოვნებ, რომ თქვენ შესძლებთ ამ წყალობით იგემოთ თქვენი წილი და შეიცნოთ მისი ბრწყინვალება[14].

ის, რაც თავის დროზე ქრისტეს 12 მოციქულს, ხოლო მუჰამედის დროს 12 იმამს დაევალა, ეს როლი ბაბის მოციქულებს უნდა შეესრულებინათ. მათ უნდა დაევიწყებინათ თავიანთი მიწიერი სურვილები, წასულიყვნენ დედამიწის სხვადასხვა მხარეებში და იქ გაევრცელებინათ ბაბის საქმე.

ბაბმა ჩრდილოეთისაკენ გაისტუმრა თავისი მოციქულები. თვითონ კი მეთვრამეტე მოწაფის –

ყუდუსის თანხლებით 1844 წელს სალოცავად მექასა და მედინას მიაშურა. მექაში, მუსლიმთათვის ამ უწმინდეს ქალაქში, ბაბმა წერილი მიწერა ქალაქის შერიფს, რომელშიაც მოუწოდა ელიარებინა ახალი მოძღვრება, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ბაბმა მოინახულა ქალაქი მედინაც, ხოლო შემდეგ ისევ სპარსეთში, ბუშირში დაბრუნდა. მან აქ თავისთან უხმო ყუდუსს და შირაზში გამგზავრება უბრძანა. გამგზავრებისას კი გააფრთხილა, რომ მას შირაზში ახალი გამოცხადების ქადაგებისას მძიმე განსაცდელი ელოდა, რომ იგი გამოსცლიდა მარტვილობის ფიალას, მაგრამ ციური სპა დახმარებოდა მას, ხოლო ხალხი მის გმირობას ხოტბას შეასხამდა. „მეც, – დასძინა ბაბმა, – მოწამეობრივ გზას დავადგები და მარადიულ სასუფეველში შეგხვდებიო“[15].

ყუდუსი ჩადის შირაზში. იგი აქ თავგამოდებით ქადაგებს ახალი გამოცხადების შესახებ, რასაც მუსლიმან ღვთისმსახურთა და პროვინციის გუბერნატორის გულისწყრომა და დაპირისპირება მოჰყვა. ყუდუსი და მისი ერთ-ერთი მხლებელი შეიპყრეს, შეუტრუსეს წვერ-ულვაში, გაუხვრიტეს ცხვირის ნესტოები, თოკები ჩააბეს და ასე ატარეს ქალაქის ქუჩებში, რათა ყველასათვის ეჩვენებინათ, თუ რა სამარცხვინო ბედი შეიძლება ელოდოს ადამიანს ერესის ქადაგებისათვის. ამგვარად, შეურაცხყოფილი ყუდუსი და მისი თანხმლები პირი ქალაქიდან გამოაძევეს. უკან დაბრუნების შემთხვევაში მათ სიკვდილით დასჯით დაემუქრნენ.

ამ ამბის შემდეგ, შირაზის გუბერნატორმა ბაბის დაკავების ბრძანება გასცა. ბაბი ამ დროისათვის, შირაზში მიდიოდა. იგი გააფრთხილეს მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, მაგრამ ბაბი არ შეშინდა. იგი თავისი ნებით შეხვდა მის შესაპყრობად გამოგზავნილ ცხენოსანთა რაზმს და წინ გაუძღვა.

როგორც ისტორიკოსები ამბობენ: „მან თავისი სიტყვის მაგიური ძალით განაიარაღა მათი მტრობა და მათივე სიამაყე და დიდგულობა, თავმდაბლობად და სიყვარულად აქცია“[16].

შირაზის გუბერნატორი ბაბს საშინლად მოექცა, საჯაროდ გალანძღა და გაიცხა მისი საქციელი, ხოლო მისი სარწმუნოება გააკრიტიკა. ბაბი, მართალია, არ დაუკავებიათ, გაათავისუფლეს და შინ დაბრუნების ნება მისცეს, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ ბიძის ზედამხედველობის ქვეშ იქნებოდა. მასთან შეხვედრის ნება მხოლოდ ოჯახის წევრებს მისცეს.

მიუხედავად გუბერნატორის მიერ მიღებული ზომებისა, მომდევნო რამდენიმე თვის განმავლობაში, ბაბის მიმდევართა რაოდენობა სწრაფად გაიზარდა. შეშფოთებულმა გუბერნატორმა ისევ ბრძანა ბაბის შეპყრობა. ამჯერად, მას უკვე ბაბის სიკვდილით დასჯა უნდოდა, მაგრამ ამაში, ამ დროისათვის, გავრცელებულმა ჭირის ეპიდემიამ შეუშალა ხელი. შეშინებულმა გუბერნატორმა მხოლოდ შირაზიდან ბაბის გაძევების ბრძანება გასცა.

1846 წლის შემოდგომაზე, ბაბი გამოემშვიდობა თავის ბიძას, მას ტანჯვის გვირგინის დადგმა უწინასწარმეტყველა და თვითონ კი ისპაჰანისაკენ გაეშურა. აქაური გუბერნატორი (წარმოშობით ქართველი, ბაგრატიონთა გვარიდან. ამის შესახებ დაწვრილებით უფრო ქვემოთ ვიტყვით) პატიოსანი და სამართლიანი კაცი აღმოჩნდა, რომელიც მოიხიბლა ბაბის პიროვნებით. ბაბი მალე მთელმა ქალაქმაც გაიცნო. მისი პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა. ამან კი ადგილობრივი სასულიერო პირების რისხვა გამოიწვია. ისინი შიშობდნენ თავისი გაელენა არ დაეკარგათ მოსახლეობაზე, ამიტომ გადაწყვიტეს გასწორებოდნენ ბაბს.

კეთილმა გუბერნატორმა იცოდა ღვთისმსახურთა ეს ბოროტი ზრახვები და ბაბის გადარჩენის მიზნით იგი თავის სახლში გადაიყვანა. ბაბთან ხანგრძლივი საუბრების შემდეგ, გუბერნატორი ჩასწვდა მისი გამოცხადების არსს და სიდიადეს. იწამა მისი საქმის ღვთაებრიობა და მის შესასრულებლად თავისი თავი და მთელი სიმდიდრე შესთავაზა. მისი გეგმით, იგი უნდა გამგზავრებულიყო თეირანში და ქვეყნის ხელმწიფისათვის გაეცნო ბაბის სწავლება.

ბაბმა, ცხადია, დიდი მადლობა გადაუხადა გუბერნატორს კეთილი სურვილებისათვის, მაგრამ აუწყა, რომ მის გეგმას, სამწუხაროდ, განხორციელება არ ეწერა, რადგან გუბერნატორს ამქვეყნად მხოლოდ სამი თვის და ცხრა დღის სიხოცხლეღა დარჩენოდა.

მისი წინასწარმეტყველება ზუსტად ახდა. გუბერნატორი მართლაც სამი თვისა და ცხრა დღის შემდეგ გარდაიცვალა. მისმა შემცვლელმა კი, შაჰის სურვილის შესაბამისად, ბაბი თეირანში გააგზავნა ცხენოსანი რაზმის თანხლებით.

ბაბის ბიოგრაფოსთა ცნობით, ამ დროს სპარსეთის პრემიერ-მინისტრად ბოროტი და პატიემოყვარე ადამიანი იყო დანიშნული. ამ მოხელემ, იმის შიშით, რომ ბაბის თავის მხარეზე არ გადაეყვანა შაჰი და არ ეზიარებინა ახალი რწმენისათვის, რაც მას გავლენის დაკარგვით და დაკავებული მდგომარეობის გაუარესებით ემუქრებოდა, ურჩია მეფეს ბაბი ჩრდილოეთში, აზერბაიჯანის პროვინციაში გაეგზავნათ.

ბაბი ჯერ პროვინციის დედაქალაქ თავრიზში ჩაიყვანეს, შემდეგ კი მთებში მდებარე ციხესიმაგრე მაჰქუში გადაიყვანეს. ვარაუდობდნენ, რომ ამით ბაბის გავლენა შესუსტდებოდა და იგი ხალხს სრულიად მიავიწყდებოდა. მაგრამ, ეს ასე არ მოხდა. პირი-

ქით, ბაბიმ თავისი გონიერებისა და სიკეთის წაყ-
ლობით მალე მოიპოვა, როგორც ციხის ხელმძღვა-
ნელების, ისე მაცხოვრებელთა დიდი სიყვარული და
პატივისცემა, რის გამოც მისი ყოფნის პირობები
მნიშვნელოვნად შემსუბუქდა. მას მიეცა საშუალება
გაემყღავნებინა სპარსული ბაიანი. ბაჰაების თქმით:
„ყველაზე მნიშვნელოვანი მის ნაშრომთა შორის“[17].

ამ წიგნში ბაბი აცხადებდა ყველაზე მნიშვნე-
ლოვან ამბავს – მეორე გამოცხადების შესახებ, რომ
ღმერთი მოავლენს მასზე გაცილებით უფრო დიად
ადამიანს, და რომ მის მიმდევართა ვალია ეძიონ და
იპოვონ ეს ადამიანი.

მაჰქუს მცხოვრებთა შორის ბაბის პოპულა-
რობით შეშინებულმა პრემიერ-მინისტრმა ბრძანა ბა-
ბი ციხესიმაგრე ჩეჰრიყში გადაეყვანათ. მაგრამ, აქაც
იგივე განმეორდა. ბაბის პიროვნება ყველას ყურა-
დღებას ანდამატივით იზიდავდა. ბევრმა, მათ შორის
პრივილეგირებული მდგომარეობის სასულიერო პირ-
მა, მიატოვა თავისი სარწმუნოება და ბაბის მიმ-
დევრებს შეუერთდა.

შეშფოთებულმა პრემიერ-მინისტრმა ბრძანა იგი
თავრიზში გადაეყვანათ. აქ დანიშნეს მისი შეხვედრა
რელიგიურ ხელისუფლებასთან, რათა ერთხელ და
სამუდამოდ ემხილებინათ მისი სიცრუე. მაგრამ, ბა-
ბიმ თავისი ღირსებით და დიდებულებით, რაც მთა-
ვარია, ჭეშმარიტებით დაამარცხა გაბატონებული
რელიგიის ღვთისმსახურნი. ამ შეხვედრაზე განსა-
კუთრებით აღსანიშნავია მისი პასუხი კითხვაზე –
„ვინ გგონია საკუთარი თავი და რას წარმოადგენს
სიტყვა, რომელიც შენ მოიტანე“?[18]

„მე ვარ, მე ვარ, მე ვარ აღთქმული! –
პასუხობდა ბაბი, – მე ვარ ის, ვის სახელსაც თქვენ
ათასი წელია მოიხმობთ, ვის ხსენებაზეც ფეხზე
დგებოდით, ვისი მოვლენის მოწმეც გწყუროდათ

გამხდარიყავით. და ვისი გამოცხადების საათის დაჩქარებასაც ღმერთს ევედრებოდით. ჭეშმარიტად გეუბნებით, აღმოსავლეთის და დასავლეთის ხალხებს ევალებათ უნდა დაემორჩილონ ჩემს სიტყვას და ეროგულება შემომფიცონ“[19].

ყოველგვარი ცდა ბაბის უარი ეთქვა თავის მისიაზე მარცხით დამთავრდა. ბაბის გავლენა მოსახლეობაში მკვეთრად იზრდებოდა და ხელისუფლება მივიდა იმ აზრამდე, რომ სანამ იგი ცოცხალი იყო, ეს მისია არ დამთავრდებოდა. მისი ზეგავლენის შეჩერება ხალხზე შეუძლებელი აღმოჩნდა.

1850 წელს მას სიკვდილი მიუსაჯეს. იგი ჩეჰრიყიდან თებრიზში გადაიყვანეს. დახვრეტა 9 ივლისს დაინიშნა. მისი სიკვდილით დასჯას ახლდა ისეთი სასწაულებრივი ამბები, რასაც ქრისტიან წმინდანთა მარტვილობებში თუ ამოიკითხავ. კერძოდ, ის და მისი ახალგაზრდა მიმდევარი ანისი, რომელმაც გადაწყვიტა ბაბის ბედი გაეზიარებინა. გადაურჩნენ 750 კაცის მიერ ნასროლ ტყვიებს. საჭირო გახდა ახალი ჯარისკაცების მოყვანა და ხელახლა სროლა. ამჯერად კი ტყვიები მიზანს არ ასცილებია.

ბაბთან და ანისთან ერთად სიკვდილით დასაჯეს ათასობით მისი მიმდევარიც.

თავისი ხანმოკლე ცხოვრების მანძილზე ბაბმა უამრავი წიგნი და წმინდა წერილი დაგვიტოვა. მან სულიერი რევოლუცია მოახდინა სპარსეთში. როგორც აბდულ-ბაჰა ამბობდა: „ბაბის მოვლინება ალიონს მოჰგავს, რამეთუ ალიონი გვამცნობს მზის ამოსვლას. ბაბის ალიონი კი ჭეშმარიტების მზის ამოსვლას მოასწავებდა, რომელსაც მთელი ქვეყნიერება უნდა გაენათებინა... სრულიად ახალგაზრდა ასაკში, როცა ოცდახუთი წელი შეუსრულდა, იგი აღსდგა მისი საქმის გამოსაცხადებლად... მარტოდ-

მარტომ, წარმოუდგენელ პირობებში, განამტკიცა საქმე სპარსთა შორის, რომელნიც ცნობილი არიან თავიანთი რელიგიური ფანატიზმით.

ეს დიდებული სული ისეთ ძალას ფლობდა, რომ მისი გავლენით შეირყა სპარსეთის რელიგიისა და მორალის საწყისები, შეიცვალა ტრადიციები და დამკვიდრებული ადათ-წესები, დამკვიდრებული იქნა ახალი წესები, ახალი კანონები, ახალი რელიგია. თუმცა უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო პირები, თითქმის ყველა წარმომადგენელი ღვთისმსახურებისა და საზოგადო მოღვაწენი აღსდგნენ ბაბის წინააღმდეგ, რათა დაეღუპათ და გაენადგურებინათ იგი, მან მარტოდმარტომ შეძლო წინ აღსდგომოდა მათ და მთელი სპარსეთი აამოძრავა. უამრავი ადამიანი, რომელთა შორის იყვნენ ულემები (სწავლული ღვთისმეტყველნი) და სახელმწიფო მოღვაწენი, სიხარულით შეეწირნენ მის საქმეს და უყოყმანოდ დაიდგეს ტანჯვის გვირგვინი"[20].

„ბაბი, – რომელსაც ბაჰაულამ უწოდა „არსთა არსი", „ზღვათა ზღვა", „საწყისი არსი", რომლის გარშემოც წარგზავნილთა ბედი და წინასწარმეტყველება ტრიალებს", „ვისი მეოხებითაც ღმერთმა გვაუწყა ცოდნა ყველაფრისა, რაც იყო და ყოველივესი, რაც იქნება", ვინც „თავისი წოდებით აღემატება ყველა წინასწარმეტყველს, ვისი გამოცხადების სიღრმეც აღემატება მათ ყველა ნაწერს"...

„ვისი მოვლინებაც ერთდროულად აღნიშნავდა წინასწარმეტყველებათა ციკლის დასასრულს და დასაწყისს აღსრულებათა ციკლისა"[21].

ბაჰაულას გამოსენა ჰგავდა ახალი გაზაფხულის მოსვლას, რომელიც მოვიდა წმინდა ქარებით, მარადიული ცხოვრების ციური ლაშქრით და ღვთაებრივი ძალით. მან ღვთის მეუფების ტახტი დადგა სამყაროს შუაგულში და სული წმიდის ძალით გააცოცხლა სულები, დააფუძნა ახალი ციკლი.

აბდულ-ბაჰა

ის, რომ შუალედი, რომელიც ამ უძლიერეს და საოცარ გამოცხადებას ჩემი გამოცხადებიდან გამოჰყოფს, იმდენად მოკლეა, რომ წარმოადგენს გამოცანის არსს, რომელსაც კაცთაგან ვერავინ გამოიცნობს და საიდუმლოს ვერცერთი გონება ვერ ჩაწვდება.

ბაჰაულა

ჩვენს წინაშეა ბაჰაულას, ბაჰაი რწმენით, ღვთის მიერ გამოგზავნილი მაცნისა და უდიდესი მასწავლებლის ტრაგიზმით სავსე ცხოვრება.

ბაჰაულა – 1817 წლის 12 ნოემბერს დაიბადა სპარსეთის დედაქალაქ თეირანში, დიდგვაროვან და შეძლებულ ოჯახში. მისი სახელი იყო მირზა ჰუსეინ ალი, მისი მამა – მირზა ბუზურგის შაჰის კარზე მაღალი თანამდებობა ეკავა. იგი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა არაჩვეულებრივი სიბრძნით და ცოდნით. მიუხედავად იმისა, რომ მას სკოლაში არ უსწავლია, მაინც ყველა გაოცებული იყო მისი სიბრძნით და გონიერებით. თვითმხილველთა ცნობით, ის მნიშვნე-

ლოვნად უსწრებდა თავის ასაკს და აკვირვებდა გარშემომყოფთ. ყველა გაოცებული იყო მისი ასეთი ნაადრევი განვითარებით.

მისი ბიოგრაფოსები მოგვითხრობენ იმ ჭკუისსასწავლ ამბავზე, რომელიც ბავშვობისას გადახდა ბაჰაულას და რამაც დიდი გავლენა მოახდინა მთელ მის ცხოვრებაზე. ეს იყო ერთ-ერთი მისი ძმის ქორწილის დროს სტუმართა გასამხიარულებლად გათამაშებული თოჯინური სპექტაკლი, რომელსაც ბაჰაულამ თავისი სარკმლიდან უყურა. ამის შესახებ თვითონ ბაჰაულა მოგვითხრობდა:

„...პიესა დაიწყო რამოდენიმე პატარა ფიგურის გამოჩენით, რომელნიც ადამიანებს განასახიერებდნენ. ისინი იუწყებოდნენ, რომ ხელმწიფე მობრძანდებოდა. შემდეგ კიდევ რამდენიმე ფიგურა გამოჩნდა. ყველანი ხელმწიფის ღირსეულად შეხვედრისთვის ემზადებოდნენ. ზოგი მათგანი გვიდა იატაკს, ზოგი წყალს ასხურებდა. ამის შემდეგ სცენაზე გამოჩნდა მაცნე, რომელმაც ხალხს უბრძანა ხელმწიფესთან შესახვედრად შეგროვილიყვნენ. რამოდენიმე ჯგუფი შეგროვდა და მათთვის განკუთვნილი ადგილები დაიკავეს. ბოლოსდაბოლოს, დინჯად და მედიდურად, თავზე გვირგვინით, სცენაზე ხელმწიფეც შემობრძანდა.

ზარბაზნებმა იქუხეს, საყვირებს ჩაჰყვირეს და კარავი კვამლმა დაფარა. როდესაც კვამლი გაიფანტა, ტახტზე დაბრძანებულ ხელმწიფეს გარს ეხვიენ მინისტრები, უფლისწულები და სახელმწიფო მოხელეები. სწორედ ამ დროს, მას ქურდი მიჰგვარეს და მეფემ მისთვის თავის მოკვეთა ბრძანა. მთავარმა ჯალათმა დაუყოვნებლივ შეასრულა მისი ბრძანება. ქურდის სიკვდილით დასჯის შემდეგ ხელმწიფემ საუბარი გაუბა მინისტრებსა და მოხელეებს. მოულოდნელად მოიტანეს ცნობა იმის შესახებ, რომ

საზღვარზე აჯანყებამ იფეთქა. მის ჩასახ'მობად დაუყოვნებლივ გაგზავნილი იქნა ჯარი. რამდენიმე წუთის შემდეგ შორიდან გაისმა ზარბაზნების ხმა და გამოცხადდა, რომ სამეფო ჯარი ჩაება აჯანყებულებთან ბრძოლაში...

პიესა ამაევ სულისკვეთებით გრძელდებოდა. ბაჰაულა საგონებელში ჩააგდო ამ წარმოდგენის ბუნებამ. ამის შემდეგ, როდესაც სპექტაკლი დამთავრდა და ფარდაც დაეშვა, მან დაინახა კაცი, რომელიც ყუთამოჩრილი გამოდიოდა კარავიდან. „ეს რა ყუთია? – ჰკითხა მას ბაჰაულამ, – და რა არის ამ წარმოდგენის არსი?"

„ყველა ეს ძვირფასი მორთულობა, – მიუგო მან, – მეფე, უფლისწულები, მინისტრები, მათი დიდებულება და დიდება, ძლიერება და ძალაუფლება, ყველაფერი, რაც ნახე, ახლა ამ ყუთში განისვენებს"[24]. ამ სიტყვებმა იმდენად ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ბაჰაულაზე, რომ:

„...იმ დღიდან მოყოლებული, ამ ყმაწვილის თვალში, ყველა მიწიერი სამოსი თუ კაზმულობა წარმოდგენის მსგავსი იყო. ისინი არასოდეს არ წარმოადგენდნენ და ვერც ვერასოდეს წარმოადგენდნენ რაიმე ღირებულებას, თუნდაც მდოგვის მარცვლის ოდენას... მალე ეს გარეგნული კაზმულობა, ეს ურიცხვი საგანძური, ეს მიწიერი ამაოებანი, ეს შეგროვილი ბატალიონები, დიდებული მორთულებანი, ეს ამაყი და ქედმაღალი სულები – ყველაფერი საფლავში ჩავა, როგორც იმ ყუთში განისვენებს. შინაგანი ხედვის უნარით დაჯილდოებულთა თვალში ყველა ეს კონფლიქტი, უთანხმოება, თუ ამაო დიდება იყო და მარადჟამს იქნება ბავშვური გასართობი..."[22]

ბაჰაულას ბიოგრაფიაში ბავშვობის კიდევ ერთ მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას, იმ სიზმარზე, რომელიც მის მამას დაესიზმრა:

„...მიცურავდა უკიდეგანო, უსაზღვრო ოკეანეში. მისი სხეული ისე ელვარებდა წყალზე, რომ ეს შუქი ზღვასაც კი გაანათებდა. მისი თავი თვალნათლივ ჩანდა წყლის ზედაპირზე, სხვისმოსილი, ყველა მიმართულებით გაშლილი კუპრივით შავი კულულები დიდებულად ტივტივებდნენ ტალღებზე... გარს უთვალავი თევზი ეხვია, თითოეული მათგანი მისი თმის თითო ღერს ჩასჭიდებოდა, მისი სახის ელვარებით მოჯადოებულნი. საითაც გასცურავდა იქით მიჰყვებოდნენ. რამდენადაც მრავალრიცხოვანი არ უნდა ყოფილიყვნენ თევზები და რა სიმტკიცითაც არ უნდა ჩასჭიდებოდნენ მას. თმის ერთი ღერიც კი არ ჩამოვარდნია თავიდან. არც თავად მის პიროვნებას მიყენებია რაიმე ზიანი. თავისუფლად და ძალდაუტანებლად მოძრაობდა იგი წყალში და თევზებიც თან მიჰყვებოდნენ“[23].

ამ სიზმრით გაოგნებულ და შეშფოთებულ მამას, სიზმრის ახსნაში დახელოვნებულმა ადამიანმა, ეს უცნაური ჩვენება შემდეგნაირად აუხსნა:

„უკიდეგანო ოკეანე, რომელიც დაგესიზმრა, — სხვა არაფერია, თუ არა ყოფიერების სამყარო. სრულიად მარტო, სხვისი დახმარების გარეშე მიაღწევს შენი ვაჟი მასზე მეუფებას. სადაც არ უნდა იყოს, ვერავინ გადაეღობება მის წინსვლას. უთვალავი თევზები იმ აურზაურზე მიუთითებს, რომელსაც იგი დედამიწის ხალხებსა და ტომებში გამოიწვევს. ისინი მჭიდროდ შეგროვდებიან მის გარშემო და მას მიენდობიან. დარწმუნებულს ყოვლისშემძლის ერთპიროვნულ მფარველობაში. ეს მღელვარება არასოდეს ავნებს მის პიროვნებას. როგორც ცხოვრების

მორეევში მისივე მარტოობა ვერ დააკლებს რაიმეს მის უსაფრთხოებას“[24].

მიუხედავად იმისა, რომ ბაჰაულას არ უელია სკოლაში, არც საუნივერსიტეტო განათლება მიუღია, იგი მაინც ყველას აოცებდა თავისი ცოდნით. მისი სწავლებანი კი მართლაც რომ ამ ეპოქის სულად იქცა. ბაჰაულას შვილი და მისი საქმის დიდი გამგრძელებელი აბდულ-ბაჰა ამის შესახებ კარგად ამბობს:

„მზე თავად გამოსცემს სინათლეს და არ ღებულობს თავის შუქს გარე წყაროებიდან. ღვთიურ მასწავლებლებს თანდაყოლილი ნათელი ამკობთ. ისინი ფლობენ ცოდნას და ყოველივეს წედომის უნარს სამყაროში. ქვეყნიერების დარჩენილი ნაწილი კი მათგან იღებს თავის სინათლეს და მათივ წყალობით ხდება ხელოვნების და მეცნიერების აღორძინება ყველა ეპოქაში“[25].

თანდაყოლილ დიდ ცოდნასთან ერთად ბაჰაულას თვითმხილველნი ახასიათებენ, როგორც შესანიშნავი ხასიათის ადამიანს, რომელიც გამოირჩეოდა გულუხვობით, შემბრალებლობით, ღრმა გონიერებით, არ აინტერესებდა ამქვეყნიური დიდება და სიამენი. მან უარი თქვა დაეკავებინა მამის საკმაოდ სოლიდური თანამდებობა სამეფო კარზე. იგი იყო უბრალო, გულმოწყალე და ღარიბ-ღატაკთა განმკითხველი.

ბაჰაულამ 18 წლის ასაკში იქორწინა ასია ხანუმზე. მათ სამაგალითო ოჯახი შექმნეს და მრავალი ადამიანისათვის ეს სახლი საიმედო თავშესაფარი გახდა.

მთავარი და მნიშვნელოვანი მის ცხოვრებაში მაშინ მოხდა, როცა ბაჰაულა 27 წლის შესრულდა. სწორედ ამ დროს მიიღო მან ბაბის გრაგნილი და უმალ ირწმუნა მისი ჭეშმარიტება. ბაბი მოიხსენებდა

ბაჰაულას, როგორც პიროვნებას, ვისაც ღმერთი მოავლენს. ბაბის ნაწერებში მრავალჯერაა განდიდებული ის, ვისაც ღმერთი მოაველენს. ბაჰაის მიმდევრები მიუთითებენ აშკარა კავშირზე ამ ორ გამოცხადებას შორის.

მას შემდეგ, რაც ბაჰაულამ ირწმუნა ბაბის წინასწარმეტყველება, მაშინვე დაიწყო მისი აღიარება და განდიდება.

ბაჰაულა ახალი სარწმუნოების გავრცელების ერთ-ერთ ყველაზე ენერგიულ მომხრედ იქცა. ნურის ოლქში მისმა აქტიურმა ქადაგებამ ხელისუფლების გაღიზიანება გამოიწვია. ადგილობრივმა ღვთისმეტყველებმა მას წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს. მისი პოპულარობა სწრაფად იზრდებოდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ ბაჰაულას დევნა დაუწყო.

ჯერ კიდევ 1848 წელს თეირანთან ახლოს, პატარა სოფელ ბედაშთში ამის გამო ჩატარდა შეკრება. ამ შეკრებაზე თავი მოიყარა ბაბის 81 მიმდევარმა, რომელთა შორისაც ასახელებენ ბაჰაულას, ყუდუსს და თაჰირას. ამ შეკრებაზე მნიშვნელოვანი ამბები მოხდა. ეს იყო ძველის რღვევის და ახლის დამკვიდრების ეტაპი. მანამდე კი, იმ მაჰმადიანებს, რომელთა შორისაც გამოჩნდა ბაბი, სჯეროდათ, რომ წინასწარმეტყველ მუჰამედის მოძღვრებაში არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა ქვეყნის დასასრულამდე; მაგრამ ბაბი თანდათანობით ამყღავნებდა თავისი მისიის მთავარ მიზანს. მართალია, მას თავისი გამოჩენის პირველ წლებში ისლამის კანონებში არავითარი ცვლილებები არ შეუტანია. მაგრამ უკვე მაქუს ციხეში ყოფნისას ბაბმა სპარსულ ბაიანში გაამყღავნა მთელი რიგი ახალი კანონები. ბაჰაის მიმდევრის მტკიცებით, უკვე დადგა დრო, როდესაც მის მიმდევრებს ძველი დებულებები დაევიწყებინათ

და ახალი ეღიარებინათ. მისი აზრით, ღმერთის რელიგია რადიკალურად უნდა განახლებულიყო.

ამ თავყრილობამ დიდი ხმაური გამოიწვია. ხმები მის შესახებ თეირანამდეც მივიდა. ისტორიკოსთა თქმით, ეს თავყრილობა ბაბიდების სარწმუნოების ისტორიის ყველაზე უფრო საშიშ პერიოდს მოასწავებდა. შეშფოთებულმა ხელისუფლებამ ბაჰაულას დაპატიმრება გადაწყვიტა. მაგრამ მის შესრულებას ხელმწიფის გარდაცვალებამ შეუშალა ხელი.

1848 წელს ირანის ტახტზე ავიდა ნასრედინ შაჰი, რომლის დროსაც გაძლიერდა ბაბიდების დევნა. 1850 წელს, როგორც უკვე ვწერდით, ბაბი სიკვდილით დასაჯეს თებრიზში. ამ ფაქტმა დიდი აღშფოთება გამოიწვია ბაბიდებში. 1852 წლის 15 აგვისტოს ბაბიდთა მცირერიცხოვანმა ჯგუფმა შეთქმულება მოაწყო და შაჰის მოკვლა სცადა, მაგრამ ხელმწიფე მხოლოდ მსუბუქად დაიჭრა. მკვლელობის ამ მცდელობას საშინელი რეპრესიები მოჰყვა.

ხელისუფლება, ღვთისმსახურნი და მათი მიმდევრები, ერთად დაირაზმნენ ბაბიდების გასანადგურებლად. მათ ყველგან დაეძებდნენ, იჭერდნენ და დიდი სისასტიკით უსწორდებოდნენ. ამ ამბის თვითმხილველი უცხოელები ბაბიდების დასჯისა და დახოცვის საშინელ და გაუგონარ სურათებს ხატავენ. ისინი ერთხმად მიუთითებენ იმ აღმოსავლურ, დაუცხრომელ გამომგონებლობაზე, რასაც ხელისუფლება იჩენდა წამების არნახული ხერხების გამოგონებაში.

ბაჰაულა წინააღმდეგი იყო ამ შეთქმულების. მან თავიდანვე გააფრთხილა მისი მონაწილენი იმ საშინელი შედეგების შესახებ, რაც შეიძლება მოჰყოლოდა ასეთ ტერორისტულ აქტს, მაგრამ შურისძიებით აღგზნებულმა შეთქმულებმა მას არ დაუჯერეს და საშინელი შედეგებიც მოიმკეს.

ბაბიზმის ისტორიაში, ეს წარუმატებელი ტერორისტული აქტი, რომელმაც ასეთი მძიმე შედეგები გამოიწვია, შეფასებულია საშინელ ფაქტად, რომელიც შავ ლაქად ადევს უანგარო და გმირული საქმეებით შემკულ ბაბიდების მთელ ისტორიას.

შაჰზე თავდასხმის დროს ბაჰაულა პრემიერ-მინისტრის ძმასთან იყო სტუმრად. როგორც კი ეს ამბავი გახმაურდა, მას ურჩიეს განრიდებოდა იქაურობას და სადმე უხიფათო ადგილას შეეფარებინა თავი, მაგრამ მან დამალვა არ იკადრა.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე, მას არასოდეს უცდია დამალულიყო, იგი მშვიდად და უშფოთველად ხვდებოდა ყოველგვარ განსაცდელს. ამჯერადაც, მან საფრთხე არად ჩააგდო და შაჰის სასახლისაკენ გაეშურა.

სამწუხაროდ, შაჰმა ბაჰაულას დაპატიმრება ბრძანა. იგი სოფელ შემირანში შეიპყრეს, ბორკილები დაადეს და თეირანისაკენ წაიყვანეს, რომელიც აქედან 30 კილომეტრით იყო დაშორებული. მას აუტანელ სიცხეში მოუხდა ფეხით სიარული, ბაჰაულას მტრულად განწყობილი ბრბო მოაცილებდა, რომელთაც იგი სამშობლოს მოღალატედ დაუსახეს.

ბაჰაულა „სიაჰ ჩალის“ („შავი ორმო“) ციხეში ჩასვეს. მასში ყველაზე საშიში დამნაშავენი ჰყავდათ გამომწყვდეულნი. ეს იყო სრულ წყვდიადში ჩაფლული ჯურღმული, რომელშიაც 150 პატიმარი, უმეტესად ქურდები, ყაჩაღები და მკვლელები იყვნენ მოთავსებულნი. ამ უმკაცრეს პირობებში მოათავსეს არა მარტო ბაჰაულა, არამედ სხვა ბაბიდებიც. მათ ფეხებზე ხუნდები დაადეს, ხოლო კისერზე 50 კილოგრამიანი სიმძიმის ჯაჭვი შეაბეს. პირველი სამი დღის მანძილზე პატიმრებს არც საჭმელს და არც სასმელს არ აძლევდნენ.

ჯაჭვებ და ხუნდებ დადებული ბაბიდები ღამეებს ტაეპების გალობაში ათენებდნენ. მათი მგზნებარე გალობის ხმა შაჰის სასახლემდეც მივიდა. ციხის ზედამხედველები ყოველდღე შედიოდნენ საკანში, იქიდან სათითაოდ გამოჰყავდათ ბაბიდი პატიმრები და სახრჩობელაზე აგზავნიდნენ. თვითმხილველთა თქმით, ჯაჭვებისაგან გათავისუფლებული პატიმრები მხურვალედ ემშვიდობებოდნენ ბაჰაულას და იმქვეყნიური ცხოვრების იმედით აღსავსე გულით მიდიოდნენ სიკვდილის შესახვედრად. ისინი მარტლაც გმირულად კვდებოდნენ. თვით ჯალათები, რომლებიც თანდათან სიმპატიით განიმსჭვალნენ ბაბიდების მიმართ, უყვებოდნენ ბაჰაულას იმაზე, თუ როგორი სიხარულით და აღფროთოვანებით ეწირებოდნენ თავის რწმენას ბაბის მიმდევრები.

თეირანის „სიაჰ ჩალში“ დამწყვდეული პატიმრების უმძიმესი და აუტანელი მდგომარეობა შესანიშნავად აქვს აღწერილი თვით ბაჰაულას...

თითქოსდა იმ დიდ მარცხს და ღრმა კრიზისს, რომელშიაც ბაბიდები მოხვდნენ ბაბის დაღუპვის, მისი მიმდევრების სიკვდილით დასჯის, თვით ბაჰაულას დაპატიმრების გამო სრულიად უნდა გაენადგურებინა ბაბიდთა მოძრაობა, მაგრამ მოხდა პირიქით, ამ ღრმა კრიზისს დიდი გამარჯვება მოჰყვა.

სწორედ „სიაჰ ჩალის“ ციხეში, ამ ჯურღმულში, ამ აუტანელი სიმყრალით გაჟღენთილ გარემოში, ბაბიდი ისტორიკოსების თქმით, შავი ორმოს წყვდიადიდან ამობრწყინდა ჭეშმარიტების მზე. აქ აღსრულდა ბაბის დანაპირები, აქ დაიბადა ბაჰაის გამოცხადება.

თუ როგორ მოხდა ეს, ამის შესახებ ბაჰაულა თვითონ წერდა: „ერთ ღამეს, სიზმარში, ყოველი მხრიდან გაისმა ეს ამაღლებული სიტყვები: ჭეშმარიტად, ჩვენ გაგამარჯვებინებთ შენით და შენივ

კალმით. ნუ ინაღვლებ იმის გამო, რაც თავს დაგატყდა და ნურც შეგეშინდება, რამეთუ მათ შორის ხარ ვინც დაცულია. სულ მალე უფალი ფეხზე დააყენებს მთელს საგანძურს მიწისა – კაცთ, რომელნიც დაგეხმარებიან ისევ შენით და შენი სახელით, რომლითაც ღმერთმა გამოაცოცხლა იმათი გულები, ვინც იგი შეიცნო"[26].

ამ ღვთიურმა გამოცხადებამ უდიდესი გავლენა მოახდინა ბაჰაულას არსებაზე:

„იმ დღეებში, როდესაც თეირანის ციხეში ვიწექი, მიუხედავად იმისა, რომ ჯაჭვის სიმძიმე და მყრალი ჰაერი არ მაძლევდა საშუალებას ცოტა ხნით მაინც წამეძინა, თვლემისას მომეჩვენა, თითქოს თავიდან მკერდისაკენ რაღაც გადმომეღვარა, იმ ძლიერი ნიაღვარივით მთის მწვერვალიდან მიწისკენ რომ მოექანება. ამის გამო ჩემი სხეულის ყოველ ასოს ალმური მოედო. ამგვარ წუთებში ჩემი ენა წარმოთქვამდა რაღაცას, რის მოსმენასაც ვერც ერთი ადამიანის გული ვერ გაუძლებდა"[27].

მწუხარებაში ჩაძირულ ბაჰაულას „ყოვლადუდიადესი სულის" სიმბოლოდ ქალწული გამოეცხადა:

„მწუხარებაში ღრმად ჩაძირულს მესმა საუცხოო, უტკბესი ხმა, მაღლით რომ მიხმობდა. მივაპყარ მზერა და ვიხილე ქალწული – განსახიერება ჩემი უფლის სახელის ხსოვნისა, ჰაერში ჩემს თვალწინ მოფარფატე. მისივე სული სიხარულს ისე აევსო, რომ მისი სახება უფლის კეთილი ნების სამკაულით ბრწყინავდა, ღაწვები კი ყოვლადმოწყალის ელვარებას შეეფაკლა. ცასა და მიწას შორის ისმოდა მისი ხმა, დამატყვევებელი კაცთა გულისა და გონებისა. იგი მთელს ჩემს არსებას, შინაგანსა თუ გარეგანს, აუწყებდა ცნობას კეთილს, რომელმაც გააცხარა ჩემი სული და სულნი ღვთის ღირსეულ

მსახურთა. ჩემკენ ხელმომართული უხმობდა ყველას – ცასა და დედამიწაზე, და ღაღადებდა: „ღმერთმანი! იგი არს ყოვლადუსაყვარლესი ყოველთა სამყაროთა, ხოლო თქვენ ჯერაც არ გესმით. იგი არს მშვენება უფლისა თქვენს შორის და ძალი მისი თქვენზედ უზენაესობისა, თუ ძალგიძთ ისმინოთ. იგი არს საიდუმლო ღვთისა და განძი მისი, საქმე უფლისა და დიდება ყოველზედ, რომელნიც არიან სამეფოში გამოცხადების და ქმნისა, თუ მათ შორის ხართ ვინც შეისმენს“[28].

ეს გამარჯვება, რომელიც მათ მოიპოვეს, ბაბიდთა თქმით, ღვთის მიერ იყო გადაწყვეტილი და ამიტომ ვერავითარი ძალა ვერ აღუდგებოდა მის ნებას.

ბაბიდების მოწინააღმდეგეები ცდილობდნენ ხელისუფლებას სასიკვდილი განაჩენი გამოეტანა ბაჰაულასათვის, მაგრამ მისი დანაშაული არანაირად არ მტკიცდებოდა. მაშინ მისმა მტრებმა სცადეს ბაჰაულას მოწამვლა, მაგრამ ბაჰაულამ იგრძნო საჭმელში გარეული საწამლავის გემო და ჭამა შეწყვიტა. ამასობაში ოთხი თვე გავიდა. ეს არ იყო დიდი დრო, მაგრამ ამ საშინელმა, არაადამიანურმა პირობებმა, კისერზე დაკიდებულმა ჯაჭვმა, საწამლავმა იგი დააუძლურა და ლოგინს მიაჯაჭვა.

ხელისუფლებამ, რომელსაც მისი დანაშაულის ვერავითარი სამხილი ვერ მოიპოვა, იძულებული გახდა ბაჰაულა გაეთავისუფლებინა, მაგრამ იმ პირობით, რომ ბაჰაულა დატოვებდა ირანს და სხვაგან გადასახლდებოდა. ბაჰაულამ ახალ საცხოვრებლად ბაღდადი აირჩია.

მძიმე მდგომარეობაში მყოფი ბაჰაულა 1853 წლის 12 იანვარს, ოჯახთან ერთად, ერაყში გაემგზავრა, რომელიც მაშინ თურქეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა.

მოგზაურობა თითქმის სამი თვე გაგრძელდა. ზამთრის პერიოდი იდგა, ძალზე ცივდა, საგზალიც ცოტა ჰქონდათ, მაგრამ ღვთის შეწევნით, ბაჰაულას ოჯახმა ბაღდადს მაინც მიაღწია. ამის შემდეგ ბაჰაულა სამშობლოში არ დაბრუნებულა.

ბაჰაი მემატიანე აღნიშნავს, რომ ბაჰაულას წასვლით „ირანმა საკუთარ თავს წინასწარმეტყველის თანდასწრების მადლი ჩამოართვა... აცნობიერებდა კი ირანის ხალხი ამ დანაკარგს?! – სვამს კითხვას მემატიანე და იქვე პასუხობს: – უგუნურების საბურველში გახვეულნი, ფანატიზმში ჩაძირულნი, ცრურწმენებით გონებადაბინდულნი მოშურნეთა კარნახით, ცილისწამებით მოტყუებულნი, ვერაფერს ხედავდნენ, ვერაფერს ხვდებოდნენ და განეშორა მათ ქვეყნიერების ცოდვათა გამომსყიდველი. ის, ვინც ერთ დროს ერთნაირად უყვარდათ ღარიბთ და მდიდართ, მაღალთ და მდაბალთ, ხელმწიფეთ და გლეხთ, ახლა მიტოვებული იყო იმავე ხალხის მიერ, რომელთაც იგი ერთ დროს, მუდამ უხვად ავსებდა წყალობით, სიყვარულით, სამართლიანობით და სათნოებით. ირანმა დაჰკარგა ბაჰაულა, მაგრამ შეძლებდა კი მისი სული ოდესმე განშორებოდა ამ თუ სხვა რომელიმე მიწას?!“[29]

ამ პერიოდიდან იწყება ბაღდადური ხანა ბაჰაულას ცხოვრებაში. იმ სახლს, რომელიც მან ბაღდადის გარეუბანში დაიქირავა, უამრავი ბაბიდი მოაწყდა. თვითმხილველთა თქმით, ისინი თავგზააბნეულნი და სასოწარკვეთილნი იყვნენ, ზოგი მათგანი უღირსადაც იქცეოდა. მაოზე ისე დამთრგუნველად იმოქმედეს რეპრესიებმა, ისეთი ძლიერი შოკი განიცადეს, რომ ზოგმა სრულიად დაკარგა რწმენა.

ბაჰაულა ყველას თანაგრძნობით ხვდებოდა, ანუგეშებდა, ეხმარებოდა გულთა გაწმენდასა და სულთა გამოცოცხლებაში. მისი დაუცხრომელი მე-

ცადინეობით ბაბიდების თემი ნელ-ნელა ისევ ფეხზე დადგა. მის მომხრეებს ახალი იმედი ჩაესახათ, მაგრამ უბედურება ახლა სხვა მხრიდან მოვიდა — ბაბიდების თემში განხეთქილებამ იფეთქა. მისი მოთავე ბაჰაულას ნახევარძმა მირზა იაჰია აღმოჩნდა, რომელმაც თავი ბაბის მემკვიდრედ და მისი საქმის გამგრძელებლად გამოაცხადა.

ბაბიდი მემატიანენი მირზა იაჰიას ახასიათებენ, როგორც პატივმოყვარე, სულმდაბალ და მხდალ პიროვნებას, რომელსაც ბაბის სიკვდილით დასჯამ ისეთი თავზარი დასცა, რომ თითქმის მთლიანად დაკარგა ღვთის რწმენა. იგი ერთხანს დერვიშივით დაეხეტებოდა მაზენდერანის მთებში. ბაბიდთა მტკიცებით, მისმა სამარცხვინო საქციელმა ზოგიერთ ბაბიდს მთლიანად გაუცრუა იმედი და რწმენას ჩამოაშორა.

მირზა იაჰიამ, როგორღაც მაინც მოახერხა ბაღდადში ჩასვლა. აქ იგი საშინლად აღაშფოთა იმ მზარდმა ავტორიტეტმა, რომლითაც ბაღდადში სარგებლობდა ბაჰაულა. იგი შემზარავმა შურმა შეიპყრო და გადაწყვიტა ბაბიდებს შორის ეჭვის თესლი დაეთესა ბაჰაულას მიმართ, ებრძოლა მის იდეებთან და მიზნებთან.

თემში ვითარება ისევ დაიძაბა. ამ მდგომარეობით შეწუხებულმა ბაჰაულამ, იმ მიზნით, რომ იგი არ გამხდარიყო მორწმუნეთა შორის უთანხმოების მიზეზი, ყველასათვის მოულოდნელად, დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი და ქალაქ სულეიმანიიდან გარკვეულ მანძილზე მდებარე უდაბნოს შეაფარა თავი. აქ განმარტოებული ბაჰაულა მხოლოდ უფალს ესაუბრებოდა.

მისი განდეგილობის პერიოდი 2 წელიწადს გაგრძელდა. მიუხედავად ბაჰაულას ასკეტური ცხოვრებისა და ხალხთან ურთერთობაზე უარის თქმისა,

ცნობა ამ არაჩვეულებრივი, სიბრძნით დაჯილდოებული ადამიანის შესახებ, მალე გავრცელდა ქალაქ სულემანიასა და მის მეზობელ რაიონებში. ამ ხმებმა, უფრო გვიან, ბაღდადამდეც მიაღწია. მისი გამოჩენით გახარებულმა ოჯახმა სთხოვა ბაჰაულას დაბრუნებულიყო, რაზედაც ბაჰაულა დათანხმდა. ორი წლის განმარტოებული ცხოვრების შემდეგ იგი ბაღდადს და თავისიანებს დაუბრუნდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ბაჰაულას, თემში მძიმე ვითარება დახვდა, მისმა მეტოქემ – მირზა იაჰიამ ბაჰაულას არყოფნის პერიოდში, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი ვერ გაართვა თემის მართვას და იგი მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო. საჭირო გახდა ამ სიძნელეების დაძლევა და თემის გამოცოცხლება. ბაჰაულა და მისი ოჯახი რუდუნებით შეუდგნენ ამ საშურ საქმეს. როგორც ბაჰაის რელიგიის მემატიანენი წერენ, ბაჰაის ავტორიტეტი და გავლენა ამის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა.

ამ დროისათვის, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა განცხადებული, რომ სწორედ ის იყო დიდიხნის ნანატრი ღვთის რჩეული, მაგრამ მისგან ისეთი ღვთაებრივი სიყვარული მოედინებოდა, რომ მას არ შეეძლო ადამიანთა გულები არ აეთრთოლებინა.

ბაჰაის მემატიანეთა თქმით, ბაჰაულას მიერ ბაღდადში გატარებული წლები ეს იყო დიდი გამარჯვების წლები, ბაჰაის მოძღვრების დახვეწის და ბაბიდთა თემის ფეხზე დადგომის წლები. მაგრამ, ამასობაში, ბაბიდთა მტრებიც არ თვლემდნენ. ისინი ყოველგვარ საშუალებას მიმართავდნენ, რათა შეეჩერებინათ ბაჰაულას პრესტიჟის ზრდა. ამ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა ერთ-ერთი შეიხი, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებინა როგორც სპარსეთის, ისე ოსმანთა იმპერიის ხელისუფალნი, რომ

აღმდგარიყვნენ ამ, მისი აზრით არასწორი, ისლამისათვის დამღუპველი მოძღვრების წინააღმდეგ.

წლების მანძილზე შეიხის და ბაბიდთა სხვა მტრების ასეთმა მოწოდებებმა მართალია შედეგი არ გამოიღო. ამაში მას ხელს უშლიდა ბაჰაულას დიდი სიბრძნე, გონიერება და კეთილშობილება; მაგრამ, ბოლოსდაბოლოს, 1863 წელს, ბაჰაულას მტრებმა მიზანს მაინც მიაღწიეს. გადაწყდა ბაჰაულას გაძევება, მის ოჯახს უნდა დაეტოვებინა ბაღდადი და კონსტანტინეპოლში გადაეყვანათ. ხელისუფლების მიერ მიღებულმა დადგენილებამ ბაჰაულას ბაღდადიდან გასახლების შესახებ მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ბაბიდთა თემზე, რადგან ახალგაზრდა სარწმუნოების მომავალი ისევ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

თვითმხილველთა თქმით, ბაღდადიდან გამგზავრებამდე ბაჰაულამ 12 დღე ქალაქგარეთ მდებარე ბაღში, რომელიც დღეს რიზვანის ბაღის სახელითაა ცნობილი, გაატარა. აქ, უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ხალხი გამოსამშვიდობებლად. სწორედ ამ ბაღში გამოაცხადა ბაჰაულამ, რომ ის არის ღმერთის მიერ აღთქმული მაცნე — ღმერთის გამოცხადება.

ამგვარად, ბაჰაულას მტრების ცდა მომაკვდინებელი დარტყმა მიეყენებინათ ბაბიდთა თემისათვის, მარცხით დამთავრდა. ეს დღე კი უბედურების ნაცვლად უსაზღვრო სიყვარულის დღედ იქცა. ამიტომ, ბაჰაის რელიგიის მიმდევრები მთელ მსოფლიოში აღნიშნავენ ამ თორმეტ დღეს — 21 აპრილიდან 2 მაისით დამთავრებული. ეს არის ყველაზე დიდი, უწმინდესი და უმნიშვნელოვანესი დღესასწაული, რომელსაც რიზვანის დღესასწაული ჰქვია.

ბაჰაულამ და მისმა ოჯახმა კონსტანტინეპოლში მხოლოდ 4 თვე დაჰყო. აქ, სპარსეთის მთავრობის

ზეწოლით და სულთანის კარზე ირანის ელჩის ბრალდებებისა და ინტრიგების წყალობით, ბაჰაულა და მისი ოჯახი კიდევ უფრო შორს — ადრიანოპოლში გადაასახლეს.

ბაჰაულა ადრიანოპოლში 1863 წლის 12 დეკემბერს ჩავიდა. ამ ქალაქში იგი ოთხნახევარი წელი ცხოვრობდა. პირობები მეტად მძიმე იყო, მაგრამ, როგორც ბაჰაის მემატიანენი აღნიშნავენ, ეს იყო არა მარტო კრიზისების, არამედ დიდი გამარჯვებების პერიოდიც.

ბაჰაულა და მისი მომხრეები ადრიანეპოლიდან უგზავნიდნენ მსოფლიოს მეფეებს, იმპერატორებს და მმართველებს წერილებს მოწოდებით დაეცვათ სამართლიანობა და თავიანთი ძალაუფლება გამოეყენებინათ იმისათვის, რომ უარი ეთქვათ ომებზე და წერტილი დაესვათ სიღარიბისა და გაჭირვებისათვის.

ადრესატებს შორის იყვნენ: ოსმალეთის იმპერიის სულთანი — აბდულ აზიზი, რუსეთის მეფე ალექსანდრე II, ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები, საფრანგეთის იმპერატორი ნაპოლეონ III, სპარსეთის შაჰი ნასრედინი, რომის პაპი პიუს IX, ინგლისის დედოფალი ვიქტორია, პრუსიის მეფე უილიამ I და ა. შ.

ბაჰაულას სახელი, მისი სიბრძნის ამბავი და დიდება სწრაფად გავრცელდა რეგიონის მოსახლეობაში. შეშინებულმა მთავრობამ გადაწყვიტა მისი უფრო შორს — ციხე-ქალაქ აკაში გადასახლება. იქ, სადაც ყველაზე დიდ დამნაშავეებს ათავსებდნენ. მთავრობა იმედოვნებდა, რომ პატიმრები აქედან უკან ცოცხლები ვეღარ დაბრუნდებოდნენ.

აკაში დევნილები თავდაპირველად საშინელ პირობებში იმყოფებოდნენ, ბაჰაულას აქ ვაუიც — მირზა მეჰდიც გარდაეცვალა, მაგრამ დროთა ვიტარებაში პატიმრობის პირობები თანდათან გაუმჯო-

ბესდა. მიუხედავად სულთნის აკრძალვისა, აქ ჩამოსვლას მაინც ახერხებდნენ მისი მომხრეები და საოცრად ბედნიერნი იყვნენ თუკი ბაჰაულას თვალს მაინც მოჰკრავდნენ.

სიცოცხლის ბოლო წლები ბაჰაულამ ბაჰჯის სასახლეში გაატარა. ეს სახლი აკკას განაპირას მდებარეობდა, იგი მისმა შვილმა აბდულ-ბაჰმა შეუძინა მამას.

ბაჰაულას პიროვნების და საქმიანობის უკეთ დახასიათებისათვის ძალზე საინტერესოა ინგლისელი პროფესორის ედუარდ ბრაუნის მოგონებები, რომელიც სპეციალურად ჩავიდა თურქეთში, აკაში, რათა ახალი დროის წინარმეტყველს შეხვედროდა:

„მისი სახე, – წერდა იგი, – არასოდეს დამავიწყდება, თუმცა მიჭირს ზუსტად აღვწერო. მის მრავლისმთქმელ და გამჭრიახ თვალებში ძლიერი სული იგრძნობოდა, შუბლზე სიბრძნე აღბეჭდილიყო. მან ოდნავ გასაგონი ხმით მთხოვა დავმჯდარიყავი, შემდეგ კი განაგრძო: „შენ ტუსაღის სანახავად ხარ ჩამოსული... ჩვენ მხოლოდ მსოფლიოს, ყველა ერის კეთილდღეობა და ბედნიერება გვინდა... და რომ ყველა ერს ჰქონდეს ერთი რწმენა და ყველა ადამიანები ძმებივით იყვნენ ერთმანეთთან; სიყვარულისა და ერთობის კავშირი ხალხთა შვილებს შორის უნდა გაძლიერდეს... ასეც იქნება; ეს უნაყოფო ბრძოლები, ეს დამანგრეველი ომები გაივლიან და დაისადგურებს ძალიან დიდი და ხანგრძლივი მშვიდობა. არ გნებავთ იგივე ევროპაში? ქრისტეც ამას არ წინასწარმეტყველებდა?.. ნუ შეაქებ კაცს იმისათვის, რომ მას სამშობლო უყვარს, უმჯობესია იგი შეაქო იმაში, რომ მას უყვარს თავისი მოდგმა“[30].

აკაში ბაჰაულამ დაწერა თავისი თხზულებების უმეტესი ნაწილი, რომელნიც დაახლოებით 100 ტომს შეადგენენ მათ შორის გამოირჩევა „ქითაბ-ი-აღდასი“,

აბდულ ბაჰა

უწმინდესი წიგნი, რომელშიაც გადმოცემულია ბაჰაულას ძირითადი კანონები.

ბაჰაულა 1892 წელს გარდაიცვალა. სიკვდილის წინ თავისი რელიგიური მიმდინარეობის მეთაურად და წმინდა წერილების მთავარ ამხსნელად დანიშნა თავისი უფროსი ვაჟიშვილი აბდულ-ბაჰა (1844–1921 წ.წ.), ამან, სპეციალისტთა აზრით, ბაჰაის რწმენას მისცა საშუალება შეენარჩუნებინა ერთობა წინასწარმეტყველის სიკვდილის შემდეგაც...

აბდულ-ბაჰის სიკვდილის შემდეგ ბაჰაის მიმდევართა ხელმძღვანელობა გადავიდა მის შვილიშვილზე შოღი-ეფენდიზე (1897–1957 წ.წ.), ხოლო 1963 წლიდან იგი ხორციელდება სამართლიანობის მსოფლიო სახლის მიერ, რომლის შექმნა ჩაფიქრებული ჰქონდა ჯერ კიდევ ბაჰაულას.

ბაჰაულას სამუდამო განსასვენებელი ისრაელშია, ქალაქ ჰაიფას მახლობლად, ბაჰჯიში, რომელიც ულამაზეს ბაღებში არის ჩაფლული.

ბაჰაის მიმდევრები ამ ადგილს უწმინდესს ადგილად თვლიან და ეთაყვანებიან.

ბაჰაის სწავლებები

„ყველა ხალხი გაერთიანდება და
იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი“
ბაჰაულა

ბაჰაის სწავლებები გადმოცემულია წმინდა წიგნებში. ამ წმინდა წიგნებს შეადგენს ბაბის, ბაჰაულას და აბდულ-ბაჰას მიერ დაწერილი შრომები, რომლებიც ღვთით შთაგონებულად არიან გამოცხადებული. ეს წიგნები ჩვენამდე მოვიდნენ ხელნაწერების სახით და უმეტესად ეკუთვნიან ბაჰაულას, ან მისი მდივნის (ბაჰაულას კარნახით) კალამს. მისი ნამდვილობა კი დადასტურებულია თვით ბაჰაულას მიერ.

ბაჰაის სწავლებით სამყაროს შემოქმედი არის ღმერთი, რომელიც მომდინარეობს მარადიული ყოფიერებიდან. იგი არის ერთადერთი, მარტოსული, უბადლო და სწორუპოვარი. იგი მარადიულია, როგორც წარსულში, ისე მომავალში. იგი ყოველი საგნისაგან განცალკევებულია, ყოვლის მომქმედია, უცვლელი და თვითარსია. როგორც ბაჰაის წმინდა წერილშია გადმოცემული: „იყო მისი სამეფოს შეუცნობელ სიღრმეთა შხეფვა და სრული არარაობიდან იქმნა ყოველგან მსუფევი ნება მისი, ყოფიერებაში ქმნილებად წოდებული, განუსაზღვრელი თავის შესაძლებლობებში და უკვდავი დროში. მისი სიუხვის საოცრებანი არასოდეს შეწყდება და მისი გულთბილი მოწყალების ნაკადი არასოდეს შეჩერდება, მის შემოქმედებას არც დასაწყისი ჰქონია და არც ბოლო ექნება“[30].

ღმერთის სამყაროები უთვალავია რიცხვით და უსაზღვროა თავის შესაძლებლობებში. მათ ვერავინ

შეიცნობს და აღიქვამს ყოვლისმცოდნესა და ყოვლად ბრძენი ღმერთის გარეშე.

მთელი სამყარო, ბაჰაის მიხედვით, გამოსახავს მის დიდებას, რადგან ის თავად თვითმყოფადია, უბადლო მის ქმნილებათა შორის. ყოველგვარი არსებობა მასზეა დამოკიდებული და მისგან მიედინება ყოველივეს მასაზრდოებელი წყარო. ხოლო ყოველი ქმნილება მთელს მსოფლიოში სხვა არაფერია თუ არა კარი მისი შემეცნებისაკენ:

„...ყოველი ქმნილება ნიშანია ღმერთის გამოცხადების. თითოეული საგანი, – წერს ბაჰაულა, – არის უფლის შესაძლებლობის, უფრო სწორად ყოვლისშემძლეობის ნიშნის გამომხატველი, რადგან მბრძანებელმა ისურვა თავისი მეუფება სახელთა და თვისებათა სამეფოში გამოეხატა ღვთიური ნების მეოხებით, ყოველი ქმნილება მისი დიდების ნიშნად იქცა“[31].

შემდეგ ბაჰაულა აგრძელებს საუბარს ღმერთის სიძლიერისა და ყოვლისშემძლეობის შესახებ: „მთელს სამყაროში ერთი ატომიც კი არ მოიძებნება, რომელიც მის ძლიერებაზე არ მიანიშნებდეს. რომელიც მის წმინდა სახელს არ ადიდებდეს და მისი ერთადერთობის სხივოსან ნათელს არ აფრქვევდეს. მის მიერ ქმნილი იმდენად მშვენიერი და ყოვლის მომცველია, რომ ვერც გული და ვერც გონება, რაც არ უნდა სუფთა იყოს იგი, ვერასოდეს ჩასწვდება მის თუნდაც ყველაზე უმნიშვნელო ქმნილებათა ბუნებას; მიუწვდომელია საიდუმლო მისი, ვინც არის სიმართლის ცისკრის ვარსკვლავი, ვინც უხილავი და შეუცნობი რაობაა. ყველაზე კეთილშობილ მისტიკოსთა თეორიები, რომელთა შექმნა შეუძლია ადამიანის ენას თუ კალამს. ეს ყველაფერი გარკვეულ ზღვრებში მოქცეული გონების ნაყოფია და განპირობებული მისი შეზღუდვებით“[32].

შეცნობადია თუ არა ღმერთი? ამ უმნიშვნელოვანეს კითხვაზე ბაჰაულა უარყოფითად პასუხობს, თუმცა, მეორე მხრივ მის რეალობასა და ჭეშმარიტებაზე საუბრობს: „როგორ გავბედავ, – წერს იგი, – ვთქვა, რომ შეგიცან, როცა შენს მიერ შექმნილი მთელი სამყარო განცვიფრებულია შენი საიდუმლოებით და როგორ ვიტყვი, რომ არაფერი ვიცი შენს შესახებ, როცა მთელი სამყარო შენს არსებობაზე მიუთითებს და შენს ჭეშმარიტებაზე მეტყველებს“[33].

ისევე როგორც სხვა ტრადიციულ მსოფლიო რელიგიებში. ბაჰაი სარწმუნოებაში ყოველივე ირგვლივ, ცოცხალი თუ არაცოცხალი ბუნება, ღვთის შემოქმედების ნაყოფია, მისი ნება და განგებაა, მაგრამ ყველაფრის გვირგვინი, რასაკვირველია, თვით ადამიანია.

„რა ბრწყინვალეა ცოდნის ლამპარი, – ამბობს ბაჰაულა, – თითოეულ ატომში რომ კაშკაშებს და რა ერცელია სიბრძნის ოკეანე, წვეთში რომ ღელავს! ყველაზე უფრო ეს ითქმის ადამიანზე, რომელიც ყველა ქმნილებათა შორის განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვდა და ამ ღირსებით გამორჩეული იქნა დიდებისათვის, რამეთუ მასში მჟღავნდება ღმერთის ყველა თვისება და სახელი იმ ზომით, რომლითაც სხვა არცეროი ქმნილება არ გამოირჩევა“[34]. (შეადარე ბიბლიურ დებულებას: „ღმერთმა ადამიანი შექმნა თავისი სახისა და ხატის მსგავსად“).

„როდესაც შექმნა სამყარო და ყოველივე, რაც მასში ცოცხლობს და მოძრაობს, – ნათქვამია ბაჰაის წმინდა წერილში, – უფალმა თავისი თავისუფალი და მეფური ნებით განსაჯა, რომ კაცთათვის მიენიჭებინა უნიკალური ღირსება და შესაძლებლობა – ეცნოთ იგი და ყვარებოდათ; – შესაძლებლობა, რომელსაც მოვლა-გაფრთხილება სჭირდება, როგორც

მაცოცხლებელ იმპულსს და პირველად მიზანს, საფუძვლად რომ უდევს ყოველივე ქმნილს... თითოეული და ყოველი ქმნილების არსი ღმერთმა ჩადო თავის ერთ-ერთი სახელის ნათელი და გაანათა თავის ერთ-ერთი თვისების დიდების მფლობელად. ხოლო ადამიანის არსში მან თავი მოუყარა თავისი სახელისა და თვისების ბრწყინვალებას და ჰქმნა იგი თავის საკუთარი თავის სარკედ. ყოველ ქმნილთა შორის მხოლოდ ადამიანი იქნა გამორჩეული ასეთი დიდი უპირატესობისათვის, ასეთი უსასრულო სიუხვისათვის"[35].

როგორც ვნახეთ, ბაჰაის რწმენით, მართალია, ადამიანი ყველა ქმნილთა შორის გამორჩეულია (უნიკალური მოვლენაა), ქმნადობის გვირგვინია, უფლის სარკეა, მას აქვს უფლის ნიშანი – სული, მაგრამ მისი შესაძლებლობები ძალზედ შეზღუდულია. ადამიანის გონება ვერ გადააჭარბებს იმ ფარგლებს, რომელსაც მკაცრად ექვემდებარება ზღვარდადებული აზროვნება: „რა სიმაღლესაც არ უნდა მიაღწიოს კაცის ამაღლებულმა გონებამ, რარიგ ღრმაც არ უნდა იყოს მიუკერძოებელი გონებისა და მიხვედრილი გულის განჭვრეტა, – ნათქვამია ბაჰაის წმინდა წერილში, – ვერც ასეთი გონება და ვერც ასეთი გული ვერასოდეს გაცდებიან მათს მიერვე შექმნილ წარმოდგენებს და მათივე აზრების ნაყოფს... უზომოდ მაღლა დგას იგი ადამიანის გონების სწრაფვაზე – ჩასწვდეს მის არსს, ანდა ადამიანის ენის მცდელობაზე – აღწეროს მისი იდუმალება. ვერავითარი პირდაპირი ურთიერთობის ძაფი ვერ დააკავშირებს მას თავის ქმნილებებთან"...[36]

მაშ გამოსავალი სად არის როგორ უნდა შეიცნოს ადამიანმა უფალი, როგორ უნდა შეაღწიოს მის საუფლოში? ამისათვის ღმერთი ადამიანებს დროდადრო უგზავნის თავის მოციქულებს, წინა-

სწარმეტყველებს. ისინი გარკვეულად ღმერთის განსახიერებანი არიან. ასეთი მოციქული სულ რამდენიმე იყო: **კრიშნა, მოსე, ბუდა, ზოროასტრი, ქრისტე, მუჰამედი** და სულ ბოლოს ბაჰაულა.

მიზანი მათი გამოგზავნისა, ბაჰაის რწმენის მიხედვით, არის გაათავისუფლონ ადამიანთა ნაშიერნი უმეცრების სიბნელისაგან და გაუძღვნენ მათ ღვთის ნათლისაკენ. გარდა ამისა, იგი გარანტიაა კაცობრიობისათვის მშვიდობისა და სიწყნარის უზრუნველყოფისათვის, იმ საშუალებებით აღჭურვისა, რომლითაც ამის მიღწევაა შესაძლებელი:

„შეცნობა უძველესი არსებისა, – ნათქვამია ბაჰაის წმინდა წერილში, – რომელიც მარად იყო და იქნება, შეუძლებელია კაცთათვის. ვერარა ადამიანის გაგება ვერასოდეს მოიპოვებს მის წმინდა საუფლოში შეღწევის ნებას. თუმცა კი, ნიშნად მისი მოწყალებისა და მისი კაცთმოყვარული სიკეთის დადასტურებისა, მან ადამიანებს მოუვლინა თავის ღვთიური ერთობის სიმბოლოები და ამ კურთხეულ სულთა ცნობა თავისი საკუთარი თავის ცნობის ტოლფასად გახადა. მან, ვინც შეიცნო ისინი – შეიცნო ღმერთი, ვინც ყური დაუგდო მათს მოწოდებას, ყური დაუგდო ხმას ღვთისას და ვინც დაადასტურა მათი გამოცხადების ჭეშმარიტება, მან თავად ღმერთის ჭეშმარიტება დაადასტურა... თითოეული მათგანი არის გზა ღვთისა, რომელიც აკავშირებს ამ ქვეყანას ზეციურ სასუფეველთან და არის ღვთიური სიმართლის საზომი თითოეულისათვის, მიწიერ და ზეციურ სამეფოებში. ისინი არიან ღმერთის განსახიერებანი კაცთა შორის, მისი სიმართლის საბუთნი და მისი დიდების ნიშანი“[37].

ბაჰაის რწმენით, ადამიანს ღმერთის სხვა ქმნილებებისაგან განსხვავებით აქვს სული, რომელიც არის ღმერთის ნიშანი, როგორც თვითონ ამბობენ:

სული არის ადამიანის ღვთაებრივი ნიშანი, რომლის არსებაში ჩაწვდომას და მისი რაობის გაგებას ადამიანის გონება ვერ ახერხებს.

თუ ყველაფერს ზემოთქმულს შევაჯამებთ, დასკვნა ბაჰაის მოძღვრების შესახებ ასე გამოიყურება: არსებობს დიდი უფალი ღმერთი, რომელმაც შექმნა სამყარო, ხილული თუ უხილავი. სხვა ქმნილებებთან ერთად მან შექმნა ადამიანი, რომელსაც ადევს ღმერთის ნიშანი, გვირგვინი მისი ქმნადობისა. მას აქვს მარადიული სული. იმისათვის, რომ ადამიანთა მოდგმამ სწორი გზით იაროს, დედამიწაზე იგი დროდადრო აგზავნის თავის მოციქულებს. ასეთი მოციქულები იყვნენ: კრიშნა, მოსე, ბუდა, ზოროასტრი, ქრისტე, მუჰამედი, ბაჰაულა. მოციქულები შემდეგაც მოვლენ, მაგრამ, სანამ მოვლენ, მანამ ადამიანებმა ბაჰაულის სწავლებით უნდა იხელმძღვანელონ. საბოლოო მიზანი ადამიანისა მდგომარეობს იმაში, რომ დაუბრუნდეს ღმერთს და შეუერთდეს მის დიდებას.

ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადამიანი ცხოვრებაში სწორი, ღმერთის მიერ ნაჩვენები გზით ივლის. როგორც ბაჰაის წმინდა წერილშია ნათქვამი:

„...თუ კაცის სული ღვთის გზებით ივლის, ის უეჭველად დაუბრუნდება და შეურთდება მეუფის დიდებას... სული... მისი ამაღლების შემდეგ შეიძლება ფლობდეს ისეთ ძალას, რომ მისი სარგებლობა ყოვლისშემძლის მიერ შექმნილ ყველა სამყაროს შეეძლება...

სწორედ ისევე, როგორც სარწმუნოება არსებობდა იმ დროიდან, რომელსაც საწყისი არა აქვს და იარსებებს ბოლომდე, რასაც ბოლო არა აქვს, ისევე ჭეშმარიტი მორწმუნეც მარად იცოცხლებს და იარსებებს. მისით სული სამუდამო ბრუნვაში იქნება

ღვთის ნების გარშემო. ის იარსებებს მანამ, სანამ თავად ღმერთი იარსებებს“[38].

ბაჰაების მტკიცებით, რელიგია არ ინახება თავისი თავდაპირველი სახით, არამედ იცვლება, თანდათან მახინჯდება და იქამდე მიდის, სანამ მოლიანად არ განადგურდება; ამიტომ, სანამ ეს მოხდებოდეს საჭიროა, მისი დროულად შეცვლა.

აბდულ-ბაჰას მოაქვს ასეთი მაგალითი: ქრისტიანობაში ცნობილი ათი მცნების მეორე მცნებაში ნათქვამია, რომ ადამიანი არ უნდა ეთაყვანოს კერპებს, მაგრამ, თუ გადავხედავთ ქრისტიანობის ზოგიერთ მიმდინარეობას, მათი სალოცავები სავსეა სკულპტურული და ფერწერული გამოსახულებებით. სწორედ ასეთ გარემოებათა გამო მოდიან ღვთის ახალი მაცნეები და იქმნება ახალი რელიგია. რწმენა ასე რომ არ მახინჯდებოდეს, მაშინ არ იქნებოდა საჭირო მისი განახლება.

აბდულ-ბაჰას მოაქვს კიდევ ერთი მაგალითი: თავდაპირველად ხე იყო გაფურჩქნილი და უხვ ნაყოფსაც ისხამდა. მაგრამ გავიდა დრო, ხე დაბერდა, დაჭკნა და გახმა, ცხადია, ნაყოფსაც აღარ ისხამდა. ასეთ შემთხვევაში, ჭკვიანი მებაღე როგორ იქცევა? იგი ისევ რგავს იმავე სახის და ხარისხის ახალ ხეს, რომელიც დღითიდღე იზრდება, იფურჩქნება, თავის ჩრდილს ჰფენს ღვთის ბაღში და ისევ ისხამს სასწაულებრივ ნაყოფს.

რელიგიაც ასეა, როდესაც იგი შორდება თავის თავდაპირველ საფუძვლებს, როდესაც იკარგება ღვთის ჭეშმარიტება, როდესაც ქრება სული, მაშინ რელიგია იქცევა უსულო სხეულად. სწორედ მაშინ ჩნდებიან ერესები. ამიტომ არის საჭირო მათი შეცვლა. ნახეთ მარტო ქრისტიანობაში რამდენი ერესია...

მაგალითად, ქრისტე კრძალავდა ერთმანეთზე თავდასხმასა და შურისძიებას; იგი მორჩილების,

წყენისა და თვით ბოროტების შეწყნარებისა და პატიებისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ, ნახეთ, რამდენი სისხლიანი ომი მოხდა და ხდება ერთი და იგივე რწმენის ხალხებს შორის, რამდენი სისასტიკე, ჩაგვრა და სისხლის წყურვილი იყო და არის მათ შორის. ბევრი ომი ხომ სულაც რომის პაპების ბრძანებით მიმდინარეობდა. ამრიგად, დროთა ვითარებაში, რელიგია მართლაც სრულიად მახინჯდება და ამიტომ დგება მისი განახლების საჭიროება[39].

რაც შეეხება ადამიანთა საზოგადოებას, მან უნდა მოიშოროს ყოველგვარი მანკიერება და დაუცხრომლად ისწრაფვოს სიკეთისაკენ. სხვაგვარად, იგი მთლიანად გაინადგურებს თავის თავს. უნდა განახლდეს როგორც თითოეული ადამიანი, მისი პირადი ზნეობრივი ნორმები, ასევე საზოგადოება და თვით სახელმწიფო მმართველობის სისტემაც. მთავარი თემა ბაჰაის სწავლებებისა იყო და არის კაცობრიობის ერთობა, რომელიც უნდა გაერთიანდეს ერთიან თანამეგობრობად.

ასეთი გაერთიანება, მათი აზრით, არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელია, რადგან ცხოვრება და ისტორიის წინსვლა თანდათან შლის ტრადიციულ წინაღობებს რასებსა და რჯულმოძღვრებებს შორის, ერებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის.

ის, რაც დღეს ხდება, განპირობებულია იმ წინააღმდეგობებით, რომელიც არსებობს ახალი ეპოქის მოთხოვნებს და საზოგადოების ორგანიზაციის მოძველებულ ფორმებს შორის, ბაჰაის სარწმუნოებას ჩამოყალიბებული აქვს ის პრინციპები, რომლებმაც უნდა დაამყარონ და უზრუნველყონ ადამიანთა ერთობა, რადგან „დედამიწა მხოლოდ ერთი ქვეყანაა, კაცობრიობა კი მისი მოქალაქე“. აი ზოგიერთი მათგანი:

1. უნდა დაიძლიოს რელიგიური, რასობრივი, ეროვნული, კლასობრივი თუ სხვა ცრუ რწმენები.
2. მამაკაცების და ქალების სრული თანაბარუფლებიანობა.
3. ყველა რელიგიის არსებითი ერთობის ცნობა.
4. სიმდიდრისა და სიღარიბის უკიდურესობების გამორიცხვა საზოგადოებაში.
5. საყოველთაო განათლება.
6. ქცევის უმაღლესი სტანდარტი და ოჯახის სიმთელე.
7. რელიგიას და მეცნიერებას შორის ჰარმონია.
8. მისაღები თანასწორობა ტექნიკურ განვითარებას და ეკოლოგიას შორის.

ამ, და ზოგიერთ სხვა პრინციპზე უნდა აშენდეს ახალი საზოგადოება, ასე უნდა იქნეს მიღწეული ერთობა, შეწყდეს ყოველგვარი უსარგებლო ომები და მტრობა ხალხებს შორის. ვინაიდან, – ასკვნიან ბაჰაის რწმენის მიმდევრები, – ღმერთი ერთია, ყველა ადამიანი მის მიერ არის შექმნილი და ყველა წინასწარმეტყველი მისი გამოგზავნილია, ამიტომ, კაცობრიობის მიზანი უნდა იყოს პრინციპი: „ერთ ფარას ერთი მწყემსი უნდა ყავდეს“[40].

ვინაიდან ბაჰაის რწმენის მიხედვით ღმერთი ერთია, ხოლო ყველა რელიგია არის ნაწილი ერთიანი ღვთის განგებისა, რომელიც მიმართულია ცივილიზაციის სულიერი და მატერიალური განვითარებისათვის, ხოლო თვით ბაჰაის სარწმუნოება აღასრულებს ყველა ძირითადი რელიგიების აღთქმას, იგი თავისთავში უნდა მოიცავდეს ამ რელიგიათა ძირითად და საკვანძო მომენტებს. ასე მაგალითად:

1. იუდაიზმიდან გამოსული ბაჰაის მიმედვართათვის, ბაჰაულა არის მოვლინება აღთქმული ღვთიური ძალისა, რომელიც ჩამოვიდა ათი ათასი წმინდანით. ბაჰაულა

არის აბრაამის შთამომავალი და „შტო ესავის ფესვიდან“, რომელიც მოვიდა იმისათვის, რათა ეჩვენებინა გზა ხალხისათვის, თუ როგორ გამოეჭედათ მახვილისაგან სახნისი. ბაჰაულას იძულებითი განდეგნის ბევრი მომენტი წმინდა მიწაზე, ისრაელში და ასევე სხვა ისტორიული ფაქტები მისი ცხოვრებიდან, წარმოადგენს ბიბლიური წინასწარმეტყველების ასრულებას.

2. იმ ბაჰაელთათვის, ვინც ბუდიზმიდან არიან გამოსულნი, ბაჰაულა წარმოადგენს ბუდა მაიტრეიას, საყოველთაო ძმობის ბუდას, რომელიც ამ რელიგიის ტრადიციის თანახმად მთელ კაცობრიობას მშვიდობასა და განათლებას მოუტანს. ერთ-ეროი ასეთი წინასწარმეტყველება ამბობს, რომ ბუდა მაიტრეია მოვა „დასავლეთიდან“. ირანი კი ინდოეთიდან მართლაც დასავლეთით მდებარეობს.

3. იმ ბაჰაელთათვის, რომელნიც გამოსული არიან ინდუიზმიდან, ბაჰაულა არის კრიშნას ახალი ინკარნაცია, მეათე ავათარა და „უდიდესი სული“, არაშობილი და უკვდავი. „როცა რწმენა უფლისადმი კლებულობს, ბრუნდება დედამიწაზე, რათა ოითოეულ ეპოქაში აღადგინოს სიწმინდე“.

4. იმ ბაჰაელთათვის, რომლებიც გამოსული არიან ქრისტიანობიდან, ბაჰაულა არის ქრისტეს დაპირების აღსრულება მამა-ღმერთის სადიდებლად. ბაჰაის რწმენის 1844 წელს წარმოშობა მრავალმხრივ ეხმაურება ქრისტიანულ წინასწარმეტყველებებს,

რომელიც შეიცავდა ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინს ამ პერიოდში. ბაჰაულას სწავლება არის წინასწარმეტყველების ასრულება, რომ ყველა ხალხი გაერთიანდება და იქნება ერთი ფარა და ერთი მწყემსი.

5. **და ბოლოს, იმ ბაჰაელთათვის, რომლებიც მუსულმანობიდან არიან გამოსული, ბაჰაულა არის ყურანის წინასწარმეტყველების შესრულება ღვთის დღისა და დიდი გამოცხადების შესახებ, როცა უფალი ჩამოვა ღრუბელთა საბურველში. იმ დრამატულ მოვლენებში, რაც თავს გადახდათ ბაბის და ბაჰაის მომხრეებს, ისინი ხედავენ აღსრულებას მუჰამედის ბევრი გამოთქმისა, რომელნიც გამოცანად რჩებოდნენ, საუკუნეთა მანძილზე"[41].**

ბაჰაის მიმდევრები, ბევრი სხვა რელიგიისაგან განსხვავებით, არ თვლიან, რომ სულიერება უნდა მოასწავებდეს „ამქვეყნიურობისათვის ზურგის შექცევას". პირიქით, ბაჰაულამ აკრძალა ასკეტიზმი და თავის მიმდევრებს დაუწესა, რომ გულით ეზრუნათ იმ წუთისოფლის საჭიროებაზე, რომელშიაც ისინი ცხოვრობენ.

რელიგიის დანიშნულებას ბაჰაები ხედავენ იმაში, რომ მიიყვანონ ადამიანები თანხმობამდე და ერთობამდე, რელიგია არის მთავარი ფაქტორი იმ დიდ საქმეში, რასაც ქვეყნად მშვიდობა და საზოგადოებრივი წესრიგი ჰქვია. ამიტომ, ბაჰაის თხზულებებში, წარმოდგენილია დაწესებულების სქემა, რაც, მათი აზრით, მშვიდობის დასამყარებლად და მსოფლიოს წესრიგისთვის არის აუცილებელი.

ბაჰაის თხზულებები გვარიგებენ შევასრულოთ ის, რაც წარმოადგენს ადამიანთა ცხოვრების მთავარ აზრს – შეიცნოს ღმერთი და თაყვანი სცეს მას. ასევე, წინ წასწიოს მარად წინმავალი და განვითარებადი ცივილიზაცია. ყოველი ძალით ემსახურონ ადამიანთა ერთობას, მშვიდობასა და წესრიგის დამყარებას.

ბაჰაის სარწმუნოება სიცოცხლეზე, სიკვდილზე და მარადიულ სულზე

„სული – ღმერთის ნიშანია, ზეციური მარგალიტი, რომლის არსს ყველაზე განსწავლულნი კაცნიც ვერ სწვდებიან და რომლის საიდუმლოს ვერანაირი გონება, რაგინდ მახვილი იყოს, ვერასოდეს ამოიცნობს. იგია პირველქმნილებათა შორის, რომელმაც განადიდა თავისი შემქმნელის ბრწყინვალება და პირველი, რომელმაც შეიცნო მისი სიდიადე, ჩასწვდა ჭეშმარიტებას და თაყვანისცემით მოიდრიკა მუხლი მის წინაშე“.

ბაჰაულა

ისევე როგორც სხვა რელიგიებში, სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემა, სულის უკვდავების დოგმატი, ერთ-ერთი უმთავრესია ბაჰაის სარწმუნოებაში. მათი ადეპტების მიხედვით: „ჭეშმარიტი სიცოცხლე, სულის სიცოცხლეა, რომელიც ამ სამყაროში მცირე ხნით გაიელვებს და შემდგომ კი, მარადიულად გრძელდება ღვთის საუფლოში“...[42]

კითხვაზე, თუ როგორ იწყება სიცოცხლე და რა არის სიკვდილი, ბაჰაის რელიგია პასუხობს: „სული არის ღმერთის მიერ შექმნილი სულიერების არსი, სული და სხეული ერთად შეადგენს ადამიანურ არსებას, სიკვდილი მხოლოდ არსებობის პირობების შეცვლაა, შემდგომში, სული ვითარდება მარადიულად“...[43]

კითხვაზე, – თუ რა არის ჩვენი ცხოვრების მიზანი, – ბაჰაის მოძღვრება პასუხობს: ესაა

ღმერთის შეცნობა და მისი თანდასწრების მიღწევა. საჭიროა ვიწამოთ ღვთის გამოცხადება, ვაღიაროთ მის მიერ გამოგზავნილი მაცნე და ჩვენ ამით დავუახლოვდებით უფალს. ხოლო ის ადამიანები, ვინც არ იწამებენ, არ სცნობენ ღვთის გამოცხადებას, განწირულნი არიან და მათ ღმერთისაგან შორს, უბადრუკი არსებობა ელით.

კითხვაზე, – როგორია სულის ბუნება? – ბაჰაები პასუხობენ: სული, უპირველეს ყოვლისა, არის ღმერთის ნიშანი. თუკი სული უფლის ერთგულია, მაშინ იგი აირეკლავს ღვთის ნათელს და მიუახლოვდება მის სამყოფელს. ღმერთისაკენ ჩვენს სწრაფვას აფერხებს მხოლოდ ამქვეყნიური მიდრეკილებები და პატივმოყვარული სურვილები.

ბაჰაის მოძღვრების მიხედვით სული დამოუკიდებლად არ ვითარდება, ის საჭიროებს ღმერთის გამოცხადებას. ამ საქმეში კი, მას ძალზე ეხმარება სულიერი განათლება“[44].

როგორ და სად წარმოიშობა სული? ამ კითხვაზე ბაჰაელთა პასუხი ასეთია: „სული წარმოიშობა ღმერთის სულიერების სამყაროში. ის ამაღლებულია ფიზიკურ სამყაროზე“...[45]

მომდევნო კითხვაზე, – თუ როგორ წარმოიშობა პიროვნება, – ბაჰაელნი პასუხობენ: „პიროვნება წარმოიშობა მაშინ, როცა სულიერების სამყაროდან მომავალი სული უკავშირდება ჩანასახს ჩასახვის მომენტში. მაგრამ ეს კავშირი არ არის მატერიალური. სული არ შედის და არ გამოდის სხეულიდან და არ იკავებს ფიზიკურ ადგილს. სული არ მიეკუთვნება მატერიალურ სამყაროს და მისი კავშირი სხეულთან შეიძლება შეედაროს სინათლის კავშირს სარკესთან, რომელიც მას აირეკლავს. სინათლე, რომელიც სარკეში ჩანს, არ არის მის შიგნით. ის მოდის გარე წყაროდან. ასევე, სული არ არის

სხეულის შიგნით. მას და სხეულს შორის განსაკუთრებული დამოკიდებულებაა და ისინი ერთად ქმნიან ადამიანს"[46].

როგორია დამოკიდებულება სულსა და სხეულს შორის? ბაჰაები თვლიან, რომ ეს არის განსაკუთრებული დამოკიდებულება, მათი კავშირის მეოხებით იქმნება ადამიანი, მაგრამ ეს ურთიერთკავშირი ძალზე მცირე ხანს, მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების განმავლობაში გრძელდება... როცა ეს კავშირი წყდება, სულიც და სხეულიც უბრუნდება იმას, საიდანაც წარმოიშვა – სხეული მიწას და სული ღმერთის სულიერების სამყაროს.

ბაჰაების ეს დებულება ზუსტად იმეორებს ბიბლიურ დებულებას, რომელიც ეკლესიასტეს წიგნშია გაჟღერებული: „უბრუნდება გვამი მიწას, რისგანაც წარმოსდგა, ხოლო სული უბრუნდება ღმერთს, რომელმაც იგი მისცა"[47].

სხეულთან განშორების შემდეგ, სული რომელიც ღმერთის ხატად და მსგავსად არის შექმნილი, მარადიულად ვითარდება. ბაჰაულას თქმით „სული აგრძელებს წინსვლას მანამ, სანამ არ მიაღწევს სუფევას ღვთისას – ისეთ მდგომარეობას, რომელსაც ვერც საუკუნეთა და ჟამთა ტრიალი და ვერც ქვეყნიერების შემთხვევითობანი ვეღარ შეცვლიან. ის იქმნება მანამ, სანამ იარსებებს სამეფო ღვთისა, მბრძანებლობა, ხელისუფლება და ძლიერება მისი. ის წარმოაჩენს ნიშნებს და თვისებებს ღვთისა და ასახავს მის მზრუნველობასა და სიუხვეს"[48].

იგივე ბაჰაულას მტკიცებით: „ჩვენ ჭეშმარიტად ღვთისაგან ვართ და მასვე დავუბრუნდებით"[49]. მაგრამ, თუ რატომ ეყრება სული და სხეული ერთმანეთს, რატომ კვდება ადამიანი ფიზიკურად ამას და მისი დაბრუნების საიდუმლო, ბაჰაულას თქმით, ჯერაც არ გაცხადებულა და კვლავ ამოუცნობი რჩება.

და მაინც, ბაჰაულა ცდილობს აგვიხსნას ამ საიდუმლოს არსი და მიზანშეწონილება. „ეს საიდუმლოებანი რომ განცხადდეს, ისინი ისეთ შიშსა და ღელვას გამოიწვევენ, რომ ზოგნი დაიღუპებიან, სხვები კი ისე აღივსებიან სიხარულით, რომ სიკვდილს ინატრებენ და ცხარე ვედრებას აღუვლენენ ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთს, – ამაღლდეს დიდება მისი, – რომ დააჩქაროს მათი აღსასრული“[50].

მაშ რაღა აზრი აქვს სიცოცხლეს, რატომ იბადება ან რატომ კვდება ადამიანი? ამ კითხვაზე ბაჰაულა ასეთ პასუხს სცემს: „სიკვდილი ყველა მტკიცე მორწმუნეს იმ ფიალას სთავაზობს, რომელიც თვით სიცოცხლეა. იგი სიხარულს ანიჭებს და ხალისი მოაქვს. ის აჯილდოებს მარადიული სიცოცხლის ძღვენით“[51].

რაც შეეხება კითხვას, თუ როგორაა იმქვეყნიური ცხოვრება იმათთვის, ვინც იგემა ადამიანთა მიწიერი არსებობის ნაყოფი, ან თუ შეიცნო ერთადერთი ჭეშმარიტი ღმერთი“, ამაზე ბაჰაულა პასუხობს: „მათი იმქვეყნიური ცხოვრება ისეთია, რისი აღწერაც არ შეგვიძლია. ამის ცოდნა მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის – უფალს ყოველთა სამყაროთა“[52].

ერთი რამ კი ბაჰაელთათვის უპირობოა: ერთგული, მართლმორწმუნე სული აუცილებლად მარადიულ ბედნიერებას მიაღწევს, ხოლო ურწმუნოს სული განწირულია სინანულისათვის.

ვინაიდან ჩვენ არაფერი ვიცით და არც შეიძლება ვიცოდეთ საკუთარი აღსასრულის შესახებ, ამიტომ შემწყნარებელი უნდა ვიყოთო ყველას მიმართ, მივუტევოთ მათ და არ გამოვიჩინოთ ქედმაღლობა.

გარდა ამისა, ბაჰაის რწმენაში არის ასეთი დამაიმედებელი სიტყვებიც: „მომდევნო ცხოვრებაში წმინდა სული ეზიარება ყველა საიდუმლოს და იხი-

ლავს ღმერთის სილამაზეს. იქ ჩვენ აუცილებლად ვიხილავთ ყველა იმათ, ვინც გვიყვარდა, დავტკბებით ღმერთის მეგობრებთან ურთიერთობით და აუცილებლად გვემახსოვრება მატერიალურ სამყაროში გატარებული ცხოვრების ხანა. ამიტომ, არაფერმა არ უნდა დაგვამწუხროს, რადგანაც მომავალში ნეტარი დღეები გველის"[53].

ბაჰაულას აზრი, უფლის მიერ ადამიანის შექმნის მიზანის შესახებ, ფაქტიურად, არაფრით არ განსხვავდება ბიბლიური კონცეპციისაგან. ადამიანმა უნდა შეიცნოს და ადიდოს უფალი, მისი შემქმნელი. ბაჰაულას აზრით ამ შეგონების ჭეშმარიტებას მოწმობს ყველა „წმიდა წიგნი" და „საღმრთო წერილი".

თუ ადამიანი არ ესწრაფვის ღმერთთან სიახლოვეს, მაშინ მას, ამქვეყნად, საპატიო ადგილიც რომ ეკავოს და უმაღლესი თანამდებობებიც ეპყრას, მაინც სრული განადგურება ელის.

ბაჰაების აზრით, ამქვეყნიური ცხოვრება იმისთვისაა მოცემული, რომ ჩვენ ვემზადოთ იმქვეყნიური სასუფეველისათვის. და ისევე, როგორც საშვილოსნო ამზადებს ბავშვს მომავალი ცხოვრებისათვის, აძლევს მას სიცოცხლისათვის აუცილებელ ატრიბუტებს, ასევე ადამიანი, მიწიერ ცხოვრებაში უნდა მოემზადოს იმქვეყნიური ცხოვრებისათვის. რაც მას სჭირდება და აუცილებელია ღვთის საუფლოში არსებობისათვის, ის მან აქ, ამქვეყნიურ ცხოვრებაში უნდა შეიძინოს.

რაც შეეხება იმას, თუ რა ბედი ექნება ადამიანს ამქვეყნად, ვის რა წილი შეხვდება ღვთის ნაბოძვარიდან, ამაზე ადამიანმა არ უნდა იდარდოს და ყურადღება არ უნდა გაამახვილოს. რადგან, ბაჰაულას თქმით: „ვალი ადამიანისა ამა დღეს არის, რომ მიიღოს მისთვის განკუთვნილი წილი ღვთის წყალობის ოკეანიდან. მაშ, ნურავინ იფიქრებს ჭურ-

ჭლის სიდიდესა და სიმცირეზე: ზოგის ულუფა შეიძლება ხელისგულზე დაეტიოს, ზოგისა კი ერთი ფინჯანის ოდენა იყოს და სხვათა კიდევ დიდი კათხისოდენი"[54].

ამდენად, სოციალური პრობლემა, უთანასწორობის, სიმდიდრისა და სიღარიბის, მდიდართა და ღარიბთა ურთიერთობების საკითხი აქ სრულებით არ დგას. აქ მხოლოდ იმქვეყნიურ ცხოვრებაზე მახვილდება ყურადღება, სულთა სიძლიერეზე. იმაზე, რომ თუ ამ ქვეყანაში არ ვიზრუნეთ და არ განვავითარეთ ის, რაც ღმერთმა გვიბოძა, მაშინ როცა იმქვეყნიურ არსებობაში გადავალთ, ჩვენი სულები სუსტი და მოუმზადებელნი აღმოჩნდებიან.

ამასთან დაკავშირებით ბაჰაულას მშვენიერი, მხატვრული მაგალითიც მოაქვს: „თქვენ იმ ფრინველს ჰგავხართ, — მიმართავს იგი ადამიანებს — რომელიც მძლავრ ფრთებს დაყრდნობილი, მშვიდად და ამაყად უვლის ირაოს ზეცის უსაზღვროებაში მანამ, სანამ შიმშილს დამორჩილებული დედამიწას არ დააცხრება წყლისა და თიხის მოსაპოვებლად. მერე კი, სურვილის ხაფანგში შეტყუებული, აღმოაჩენს, რომ აღარ ძალუძს, კვლავ აფრინდეს ცაში, საიდანაც დაეშვა. ეს ფრინველი, ოდესღაც ზეციური სავანის მკვიდრი, ახლა უძლურია დაზიანებული ფრთებიდან ჩამოიცილოს ის ტვირთი, ასე რომ ამძიმებს და იძულებულია მტვერში ეძიოს თავშესაფარი. მაშ ნუ გასვრით თქვენს ფრთებს უზნეობისა და ფუჭ სურვილთა ტალახით და ნუ შებღალავთ მათ შურისა და სიძულვილის მტვრით, რამეთუ ხელი არ შეგეშალოთ იფრინოთ ჩემი ღვთიური ცოდნის ზეცაში"[55].

ისევე როგორც ბიბლია, ბაჰაულაც ღმერთს ყოვლისქმნადობის უნარს მიაწერს. მან შექმნა ყოველივე, რაც ცოცხლობს და მოძრაობს. მაგრამ ყო-

ველი ქმნილისაგან ერთადერთი – მხოლოდ ადამიანი გამოარჩია და მის არსებაში ყველა სახელთა ბრწყინვალება მოაქცია და იგი საკუთარ სარკედ გახადა.

„ის ძალა, – წერს ბაჰაულა, – რომლითაც ღვთიური სიუხვის მზემ და ზეციური წინამძღოლობის წყარომ კაცის ბუნება დააჯილდოვა, ჩუმად თვლემს მასში ისევე, როგორც ცეცხლის ალი იმალება სანთელში და ლამპარში კი – სინათლის სხივებია შეფარული... ამ ენერგიის ბრწყინვალება შეიძლება დაიბინდოს ხორციელ სურვილთა წყალობით, სწორედ ისე, როგორც სარკეზე დადებულ მტვერსა და ჭუჭყის ქვეშ შეიძლება მზის სინათლე იმალებოდეს. ვერც სანთელი და ვერც ლამპარი თავისთავად, დაუხმარებლად ვერ აინთება, ისევე როგორც სარკე თავად ვერ მოიცილებს ჭუჭყს. ცხადი და ნათელია, რომ ლამპარი ვერასოდეს აელვარდება, თუ ცეცხლი არ მოუკიდეს, მტვრის გადაწმენდის გარეშე კი სარკეში მზის სახე ვერ გამოჩნდება და ვერც მის სხივებსა და სიდიადეს აირეკლავს იგი“[56].

ადამიანი უშუალოდ ვერასოდეს ვერ შეიცნობს ღმეროს, მაგრამ ღმერთმა იზრუნა ადამიანებზე, რათა მისი ჭეშმარიტება ადამიანებისათვის მისაწვდომი გამხდარიყო და მათ გამოუგზავნა „მნათობნი თავისი ღვთიური წინამძღოლობისა – ნიშნები, სიმბოლონი მისი ღვთიური ერთობისა. მან დააწესა, რომ ამ განწმენდილ არსებათა ცოდნა თვით მის ცოდნას გაუტოლდეს... ყოველი მათგანი – ღვთის გზაა, რომელიც მიწიერ სამყაროს ზეციურ სავანესთან აკავშირებს და არის ალამი მისი ჭეშმარიტებისა, როგორც მიწიერ, ისე ზეციურ სამეუფოებში. ისინი არიან ღმერთის განსახიერებანი კაცთა შორის, მისი ჭეშმარიტების საბუთი და მისი დიდების ნიშანი“[57].

რაც შეეხება ადამიანს, იგი, – ბაჰაელთა მიხედვით, – უმაღლესი თილისმაა, მაგრამ თუ მას სათანადო განათლება არა აქვს, მაშინ მას დააკლდება ის, რაც მას დაბადებიდანვე დაჰყვა. „მას სული ღვთის ბაგეს მოწყვეტილი სიტყვით შთაებერა. კიდევ ერთი სიტყვა და მან შეიცნო თავისი განათლების წყარო. მომდევნო სიტყვით განისაზღვრა მისი მდგომარეობა და ბედისწერა.

უფალი ბრძანებს: „ჩათვალეთ კაცი უძვირფასეს საბადოდ; მის საგანძურს მხოლოდ განათლება თუ გამოაცლენს და კაცობრიობისათვის გამოსაყენებელს გახდის.

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც დაფიქრდება იმაზე, თუ რა არის გამოცხადებული „საღმრთო წერილებში“, რომელნიც ღვთის ნებით არიან ციდან გამოგზავნილნი, მაშინვე მიხვდება, რომ მათი მიზანი არის – კაცობრიობა ერთ სულად შეიკრას ისე, რომ ყოველ გულს დაესვას ბეჭედი სიტყვებით: „დადგება და იქნება მომავალი ღვთის მეუფება“ და ღვთიური სიუხვის, მადლის და მოწყალების ნათელმა მოიცვას სრულიად კაცობრიობა“[58].

რაც შეეხება სულს, ბაჰაულას თქმით, როცა ის განშორდება სხეულს, იგი თავისუფლდება ყოველგვარი ამაო წარმოდგენისაგან. იგი ღვთის ნებით შედის სამოთხეში, მას გარს ერტყმიან ქალწულები, ღვთის წინასწარმეტყველები და რჩეულნი – სული მოუთხრობს მათ თუ რა შეემთხვა უფლისაკენ მიმავალ გზაზე.

ბაჰაულას ეცოდება იმ ურწმუნოთა სულები, რომლებიც უკანასკნელი ამოსუნთქვისას გაიგებენ იმ სიკეთეთა შესახებ, რომელნიც მათ დაკარგეს. ისინი მწარედ დაიტირებენ თავიანთ ხვედრს და ქედს მოიდრეკენ უფლის წინაშე. ეს ასე გაგრძელდება მათი სულის სხეულთან გაყრის შემდეგაც...

ბაჰაულას თქმითვე, ადამიანმა უნდა შეუნდოს ცოდვილს და არასოდეს დასცინოს, რადგან არავინ იცის, თუ როგორი აღსასრული ელოდება თითოეულ ჩვენთაგანს.

მაგრამ, რა დახვდება ციურ ქვეყანაში ადამიანის სულს, რას გაიგებს ისეთს, რაც მან მიწაზე ცხოვრებისას არ იცოდა. ამის შესახებაც ნათლად წერდა აბდულ-ბაჰა:

„ადამიანმა რაც არ იცოდა მიწაზე, მიწიერი არსებობისას ამ საიდუმლოს მხოლოდ ზეცაში გაიგებს. იქ წმინდა სულები თვალნათლივ იხილავენ ღმერთის სილამაზეს, შეიცნობენ ყველა საიდუმლოს და ეცდებიან ეზიარონ დიადი სულის არსს. გარდა ამისა, ისინი იხილავენ ღმერთის ყველა მეგობარს, ძველსა თუ ახალს, წარმოდგენილს ამ ზეციურ თაყვრილობაზე“[59].

აბდულ-ბაჰა მიუთითებს იმაზეც, რომ ამქვეყნიდან წასვლის შემდეგ გამოჩნდება განსხვავება ადამიანებს შორის. მისი თქმით: „ეს არის სხვა სამყარო და წმინდა სულებისადმი აქ აღთქმულია მფარველობის საჩუქარი“...[60]

იგი დარწმუნებული იყო იმაშიც, რომ იმქვეყნიურ ცხოვრებაში სულიერი შეყვარებულები იცნობენ ერთმანეთს და ერთმანეთთან კავშირს დაამყარებენ, მაგრამ ეს იქნება მხოლოდ სულიერი კავშირი. ასევე სიყვარული, რომელიც ერთ ადამიანს ჰქონდა მეორისადმი არ იქნება დავიწყებული. ადამიანთა სულებს არც ამქვეყნიური ცხოვრება დაავიწყდებათ.

ბაჰაულას თქმით: „მას შემდეგ რაც ადამიანის სული და სხეული ერთმანეთს დაშორდება, იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანის სული ღვთის გზით მიდიოდა, ის უეჭველად დაუბრუნდება ღმერთს. ღმერთის სამართლიანობით ის მიაღწევს ისეთ

მდგომარეობას, რომელსაც ვერანაირი კალამი და ენა ვერ აღწერს. სული, რომელიც ერთგული იყო ღმერთის საქმისადმი და შეურყვნელი სიმტკიცით ადგა მის გ'სას, ამაღლების შემდეგ, ისეთი ძალის მფლობელი გახდება, რომ ყოვლისშემძლის შექმნილი ყველა სამყაროს მფლობელი გახდება"[61].

ბაჰაულა მიმართავდა თავის მსახურებს. არ ედარდნათ იმაზე, თუ მიწიერ ცხოვრებაში ღმერთს ბევრი რამ მათ სურვილთა საწინააღმდეგო განუწესებია. რადგან, სამაგიეროდ, ზეცაში ასვლისას გელით ჭეშმარიტი ბედნიერება და ნეტარებაო, რომ თქვენ ნახავთ წმინდა და სულიერად დიად სამყაროებს. „უფალმა ბედად დაგიწესათ, რომ ამქვეყნადაც და მერეც იგემოთ ამ სამყაროთა მადლი, გაიზიაროთ მათი სიხარული და მიიღოთ მათი მაცოცხლებელი წყალობის წილი. თქვენ უეჭველად მიაღწევთ თითოეულ და ყოველ მათგანსო"[62].

ბაჰაის საერთაშორისო თემი

ბაჰაის რწმენის ადმინისტრაციულ ცენტრს ისრაელის ქალაქი ჰაიფა წარმოადგენს. აქ, წმინდა მიწაზე, დასაფლავებულია ამ რწმენის 3 მთავარი ხელმძღვანელი. აქვე შეიქმნა რწმენის სულიერი ცენტრი, სადაც ჩამოყალიბდა მსოფლიო ბაჰაიათა მართვის მთავარი ორგანო. აქედან სხვადასხვა ქვეყნებში ხდება რწმენის გავრცელება და მისი პრინციპების ცხოვრებაში დანერგვა.

ჰაიფაში არის მოთავსებული სამართლიანობის მსოფლიო სახლი, რომელსაც ხელმძღვანელობს 9 ადამიანი, რომელნიც 5 წლის ვადით არიან არჩეული. ისინი წარმართავენ ბაჰაის საქმიანობას მსოფლიოში. რაც შეეხება ეროვნულ დონეს, აქ მოქმედებს ნაციონალური სასულიერო კრება. მისი მმართველი ორგანოც 9 არჩეული პიროვნებისაგან შედგება. ისინი წარმართავენ თემის საქმეებს. ყოველ წელს ბაჰაის მიმდევრები ირჩევენ ნაციონალური ყრილობის დელეგატებს, რომელთაგანაც ხდება ნაციონალური კრების დაკომპლექტება, ნაციონალური სულიერი კრება კი წარმართავს და კოორდინაციას უწევს ამ ქვეყანაში ბაჰაის რწმენის გავრცელებას. ასევე ხდება ბაჰაის რელიგიური მიმდინარეობის მართვა ადგილობრივ დონეზე. აქაც ირჩევენ 9 კაცს, რომელნიც ხელმძღვანელობენ, რელიგიური თემის საქმიანობას კონკრეტულ ადგილში.

ბაჰაის თემს ფართო კონტაქტები აქვს მსოფლიოში. იგი აკრედიტირებული არის გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია. აქვს სათათბირო ხმა გაეროს სოციალურ-ეკონომიკურ საბჭოსა და ბავშვთა ფონდში.

ბაჰაის რწმენის საუკუნენახევრიანი ისტორიის მანძილზე ენერგიული მოღვაწეობისა და აქტიური

საქმიანობის შედეგად შეიქმნა ახალი მსოფლიო თემი, რომელშიაც შედის 1820 ეთნიკური ჯგუფი 360-ზე მეტ ქვეყანაში. მისი ლიტერატურა გადათარგმნილია 740-ზე მეტ ენაზე. ასეთ წარმატებას ისინი მიაწერენ მათი სწავლების ღვთითშთაგონებულობას და ადმინისტრაციის ეფექტურ საქმიანობას. ბაჰაის რწმენის იმ ზემოთჩამოთვლილი პრინციპებიდან, რომელიც ჩვენ უკვე მოვიტანეთ, როდესაც განვიხილავდით ბაჰაის სარწმუნოებას, ძალზე მნიშვნელოვანია ზოგიერთი სხვა პრინციპიც:

1. საყოველთაო ენის მიღება.
2. უკიდურესობების მოსპობა სიღარიბისა და სიმდიდრის გამოვლინებაში.
3. მსოფლიო ტრიბუნალის გამოყენება ერთა შორის სადავო საკითხების გადასაწყვეტად.
4. სამართლიანობის ამაღლება, როგორც საზოგადოების მართვის განმსაზღვრელი პრინციპისა.
5. კეთილსინდისიერი შრომის ლოცვის რანგში აყვანა.
6. რელიგია, როგორც საფუძველი ყველა ერების და ხალხების.
7. საკუთარი ქვეყნის მიმართ ლოიალურობა.

ამასთანავე, ისინი თვლიან, რომ პოლიტიკის ჩვეულებრივი მეთოდები, აუცილებლად არიან დაკავშირებული ხელისუფლებისათვის ბრძოლასთან, ეს კი ეწინააღმდეგება მიზანს წინ წასწიონ კაცობრიობის ერთობა. თუკი ბაჰაის მიმდევარი სამსახურის გამო იძულებულია დაიცვას სახელმწიფოს ინტერესი მეორის წინააღმდეგ ან ადამიანთა ერთი ჯგუფის მეორის წინააღმდეგ, მაშინ მისი საქმე წინააღმდეგობაში ვარდება მის რწმენასთან. ამიტომ, ბაჰაის მიმდევარნი არ თანხმდებიან შეთავაზებულ წინადადებაზე დაიკავონ პოლიტიკური თანამდებობები, ან მონაწილეობა მიიღონ არჩევით თუ სხვა

პოლიტიკურ კამპანიებში. თუმცა ისინი მხარს უჭერენ იმ საზოგადოებრივ მოძრაობებს, რომლებიც ახლოს არიან მათ მიზნებთან და თვითონ ეწევიან აქტიურ საქმიანობას იმ მიმართულებით, რომელიც შეესატყვისება მათ რწმენას, მათ შორის: ადამიანთა უფლებების დაცვას, ქალთა დაწინაურებას, ადამიანთა კეთილდღეობის მიღწევას, მორალურ ლიდერობას და ა. შ.

ბაჰაის მიმდევარი უნდა დაემორჩილოს სახელმწიფო კანონებს, ამისათვის, მას შეუძლია შეელიოს ყველა გარეგნულ ასპექტს მისი რელიგიური საქმიანობისა — ადმინისტრაციას, შეკრების ჩატარებას და თავისი რწმენის გავრცელებას, მაგრამ მან არაავითარ შემთხვევაში არ უნდა დათმოს შინაგანი ფასეულობები — ღმერთისადმი რწმენა, პატიოსნება, ადამიანისადმი სამართლიანი დამოკიდებულება.

არჩევნებში მონაწილეობა უნდა მიიღოს პირადი სურვილის მიხედვით, და თუკი, ამას სახელმწიფო ავალდებულებს, მაშინ უნდა მიიღოს, მაგრამ ხმა მისცეს კანდიდატის პირადი თვისებების გათვალისწინებით. ბაჰაი არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ უჭერს მხარს.

სამხედრო სამსახურში ბაჰაის მიმდევარნი ცდილობენ ითხოვონ ალტერნატიული სამსახური ან იმსახურონ არასაბრძოლო ნაწილებში. თუკი ამაზე უარს ეტყვიან — ბაჰაის მიმდევარი ვალდებულია დაემორჩილოს სახელმწიფოს კანონს და გაიაროს სამსახური შეიარაღებულ ძალებში.

სამართლიანობის მსოფლიო სახლის რეზიდენცია



ბაჰაის კულტი და ადათი

ბაჰაის რწმენას სამღვდელოება არ ჰყავს. ცხადია, ეს განაპირობებს მისი კულტის და ადათის თავისებურებებსაც. ბაჰაის რელიგიის ტაძრები, რომლებსაც თაყვანისცემის სახლებს უწოდებენ, სხვადასხვაგვარად შენდება. ტრადიციულად ითვალისწინებენ ადგილობრივ (ნაციონალურ) არქიტექტურის თავისებურებებს. მაგრამ თითოეული მათგანისათვის აუცილებელია ჰქონდეს 9 კარი და გუმბათი. რაც სიმბოლურად მიუთითებს კაცობრიობის ერთობასა და ამავე დროს განსხვავებულობაზე.

ეს ტაძრები ბაჰაის რელიგიის შემქმნელების მიერ ჩაფიქრებულია როგორც სასულიერო ცენტრები, მაგრამ მათ აქვთ აგრეთვე მეცნიერული, ჰუმანიტარული, აღმზრდელობითი და ადმინისტრაციული დანიშნულებაც.

ბაჰაის რელიგიაში საკულტო პროგრამა ძალზე მარტივია. იგი შედგება ლოცვის, მედიტაციის და საღმრთო წერილების ნაწყვეტების კითხვისაგან. ღვთისადმი მიმართული ლოცვებიც უმეტესად ინდივიდუალურია:

„კურთხეულია მიდამო და სახლი და ადგილი და ქალაქი და გული და მთა და თავშესაფერი და გამოქვაბული და ხეობა და მიწა და ზღვა და კუნძული და მდელო, სადაც ახსენეს და განადიდეს ღმერთი მაღალი“, – მიმართავს ბაჰაულა თავის მრევლს, – ხოლო ბაბი მიუთითებს ლოცვის ზუსტ მისამართსა და დანიშნულებაზე: „ო, ღმერთო, ჩემო ღმერთო, ჩემო სანუკვარო და ჩემო გულის წადილო“.

ბაჰაის რწმენით, არის სავალდებულო ლოცვები, რომლებიც აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ისინი უძღვებიან ადამიანებს თავმდაბლობისა და მორჩილებისაკენ, ღმერთისაკენ სახეშებრუნებულებს

მისადმი ერთგულების გამოხატვის საშუალებას აძლევენ. „...ამ ლოცვების საშუალებით ადამიანი, — ამბობს აბდულ ბაჰა, — ღმერთთან კავშირს ინარჩუნებს, ეძიებს მასთან სიახლოვეს. თავის ჭეშმარიტ გულის სწორთან საუბრობს და სულიერ სამყაროში უერთდება“.

ბაჰაის რწმენაში სამ განსაკუთრებულ ლოცვას გამოყოფენ: **მოკლე, საშუალო** და **ერცელს**. ითვლება, რომ აქედან შერჩეული ნებისმიერი მათგანი და სათანადოდ წაკითხული თავის დანიშნულებას მიაღწევს.

მოკლე სავალდებულო ლოცვა, რომელიც ტრადიციულად დღეში ერთხელ, ნასამხრევს იკითხება ბაჰაულას ეკუთვნის და ასე ეღერს:

„ვადასტურებ უფალო, რომ შენ შემქმენი მე, რათა შეგიცნო და თაყვანი გცე შენ. ვადასტურებ ამ წუთში ჩემს უძლურებას და შენს ძლევამოსილებას, ჩემს სიღატაკეს და შენს სიუხვეს.

არ არის სხვა ღმერთი შენს გარდა, მფარველისა და თვითარსისა“.

მეორე მიმართვა უზენაესისადმი არის საშუალო სავალდებულო ლოცვა, რომელიც ასევე ბაჰაულას მიეწერება და იკითხება სამჯერ დღეში: დილით, ნასამხრევს და საღამოს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ ბაჰაებს აქვთ სამი სავალდებულო ლოცვა, რომელთაგან ერთ-ერთის წარმოთქმა საკმარისია და იგი აუცილებლად აღწევს თავის დანიშნულებას. როდესაც ბაჰაის მიმდევრები შეკრებაზე ერთად იყრიან თავს მაშინ სხვა ლოცვებს კითხულობენ და გალობენ. არის საერთო და სპეციალური ლოცვები. ლოცვათა კრებულებში, ტრადიციულად სამი აუცილებელი ლოცვის გარდა შეტანილია მრავალი სხვა ლოცვაც, რომელთაც ნაირნაირი დანიშნულება აქვთ. ასე, მაგალითად: არ-

სებობს ლოცვები განკუთვნილი ბავშვებისა და ყმაწვილებისადმი, მიცვალებულებისადმი, ქორწინებისადმი, მარხვისადმი, განმარტოებულთათვის, მშობლებისადმი, მომლოდინე დედებისადმი, განკურნებისათვის, მიტევებისათვის, კაცობრიობისათვის, მოგზაურებისადმი და ა. შ.

არის დილის, ღამის და შუაღამის ლოცვები, საწინამძღვრო ლოცვები გზააბნეულთათვის და ა. შ. აქვე მოთავსებულია ლოცვა და წესი ჰუყუყულას /ღმერთის უფლება/ საღმრთო გადასახადის შესახებ, რომელიც ბაჰაელთა აზრით თვით უფალს აქვს დაწესებული.

ბაჰაის მიმდევრები ზეიმობენ ახალ წელს, რომელიც 21 მარტს აღინიშნება. ეს არის დღე მხიარულობისა და სტუმარ-მასპინძლობის. ბაჰაის ერით ახლა 166-ე წელია, წელიწადი შედგება 19 თვისაგან, თვეში 19 დღეა. ფართოდ აღინიშნება მე-19-ე დღის დღესასწაული. არის ასევე აიამიჰას ანუ ჩასმული დღეები — ეს არის ბაჰაის კალენდრით მულკისა და ალას თვეებს შორის, 26 თებერვლიდან 1 მარტამდე.

ბაჰაის მიმდევრები მარხულობენ 2 მარტიდან 20 მარტამდე (ჩათვლით). მათთვის, ამის გარდა, წმინდა დღეებად ითვლება: პირველი დღე რიზვანისა — 21 აპრილი, მე-9 დღე რიზვანისა — 29 აპრილი, მე-12 დღე რიზვანის დღესასწაულისა — 2 მაისი, ბაბის დეკლარაციის დღე — 23 მაისი, ბაჰაულას ზეცად ამაღლების დღე — 29 მაისი, ბაბის მოწამეობრივი სიკვდილი — 9 ივლისი, ბაბის დაბადების დღე — 30 ოქტომბერი, ბაჰაულას დაბადების დღე 1~~0~~4 12 ნოემბერი, აღთქმის დღე — 26 ნოემბერი, აბდულ-ბაჰას ზეცად ამაღლება — 28 ნოემბერი.

ბაჰაის რწმენა საქართველოში

ბაჰაის რწმენა საქართველოში მთლად ახალი მოვლენა არ უნდა იყოს. თუ ამ რელიგიის მიმდევრებს დავუჯერებთ, იგი სპარსეთიდან და ოტომანთა იმპერიიდან ჯერ კიდევ ბაჰაულას სიცოცხლეშივე გავრცელებულა თურქესტანში, ინდოეთში, ბირმაში, ეგვიპტეში, სუდანში და კავკასიაში. ბაჰაის თემის ისტორიაც ამავე პერიოდიდან იწყება ჩვენს ქვეყანაში და მეზობელ რეგიონებშიც. ბაჰაულას მსახურების (1853-1893 წწ.) დროს ბაჰაის მორწმუნენი საქართველოში უკვე საკმაო რაოდენობით ყოფილან.

ბაჰაის მიმდევრები ყვებიან ამაღელვებელ ამბავს ამ რელიგიის პირველი ქართველი მორწმუნის, სპარსეთში ისპაჰანის გუბერნატორის მანუჩარ(მანუჩერ)-ხანის შესახებ, რომელიც, ზოგის აზრით, ბაგრატიონთა გვარიდან უნდა ყოფილიყო. ირანის შაჰის კარზე დაწინაურებული ეს ქართველი დაჯილდოებული ყოფილა დიდი ადამიანური თვისებებით. მას დახმარების ხელი გაუწვდია საფრთხეში ჩავარდნილი ბაბისათვის, როდესაც იგი შირაზიდან გამოაძევეს თავისი მოძღვრების ქადაგებისათვის. დევნილი ბაბი მას თავის სახლში მიუღია და მისი რწმენაც უღიარებია.

მანუჩარ-ხანს ბაბისათვის შეუთავაზებია, რომ ახალ რწმენას მოახმარდა მთელ თავის ქონებას. მანუჩარ-ხანს უთხოვია ბაბისთვის ნებართვა წასულიყო თეირანში, მისულიყო შაჰთან, რომელიც მას ძალიან ენდობოდა, გაეცნო მისთვის ახალი რწმენა, რომელიც მას ალბათ ძალიან მოეწონება და დაგვეხმარება კიდეეაცო.

106

მანუჩარ (მანუჩერ) ხანი, ისპაჰანის გუბერნატორი (წარმოშობით ქართველი)

ამასთანავე, მანუჩარ-ხანს, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ბაბისათვის შეუთავაზებია: ვიშუამდგომლებ, რომ შაჰმა თავისი ერთ-ერთი და ცოლად გამოგაყოლოს, ქორწილის ხარჯებსაც მე გადავიხდიო, ახალი რწმენის შემოსვლით კი დამთავრდება შავი და მძიმე პერიოდი ირანის ისტორიაშიო.

ბაბის ამაზე უპასუხნია: ძალიან კარგი და კეთილშობილურია შენი განზრახვა, ასეთი სიქველისათვის ღმერთი აუცილებლად დაგაჯილდოვებს ან აქ, ან საიქიოშიო, მაგრამ შენ ამქვეყნად დიდი სიცოცხლე არ დაგრჩენია, სულ 3 თვე და 9 დღე (ამ დროისათვის მანუჩარ-ხანი 40 წლისა იყო.) და თანაც, ღვთის განგებით, ჩემი რწმენა ამ გზით ვერ გავრცელდება. ეს მეფეების თუ სახელმწიფოს მეთაურების საქმე არ არის. ღვთის ნებაა, რომ იგი უბრალო ხალხიდან გავრცელდეს და მისთვის წამებულთა სისხლით გაიდგას ფესვებიო...

მანუჩარ-ხანი მართლაც ბაბის მიერ ნაწინასწარმეტყველებ დროს გარდაიცვალა. მას უნდოდა მთელი თავისი ქონება ახალი რელიგიის წარმომადგენლებისათვის დაეტოვებინა, მაგრამ ეს აღარ მოხერხდა.

მანუჩარ-ხანი ისპაჰანშია დასაფლავებული და მის საფლავთან სალოცავად მოდის მრავალი ადამიანი. გადმოცემით, თუკი ვინმე მის საფლავზე რაიმეს ითხოვს, ღმერთი მას აუცილებლად შეუსრულებს. ეს ამბავი 1846-47 წლებში უნდა მომხდარიყო. როგორც ვთქვით, ბაჰაის მიმდევართა მტკიცებით, მანუჩარ-ხანი ქართველთაგან პირველია, ვინც ბაჰაის მოძღვრება აღიარა. ამ ფაქტზე ერცლად არის საუბარი სპარსულ წყაროებში.

ბაჰაის მიმდევართა ცნობით, 1925 წელს კავკასიაში ბაჰაის ეროვნული საკრებულო შექმნილა, მაგრამ უკვე სამი წლის შემდეგ, ისინი სერიოზულ

სიძნელეებს წაწყდომიან თავისი სარწმუნოების გამო. კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკრებულოები დაშალა და განდევნა, დამსწრეები დააპატიმრა და დაკითხა, დოკუმენტები და წიგნები ამოიღო, ზედამხედველობა დააწესა მათ მიმოწერაზე; მაგრამ ხანგრძლივმა ძიებამ დაადასტურა, რომ ამ რწმენის მიმდევრები არ იყვნენ გარეული არანაირ ძირგამომთხრელ, ანტისაბჭოურ თუ პოლიტიკურ საქმიანობაში. მიუხედავად ამისა, ბაჰაის შეკრებები მხოლოდ პოლიციის სპეციალური თანხმობით ტარდებოდა.

საბოლოოდ, კავკასიის რესპუბლიკებში ადგილობრივი საკრებულოების არჩევისთანავე, 1928 წლის აპრილში მთავრობამ გააუქმა თავისი დადგენილება და ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ მიიღო ახალი დადგენილება, რომლის მიხედვითაც ბაჰაის ყველა თემი დაიშალა. დადგენილებაში მითითებული იყო, რომ თუკი რაიმე სხდომა მაინც ჩატარდებოდა მისი სხდომის ოქმის რუსული თარგმანი ხელისუფლებისათვის უნდა წარედგინათ, აკრძალული იყო ბაჰაი ბავშვებისათვის 18 წლამდე ესწავლებინათ საკუთარი სარწმუნოება. მთავრობის სხვა ბრძანებულება საკულტო შენობებს სახელმწიფო საუთრებად აცხადებდა.

საკუთარი უფლებების აღსადგენად და დასაცავად ბაჰაის მიმდევარნი მიმართავდნენ ადგილობრივ თუ რესპუბლიკურ ხელისუფლებას, მაგრამ ამაოდ. 1938 წლისათვის კავკასიის ბაჰაის თემი მინიმუმამდე შემცირდა და ასეთ მდგომარეობაში დარჩა მომდევნო 50 წლის მანძილზე.

ბაჰაის თემის აღორძინება დაიწყო მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც რელიგიურ ორგანიზაციებს მიეცათ თავისუფალი მოქმედების საშუალება.

ამჟამად, საქართველოში 1000-დან 2000-მდე ბაჰაის მიმდევარი უნდა იყოს. ისინი ძირითადად ცხოვრობენ თბილისში, რუსთავში, ბათუმში, ქუთაისში. ქალაქებს გარდა ეს სარწმუნოება გავრცელებულია სოფლადაც — კასპში, ყაზბეგში, აჭარაში, არაგვისპირში და ა. შ. საქართველოში ჯერ ბაჰაის ტაძარი არ აუშენებიათ. მსოფლიოში ბაჰაის მხოლოდ 7 ასეთი ტაძარია: აშშ-ში, ინდოეთში, პანამაში, გერმანიაში, ავსტრალიაში, უგანდაში და დასავლეთ სამოაში. ბაჰაის მიმდევრები გეგმავენ, რომ მომდევნო 20 წელიწადში ყველგან ააშენონ ტაძრები.

ამჟამად, სხვა ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, არსებობენ მხოლოდ სამლოცველოები, სადაც იმართება ბაჰაის შეკრებები. ქართულ ენაზე ითარგმნება და ვრცელდება რელიგიური ლიტერატურა, იმართება რელიგიური დღესასწაულები. არის 5-10 კაცისაგან შემდგარი წრეები, რომლებიც შეისწავლიან ბაჰაის სარწმუნოებას. ისწავლება ისეთი თემები როგორიცაა: სიცოცხლისა და სიკვდილის პრობლემა, რა არის სული, რას წარმოადგენს ადამიანი და რაში მდგომარეობს მისი დანიშნულება და ა. შ. აქამდე, თბილისში, ბაჰაის მიმდევრები იკრიბებოდნენ დიდუბეში, ახლა თავისი სამლოცველო ვაკეში გადმოიტანეს.

ბაჰაის მიმდევრები საქართველოში სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები არიან, თუმცა საკმაოდ არიან ქართველებიც. უმეტესად კი მაინც შერეული ქორწინების შთამომავალნი ჭარბობენ.

1. ბაჰაელთა თაყვანისცემის სახლი. ავსტრალია, ქ. სიდნეი
2. ბაჰაელთა თაყვანისცემის სახლი. აშშ, ქ. უილმეტი
3. ბაჰაელთა თაყვანსცემის სახლი. დასავლეთ სამოა, ქ. აპია
4. ბაჰაელთა თაყვანისცემის სახლი. ანგენხაინი, გერმანია, ქ. ფრანკფურტი
5. ბაჰაელთა თაყვანისცემის სახლი. პანამა, პანამა-სიტი
6. ბაჰაელთა თაყვანისცემის სახლი. ინდოეთი, ქ. ნიუ-დელი.
7. ბაჰაელთა თაყვანისცემის სახლი. უგანდა, ქ. კამპალა.







ბაჰაის რწმენის შეფასება

როგორც ვნახეთ, ბაჰაის სარწმუნოება საკმაოდ თავისებური რელიგიაა. იგი, როგორც ნებისმიერი სხვა რელიგია, თავის განსაკუთებულობას, უპირატესობას და ჭეშმარიტებას უსვამს ხაზს. მათი აზრით, ღმერთის შეცნობის დიდ გზაზე სხვა რელიგიები, მათ შორის იუდაიზმი, ქრისტიანობა, ბუდიზმი თუ ისლამი, თავის დროზე უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ უკვე განვლილი საფეხურებია. ახლა ბაჰაის ჯერია და სანამ სხვა წინასწარმეტყველი მოვიდოდეს მანამდე მის სწავლებას უნდა მივდიოთ.

ბაჰაის რწმენის მიმდევარნი ცხადია არ შეიძლება სხვა სექტანტებს შევადაროთ. ისინი ქუჩებში, ბაღებსა თუ სკვერებში არ უსაფრდებიან ადამიანებს, სახლებში არ ეჭრებიან უცხო ოჯახებს და ასეთი გზით არ ცდილობენ საკუთარ რწმენაზე მათ გადმობირებას. ბაჰაის მიმდევარნი არც ადამიანთა ჯანმრთელობაზე ახდენენ ცუდ გავლენას და თუ ხელისუფლებამ მოითხოვა არც ჯარის საბრძოლო ნაწილებში წასვლაზე აცხადებენ უარს. სახელმწიფოსადმიც უფრო ლოიალურნი არიან, მაგრამ ინდივიდუალურ პროზელიტიზმს სხვაგან თუ ჩვენში მაინც მიმართავენ. სხვაგვარად, საიდან გაჩნდებოდა მსოფლიოში 4 (ზოგი მონაცემებით 6) მილიონი და თუნდაც საქართველოში 2000-მდე ბაჰაი?

თუ მაინც დაეუბრუნდებით წიგნის სათაურში დასმულ კითხვას–არის თუ არა ბაჰაის რწმენა მსოფლიო რელიგია? ან მომავალში თუ ჩამოყალიბდება ასეთ რელიგიად? ამაზე, ჩვენი აზრით, საბოლოო პასუხი დრომ და ისტორიამ უნდა გასცეს. თუმცა, ახლაც, მრავლად არიან მკვლევარები, რომლებიც მას მსოფლიო რელიგიად აღიარებენ. უფრო

მეტიც, მას სთვლიან იმ ერთადერთ საშუალებად და წამლად, რომელიც უშველის სასიკვდილო სენით დაავადებულ კაცობრიობას.

ასეთი შეხედულების მეცნიერთა აზრით, ბაჰაის რელიგია არის ერთიანი, დამოუკიდებელი რელიგია; რელიგია საკუთარი რწმენით, პრინციპებით, კანონებით და ადათებით, რომელსაც საფუძვლად უდევს მთელი კაცობრიობისადმი მიმართული სიყვარული.

ამავე მკვლევართა მტკიცებით, ბაჰაის რელიგიის სწავლებაში არ არის არც დოგმატური შეზღუდულობა, არც ელიტურობის მოთხოვნა, არც რაიმე განსაკუთრებული თავისებურება, რომ აღარაფერი ვთქვათ მის დაპირისპირებაზე საერო კულტურასთან, რაც ახასიათებს არაერთ რელიგიას. მისი მოთხოვნა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მოუწოდეებს ყველას იცხოვროს ბაჰაის მოძღვრებით, იხელმძღვანელოს მის მიერ ნაჩვენები გზით და ესწრაფოს სრულყოს საკუთარი თავი. და რომ მისი გამკითხველი მხოლოდ უფალი ღმერთი იქნება.

ბაჰაის რელიგიას პრეტენზია აქვს საყოველთაო მისიაზე, მისი ქადაგება მსოფლიოს ყველა ხალხისადმია მიმართული, რაც ეფუძნება იდეას კაცობრიობის ერთობის შესახებ. აქედან გამომდინარე, მან თავისი სიტყვა უნდა თქვას ადამიანთა მოდგმის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში. ამასთანავე გადაწყვიტოს დედამიწაზე რელიგიების სიმრავლის პრობლემა.

აღნიშნულ მეცნიერთა მტკიცებით, ბაჰაის რელიგიის უნივერსალური ბუნება საშუალებას იძლევა დაიძლიოს ეს წინაღობე ისე, რომ არ შეურაცყოს არცერთი ხალხი და არცეროი სარწმუნოება, არ დაითრგუნოს ადამიანთა მიერ საუკუნეთა მანძილზე აღიარებული სიწმინდეები. მიუჩინოს ყოველგვარ რელიგიურ წარმოდგენას თავისი კუთვნილი ისტორი-

ული ადგილი. ამით კი გადაჭრას მსოფლიოს წინაშე მდგარი, აქამდე გადაუწყვეტელი პრობლემა. ერთმანეთთან შეარიგოს ხალხები და რელიგიები.

მეცნიერთა ამ მოსაზრებებში, ცხადია, ბევრი რამ არის მართებული და მისაღები, მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ ბაჰაის რელიგიას დღეისათვის ჯერ კიდევ ბევრი უკლია მსოფლიო რელიგიებამდე — /ბუდიზმი, ქრისტიანობა, ისლამი/, როგორც სიძველით, რაოდენობითა და პოპულარობით, ისე მრავალი სხვა კომპონენტით. ხოლო რა იქნება მრავალი წლის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვი, ამაზე დრომ და ისტორიამ უნდა გასცეს პასუხი.

ეწინააღმდეგება თუ არა ბაჰაის რწმენა სხვა რელიგიურ რწმენებს და რელიგიურ მოძღვრებებს? რასაკვირველია ეწინააღმდეგება, რადგან იუდეველები დღესაც ისევე ელიან თავისი მესიის გამოჩენას, ქრისტიანები ქრისტეს მეორედ მოელინებას, ხოლო მუსლიმები მაჰდის მოსვლას და აზრადაც არ მოსდით მის შემცვლელ წინასწარმეტყველად ბაჰაულა აღიარონ.

როგორი უნდა იყოს მართლმადიდებელი ქვეყნის დამოკიდებულება ამ რელიგიისადმი? რასაკვირველია ციკილური. ორი აზრი არ არსებობს იმაზე, რომ მართლმადიდებელ ქვეყანაში მოსახლეობა უნდა გაუფრთხილდეს თავის ტრადიციულ ქრისტიანობას, დაიცვას ის სხვა დენომინაციების ხელყოფისაგან, როგორც სხვაგვარადაც ამბობენ ხოლმე, არაკეთილსინდისიერი პროზელიტიზმისაგან, მაგრამ თუ კი ისინი მაინც არსებობენ ჩვენს ქვეყანაში, მაშინ როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ? რასაკვირველია შემწყნარებლური, რადგან, თუ ჩვენ პრეტენზია გვაქვს, რომ ევროპული, დემოკრატიული და ტოლერანტული ქვეყანა ვიყოთ, ალბათ უნდა წავბაძოთ კიდევაც ასეთი სახელმწიფო-

ების ქმედებას. ამ მხრივ თუნდაც ისრაელი ავიღოთ, სადაც იუდაიზმი გაბატონებული და პრივილეგირებული რელიგიაა, მაგრამ ლოიალურად და პატივისცემით ექცევა ბაჰაის სარწმუნოებას, რომლის სასულიერო ცენტრი სწორედ მათ ქვეყანაში, ქალაქ ჰაიფაშია. იგი ხომ მრავალრიცხოვანი ადამიანების თავშეყრის და თაყვანისცემის ადგილს წარმოადგენს. აქ უამრავი მორწმუნე მოდის და მათ არავინ ზღუდავს, არავის აზრად არ მოსდის ებრძოლოს მის სწავლებას.

ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე, რომელი რელიგიის მიმდევარიც არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად საქართველოს პატრიოტი, მისი ფასეულობათა აქტიური დამცველი და დამფასებელი იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Одна общая вера - Всемирный Центр Бахаи ст. 11-12.
2. Абдул-Баха, Отвсты на некоторые вопросы Санкт-петербург, 1995, ст.14.
3. იქვე.
4. იქვე, გვ. 16-25.
5. Удо шефер, Вера бахаи-секта или религия, Санкт-петербург, 2002, ст.22.
6. იქვე, გვ. 22.
7. იქვე, გვ. 32.
8. იქვე, გვ. 33.
9. ორი გამოცხადება, რუპის ინსტიტუტი, წიგნი 4, თბ. 2000, გვ. 16.
10. იქვე, გვ. 17.
11. იქვე, გვ. 19.
12. იქვე, გვ. 20.
13. განთიადის მახარობელნი: ნაბილის ნაამბობი ბაბაის გამოცხადების ადრეულ ხანაზე, 1974, გვ. 119-120.
14. ორი გამოცხადება
15. იქვე, გვ. 23.
16. იქვე, გვ. 24.
17. იქვე, გვ. 27.
18. იქვე, გვ. 32.
19. იქვე, გვ. 33.
20. იქვე, გვ. 33.
21. იქვე, გვ. 35.
22. განთიადის მახარობელნი, ციტირებულია კრებულიდან ორი გამოცხადება, გვ. 41-42.
23. იქვე, გვ. 54-55.
24. იქვე, გვ. 55.
25. იქვე, გვ. 55
26. იქვე, გვ. 57.
27. იქვე, გვ. 85.
28. იქვე, გვ. 85.
29. იქვე, გვ. 85-86.
30. იქვე, გვ. 89.
31. ორი გამოცხადება, გვ. 111-112.

32. ბაჰაის წმინდა წიგნების ციტირება ქართულად ხდება თეიმურაზ ფანჯიკიძის წიგნიდან: „რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე“ თბილისი, 2003, გვ. 234.
33. იქვე, გვ. 234-235.
34. იქვე, გვ. 235.
35. იქვე, გვ. 235.
36. იქვე, გვ. 235.
37. იქვე, გვ. 235-236.
38. იქვე, გვ. 238.
39. Абдул-Баха, Ответы на некоторые вопросы .
40. ციტირებულია თეიმურაზ ფანჯიკიძის წიგნიდან: „რელიგიური პროცესები საქართველოში XX და XXI საუკუნეთა მიჯნაზე“, თბილისი, 2003, გვ. 238.
41. იქვე, გვ. 239-240.
42. ფიქრები სულის ცხოვრებაზე რუჰის ინსტიტუტი, წიგნი 1, გვ.42
43. იქვე, გვ. 44.
44. იქვე, გვ. 46-47.
45. იქვე, გვ. 46-47.
46. იქვე, გვ. 46.
47. ბიბლია, წიგნი ეკლესიასტე 12, 7.
48. ფიქრები სულის ცხოვრებაზე, გვ. 49.
49. იქვე, გვ. 50-51.
50. იქვე, გვ. 51.
51. იქვე, გვ. 51.
52. იქვე, გვ. 51.
53. იქვე, გვ. 46.
54. იქვე, გვ. 55-56.
55. იქვე, გვ. 58.
56. იქვე, გვ. 61.
57. იქვე, გვ. 62.
58. იქვე, გვ. 64.
59. Размишление о Жизни Духа , Институт Рухи, книга 1, ст. 55.
60. იქვე, გვ. 55.
61. ფიქრები სულის ცხოვრებაზე, გვ. 68-69.
62. იქვე, გვ. 69.
63. ეს და მომდევნო სხვა ლოცვები ციტირებულია ბაჰაის ლოცვების კრებულიდან, სელანგორ მალაიზია გვ. 3-150.

ბაჰაის რელიგიის წიგნების არასრული სია, რომელიც შეიძლება მოიპოვო თბილისელ ბაჰაელთა პირად ბიბლიოთეკებში:

1. ბაჰაულა. "ქითაბ-ი-იყანი,
   წიგნი ურყევი რწმენისა".
2. ბაჰაულა. "იდუმალი სიტყვები".
   შოღი ეფენდის წინასიტყვაობით.
3. ბაჰაულა. "იდუმალი სიტყვები".
   რჩეული.
4. ხინა სორაბჯი. "ნაბილის ნაამბობი".
   თბილისი 1999 წ.
5. რუჰის ინსტიტუტის წიგნები. I-V.
6. ბაჰაი ლოცვები. წმინდა წერილები.
   სელანგორ მალაიზია.
7. ბაჰაი ლოცვები ბავშვებისათვის.
8. ჯ.ე. ესლემონტი. ბაჰა-ულა და ახალი ერა.
   თბილისი 1993 წ.
9. Бахаулла. Китаб-И-Агдас.
   Наисвятая книга.
   Духовное собрание Бахаи России.
10. Бахаулла. Китаб-И-Иган.
    Книга Несомненности.
    Духовное собрание Бахаи России.
11. Крупицы из писаний Бахауллы.
    Санкт-Петербург 1997.
12. Завет. Отрывки из Писаний Бахаи.
    Санкт-Петербург 1997.
13. Абдул-Баха. Из Писаний.
    Избранное. Санкт-Петербург 1995.
14. Абдул-Баха. Мысль мира.
    Речи и наставления Абдул-баха о новой культуре мира.
    Москва. «Наука» 1992.
15. Абдул-Баха.
    Ответы на некоторые вопросы.

Санкт-Петербург 1995.
16. Абдул-Баха.
Парижские беседы.
Выступление Абдул-Баха в Париже в 1911 г. Перевод с англиского. Москва 1993.
17. Одна общая вера.
Баку 2005.
18. Дж.Э. Эсслемонт. Баха-Улы и Новая эра.
First Indian Ediction, 1989.
19. Столетие света.
Публикация подготовлена всемирным Домом Справедливости.
Перевод с англиского.
Москва 2004.
20. Кто создает будущее.
Размышления о двадцатом столетии. 1999.
21. Хукукулла.
Духовное собрание Бахаи Россий.
Перевод с англиского.
Санкт-Петербург 1996.
22. Удо Шефер. Вера Бахаи:
«Секта или религия».
Санкт-Петербург 2002.
23.Baha'i Shrine and Cardens.
Mount Carmel. Haifa.
24. The Baha'i World. 2000-2001. An International Record.
Baha'i World Cemtre, Haifa.
25. The Hidden Words
Baha'u'llah.
Wilmette, Illinois, Baha'i Publishing Trust. 1990.

Teimuraz Panjikidze

Bahai – New World Religion ?

Summary

Drawing on primary sources, the author presents an interesting overview of the new world religion – Bahai, which dates from the middle of the 19th century.

The book deals with the history of the foundation, development and spreading of this religion, as well as with the biographies of its founders – Bab and Bahaullah. The teachings, the key dogmas, the cult and the present status of this faith are also addressed.

The reader will learn about the history of the introduction, expansion, present status and prospects of the Bahai faith in Georgia.

The book will be of interest to specialists as well as the public at large.

შინაარსი

რედაქტორისაგან.....3

შესავალი.....8

ახალი მსოფლიო რელიგიის სათავეებთან.....13

ა) აბრაამი.....21

ბ) მოსე.....23

გ) ქრისტე.....25

დ) მუჰამედი.....27

ბაჰაის რწმენა – სექტა თუ რელიგია?.....34

მსოფლიოს რელიგიათა გაერთიანების მცდელობა.....37

ბაბი და ბაჰაულა.....40

ა) ბაბი.....40

ბ) ბაჰაულა.....52

ბაჰაის სწავლებები.....70

ბაჰაის სარწმუნოება სიცოცხლეზე, სიკვდილზე
და მარადიულ სულზე.....82

ბაჰაის საერთაშორისო თემი.....92

ბაჰაის კულტი და ადათი.....96

ბაჰაის რწმენა საქართველოში.....99

ბაჰაის რწმენის შეფასება.....105

გამოყენებული ლიტერატურა.....109

ბაჰაის რელიგიის წიგნების არასრული სია.....111

რეზიუმე.....113